

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

## არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

**XXIII**

2012 წლის 24-27 აპრილი  
მასალები

თბილისი  
2012

ავთანდილ არაბული

### დერივაციის პარადიგმატული ნიშნისათვის

დერივატი, ჩვეულებისამებრ, არის მეორეული ენობრივი ნიშანი, რომელიც მიღებულია ამოსავალ ფუქტზე წარმომქმნელი ელემენტების დართვით (და ლექსიკური მნიშვნელობის ცვლით).

მაგრამ არსებობს ისეთი ენობრივი ერთეულები, რომელთა ოპოზიციური მიმართება შინაარსობრივად სიტყვაწარმოებითა, მაგრამ ეს სადერივაციო ელემენტებს არ უკავშირდება; მაგალითად:

1. ცნობილია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი წარმოქმნილია პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან. ამავე დროს, ეს წარმოქმნა:

ა) I პირის ნაცვალსახელთან დაფუძნებულია ფუძის სუპლეტურობაზე:

**შე — ჩემ-ი**

ბ) III პირთან — სუპლეტურობასა და ბრუნვის ნიშნის წარმოქმნელ ფუნქციაზე:

**იგი — მის-ი**

მაგრამ რა არის ასეთი ოპოზიციის საფუძველი II პირის ნაცვალსახელისა და I-II პირთა ნაცვალსახელების მრავლობითის შემთხვევაში:

**შენ — შენ-ი**

**ჩვენ — ჩვენ-ი**

**თქვენ — თქვენ-ი**

სახელობითი ბრუნვის ნიშანი სადერივაციო ელემენტად ვერ მიიჩნევა; ამიტომაც ასეთი ფუქტოგანმასხვებელი გამოდის პარადიგმატული სტატუსი:

**შენ#** (როგორც უბრუნველი) — **შენ-ი** (როგორც ბრუნებადი).

2. ანალოგიური პრინციპი უნდა დავინახოთ ზოგი ზმნისართისა და სახელის შეპირისპირებაში. მაგ.: დღე (არს. სახ.) — დღე („დღისით“). ეს ომონიმის ტიპობრივი შემთხვევა არ არის. ოპოზიცია აქაც პარადიგმატულ საფუძველზეა:

**დღე-ი** (ბრუნებადი) — **დღე#** (უბრუნველი ან თავისებურად ბრუნებადი).

## ნოდარ არდოტელი

### ლატერალურ აფრიკატთა გენეზისისათვის ნახურსა და დაღესტნურ ენებში

ნახურ-დაღესტნური ენებიდან ლატერალურ აფრიკატთა სისტემა, რომელიც ხუთწევრიან ლოკალურ რიგს გულისხმობს, სინქრონიულად შემონახულია ოდენ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯუფში, არჩიბულსა და ბაცბურ ენებში. არაინტენსიური აბრუპტიული ლატერალური აფრიკატი \*ტ’ გვხვდება მხოლოდ ხუნძური ენის ზოგ დიალექტში, ანდიურში, კარატაულსა და ახვახურ ენებში. ბაცბურ ენაში \*ტ’ „სპონტანურად შეიცვალა: \*ტ’ > ტ. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში სპირანტიზაციის ტენდენციით გამოირჩევა \*ლv, დიდოურ ენებში კი — \*ლ’, მაგ.: ახვ. ლ”აბ- ~ ხუნდ. ლ’აბ- ~ ბეჭ. ლ’ა- „სამი“; ხუნდ. ანლ’- ~ ანდ. ონლ’ი- ~ დიდ. ილ’- „ექვსი“...

ქვევით სქემატურად წარმოდგენილია საკვლევი ენების ლატერალურ აფრიკატთა (resp. სპირანტთა) შესატყვისობების ძირითადი ფორმულების სინოპტიკური ტაბულა.

სერია ენები	მულერი	არაინტენს. ფუნგინგირი	ინტენს. ფუნგინგირი	არაინტენს. აბრუპტივი	ინტენს. აბრუპტივი
*	ლ	ლv	ლ’	ტ	ტv
ხუნძური	ტv	ლ’	ლ’	ტ	ტv
ანდიური	ტv	ლ’	ლ’	ტ	ტv
ბოთლისური	ტv	ჰ	ლ’	ტ	ტv
ბაცბალური	ტv	ლ’	ლ’	ტ	ტv
კარატაული	ტv	ლ’	ლ’	ტ, ლ	ტv
ახვახური	ტv	ლv	ლ’	ტ	ტv
დიდოური	ლ’	ლ’	ლ’	ტv	ლ’
არჩიბული	ლ’	—	ლ’	კ	ქ
ბაცბური	ლ	—	ხ	ტ	ლ

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ენაში აფრიკატული ლატერალების რეფლექსები სპირანტურ ცვლილებების შედეგად

ერთმანეთს დაემთხვნენ (ბაცბ. \*ტ’ > ლ’, \*ლ’ > ლv; საკ. დიდ. \*ლv > ლ’, \*ლ’ > ლ’). გარდა ამისა, მულერი ლატერალური აფრიკატები საკვლევ ენებში არ შემონახულა, ამიტომ ამ ფონემათა რეკონსტრუქცია ჰიპოთეზური ხასიათისაა.

ლატერალურ რეფლექსთა ზემოწარმოდგენილი თანხვდენა გარკვეულწილად შეპირობებულია იმით, რომ ნახურ-დაღესტნურ ენათა ყრუ ლატერალები ერთდროულად გვევლინებოდნენ ორი კორელაციის (ა. რეკურსიისა და ბ. ინტენსიურობის) წევრებად.

3. დანარჩენ საკვლევ ენებში ამოსაგალმა ლატერალურმა აფრიკატებმა სხვადასხვაგვარი და სხვადასხვადროული ტრანსფორმაციის შედეგად მოვცეს მრავალგვარი რეფლექსები. ქვევით ტაბულის სახით მოვცავს მხოლოდ ძირითადი სახესხვაობანი.

სერია ენები	მულერი	არაინტენს. ფუნგინგირი	ინტენს. ფუნგინგირი	არაინტენს. აბრუპტივი	ინტენს. აბრუპტივი
*	ლ	ლv	ლ’	ტ	ტv
ლაკური	ლ/ქ	ხ	ხ	კ	კ
დარგული	ქ/გ	ქ	ქ/ღ	კ	ც // ჸ
ლეზიური	ქ	ხ	ღ	ყ	კ
თაბასარანული	ღ	ხ	ხ	კ	ქ
აღულური	ე/ხ	ხ	ქ	კ	ქ
რუთულური	ჟ/წ	ხ	ჸ // ხ	ყ	გ/ქ/ჸ
წახური	ღ/ლ	ხ	ხ	კ	გ/ქ/ქ
ხინალულური	ჸ	ქ	ქ	კ	ქ/ჸ/ქ
უდიური	ღ/ლ	ხ	ქ	ყ	ყ
ჩეჩინური	ლ	—	ხ	ტ	ლ

სპეციალურ ლიტერატურაში საანალიზო ლატერალთა შესახებ გამოთქმულია სხვადასხვაგვარი მოსაზრებები: ერთნი მათ ველარულ თანხმოვნებს უკავშირებენ (ნ. ტრუბცეცკოი, არნ. ჩიქობავა, ო. კახაძე...), მეორენი ლატერალებს ჩრდილოკავკასიური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღაღგენენ (ე. ბოკარევი, ტ. გუდავა, ო. დემერიევი, ბ. გიგინეიშვილი...), მესამენი კი ლატერალების არსებობას საერთოკავკასიური (resp. საერთოიბერიულ-კავკასიური) ფუძენის ხა-

ნისთვის ვარაუდობენ (ვ. გინეკენი, კ. შმიდტი, პ. ფენრიხი, მ. ქურდიანი...).

ჩვენი აზრით, ლატერალური აფრიკატები უდაოდ რეკონსტრუ-ირდება საერთონახურ-დაღესტნურ ენობრივ დონეზე. ფუქენაში ლა-ტერალთა პოვნიერების დასასაბუთებლად უტყუარ არგუმენტს წარმოადგენს ის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვი-სობანი, რომლებიც თვალსაჩინოდ ვლინდება ნახურსა და დაღესტნურ ენებს შორის.

## მაია ბარიხაშვილი

### **ბე- სუფიქსის განაწილებისათვის ინგილოურ დიალექტში**

ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, ჩვენი მოსაზრება ამ მორფოლოგიური ერთეულის შესახებ ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა მკვლევრების ვარაუდისაგან განსხვავდება.

ქართული ენის ინგილოურ დიალექტში **-ბე** სუფიქსი სხვადასხვა ფუნქციით არის წარმოდგენილი.

1. **-ბე** სუფიქსი აღნიშნავს მიცემით ბრუნვაში დასმულ ირიბობიერებს:

ზარდომ-ბე უთხარ მოუდეს „ზარდოს უთხარი მოვიდეს“.

ბებრი-ბე ებნებ „მოხუც ქალს ეუბნება“.

ზემ მიაქს, ბებრი-ბე აზლევს „რე მიაქს და მოხუც აძლევს“.

მამამ-ბე მისც „მამას მიყცი“.

2. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, **-ბე** სუფიქსი ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას და გამოხატავს მიცემითში დასმულ ირიბობიერებს | და || სერიის ზმებთან მაშინ, როდესაც ინგილოურის ალიაბადურ კილოკავში ჩვეულებრივ გამოიყენება -ს ნიშნანი მიცემითი:

ბურთი-ბე ჰერავს — ბურთს არტყამს (ალიბეგლო, ქოთოქლო)

ბურთს ჰერავს (კაკ. ალიაბათ, ითითალა, მოსული და სხვ.)

3. **მეორე შემთხვევაში -ბე** სუფიქსი ინგილოურ დიალექტში თვის/-თუნ თანდებულების პარალელურად გამოიყენება:

კაცი-თუნ//კაცი-ბე უთქომ (კაკ., ალიაბ., ქოთ.)  
ზაღლი-ბე „ძაღლისთვის“.

**-ბე**-ს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი მოეპოვება: (-ბე/-ბევ// -ბევ// -ბეთ),

მაგალითად: თავი-ბევ, კაცი-ბევთ, რა-ბეთ, ფაჭხა-ბე და სხვ.  
ეს თანდებული ინგილოურ დიალექტში დაერთვის ნათესაობით ბრუნვას.

ემ ქალითუნაც ერ წყილ ბაშმაყ გაასწორას „ამ ქალისთვისაც ერთი წყვილი ფეხსაცმელი იყიდოს“.

შენ კად კაც ხარ, შენ გულისთუნ სამ წელზე ჩუმუალ „შენ კარგი კაცი ხარ, შენი გულისთვის სამ წელს დავაკლებ“.

ჩონბე მაიღა, მეზობლიბე კი არ „ჩვენთვის მოიტანა, მეზობლისთვის კი არა“.

რამდენადაც ქართული ენისათვის **-ბე** სუფიქსი უცხოა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინგილოურ დიალექტში იგი შემოსული უნდა იყოს ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მეტყველებიდან.

ნათელა როსტიაშვილი თავის ნაშრომში ცდილობს **-ბე** სუფიქსის გენეზისი ეძინოს იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაძეს.

## მანანა ბუკია

### **ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. IV. კულინარიული ლექსიკა**

ქართველთა და აფხაზთა ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს ენობრივ მასალაში.

მოხსენებაში განხილულია ერთ-ერთ დარგში, კულინარიულ ლექსიკაში მოძიებული სიტყვები. რამდენიმე ათეული ლექსიკური ერთე-

ულის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სესხება ორივე მიმართულებით ხდება, გვაქვს უცხო ენებიდან შეთვისებული ფორმები, უკუნასესხობები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორენოგანი კომპოზიტები, რომელთა დიდი ნაწილი აფხაზურ ენაშია წარმოდგენილი, გვხვდება მეგრულშიც.

ლექსემათა ნაწილი უკვე განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ნაწილი კი ჩვენ მიერაა პირველად შემოთავაზებული.

ქართველური > აფხაზური:

მეგრ. **ბჟე** „ძმარი“ > აფხ. **ა-ბჟევა** „id“

მეგრ. **გებუალაფირი** „ახალი სულგუნი პიტნით და მარილით შეკმაზული“ > აფხ. **ა-გაბუაფირი / ა-გ-გებუაფირი** „id“

ქართ. **ზედაშე** „წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების ან ჯვრისწერის დროს“ > აფხ. **ა-ზადაშ** (აბჟ.) „ზედაშე, ქვევრიდან პირველად ამოღებული ღვინო“

მეგრ. **კაჭაბე** „ნიგვზიანი სუნელი“ > აფხ. **ა-კაჭბევა** „id“

მეგრ. **კვარწახი** „ტყემლის საწებელი“ > აფხ. **ა-კვარცახ** „id“ (შაგიროვი)

მეგრ. **კოხა** „ტყემლის სიმჟავე, კვაწარახი“, ლაზ. **კოხა** „მკვახე ყურძნი“ > აფხ. **ა-კახა** „ტყემლის საწებელი“

მეგრ. **ჯანჯუხა** „ჩურჩხელა“ > აფხ. **ა-ჯანჯუხა / ა-ჯანჯუღა** „id“ (ჯანაშია)

აფხაზური > ქართველური:

**ა-ცეცუცჰა** „თათლითა და ქონით შეზავებული ღომი“ > სვან.

**ცერცემა** „ფაფა ქონნარევი“ (საღლიანი)

**ა-ცქაში** „რიტუალური ყველი“ > მეგრ. **ცქებზი** „id“

**ა-ძერძ** „პიტნიანი მაწონი“ > მეგრ. **ძირძი / ძერძე** „წიწაკითა და მარილით შეზავებული მაწონი“

**ა-ხვაჭა** „ხსენი“ > მეგრ. **ხივაჭა / ხევეჭი...** „id“

უცხო ენებიდან შეთვისებული ლექსიკა, სადაც სესხების შუალედური რგოლი ქართველურია:

ბერძ. **μαζα** „ნამცხვარი“ > მეგრ. **მაზგა** „ნამცხვარი ფქვილისა და თაფლისაგან“ > აფხ. **ა-მაჟია** „ნამცხვარი“ (მაჭვარიანი)

იტ. **maccheroni**, რუს. **Макарони** > ქართ. **მაკარონი** > მეგრ. **მაკარნა** > აფხ. **მაკრუნა** „id“

სპ. **შაქსირი** > ქართ. **შაქარი** > აფხ. **ა-შაქარ / ა-შაქარი** „id“ (ჭარაია, შაგიროვი)

ჰიბრიდული კომპოზიტები:

ა. აფხაზური:

**ა-კალიაყიგდ / ა-ყიგდკალია** „პარკი ლობიო“ < **კალია** (მეგრ.)

„კალა“, **ა-ყიგდ** (აფხ.) „ლობიო“ (გვანცელაძე)

**ა-ცხარანჯ** „ფიჭა“ < **ა-ცხა** (აფხ.) „ფიჭა“, **[სა]რანჯი** (მეგრ.) „ფიჭა“

**ა-ჩა-ღ-აზალ** „რიტუალური პური“ < **ა-ჩა** (აფხ.) „პური“, **ღელ-ზელი** „ხორცის, ყველ-კვერცხისა და მისთ. გულის მქონე ნამცხვარი“ (ქევლ)

**ა-ყ-გდხარკალევა** „კირკაჟი“ < **ა-ყ-გდ** (აფხ.) „ლობიო“, **ხარკალია** (მეგრ.) „კირკაჟი“ (გვანცელაძე)

ბ. მეგრული:

**ხივებუა** „ხსენი“ < **ა-ხვაჭა** (აფხ.) „ხსენი“, **ბჟე** (მეგრ.) „რძე“

გვაქვს რამდენიმე სიტყვა, რომელსაც უკუნასესხობად ვთვლით მეგრულში:

**აჭიკა** „დანაყული წიწაკისა და სხვა სანელებლების ცხარე საწებელი“ აფხაზურიდანაა შემოსული, აფხაზური ფორმა კი მომდინარეობს მეგრულში არსებული შესიტყვების **\*ჭიმუ-კაკილი-საგან** > **\*ჭიმუ-კაკილი** > **\*ჭიმკა** > **\*ჭიკა** (ლომთათიძე).

**ხვაჭია** (მეგრ.) „კონუსისებრი რიტუალური კვერი“ შეიძლება სამურზაყანულში აფხაზურის გავლენით გაჩენილიყო, თავის მხრივ აფხ. **ა-ც-აჟია** „კონუსისებრი კვერი, რომელსაც სპეციალურად მსხვერპლშეწირვისთვის, ან ყველიერის თავზე აკეთებდნენ“ < მეგრ. **ხოზო** „პატარა კონუსის ფორმის კვერი, გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის დროს“.

## თე ა ბურჭულაძე

### ერგატივის ზოგი საკითხი აღმოსავლურ დიალექტებში

კონტაქტის ერთ-ერთი ნიშნის მიხედვით პოლიპერსონალურ ზმნა-შემასმენლებიან წინადადებაში ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა ბრუნვაში მართავენ ქვემდებარეს. როდესაც წინადადებაში რამდენიმე შემასმენელია ერთ ქვემდებარესთან და ისინი განსხვავებულია გარდამავლობისა და სერიების მიხედვით, რა თქმა უნდა, ქვემდებარე ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვაში არ ეწყობა. მიღებული თვალ-საზრისით, ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე იმას უწევს ანგარიშს, რომელი ზმნა-შემასმენელიც უახლოესია მასთან (ლ.კვაჭაძე).

ასეა ტრადიციულად, თუმცა ზოგ აღმოსავლურ დიალექტში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი პოლიპრედიკატულ წინადადებაში მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში გარდამავალის მსგავსად. საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე, როგორც მოსალოდნელი იყო, არა სახელობითში, არამედ მოთხრობით ბრუნვაში დგას: „ადგა ამ ბიჭა, აიღო მშვილდ-ისარი და წავიდა“; „პატარამ ეუბნევა დეფსა: მაცადე ცოტა ხანსაო“; „გადაუდგენ ამ შვილებმა და უთხრეს“; „ადგა ამ სოვდაგარმა, ძალიან ავანტყოფობა დაიწყო, ძალიან იავანტყოფა“; „ამ კაცმა მიებარა და ხაზეინის ცხენს ცხვირი მოჭრა“.

აღმოსავლურ კილოებში შეგნება ზმნის გარდაუვალობისა ფერ კიდევ არის, რის გამოც მარტივ წინადადებაში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მუდამ სახელობითშია. იშვიათად გვაქვს გამონაკლისი: „ყმებმა არ უშვებენ“; „დაიღოალა ბიჭმა“...

უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახელებული ტიპის წინადადებებში სინტაქსურ ანალოგიასთან გვაქვს საქმე. ზმნების დიდი ნაწილი გარდამავალია, რომლის მოქმედება მიმართულია უფრო დამატების-კენ. ეს სინტაქსური მოვლენა ძირითადად ისეთი ტიპის რთულ წინადადებაში გვხვდება, როცა პირველი ზმნა-შემასმენელი გარდაუვალია. თუმცა საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგან წინადადებაში საერთოდ არ არის გარდამავალი ზმნა, რომლის ანალოგიითაც იქნებოდა ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში შეწყობა: „შვილებმაც უყურე-

ბენ, როგორ ლამაზები არიან“; „მანამ მტერი მოვიდოდა, ბიჭმა ცხენზედ შეემზადა საომრათა“; „გადაუდგენენ ამ შვილებმა და იჩხუ-ბეს“.

### შალვა გაბესკირი

#### შენიშვნები „გეფხისტუასნის“ ახალ გამოცემათა კომენტარებზე და ორი ტაეპის წაკითხვისათვის

მოხსენებაში ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დადგენილი ტექსტის საფუძველზე განხორციელებული 2006 და 2009 წლების გამოცემების, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებული ინფორმაციებისა (შემდეგში ვტკ) და ე.წ. სასკოლო გამოცემათა (თეზისებში „სასკოლო“) წაკითხვების შესახებ რამდენიმე ჩვენეული გაგებაა შემოთავაზებული. ვსარგებლობდით „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემით.

ა. ლექსიკონში პირის სახელები სხვადასახვა ფორმითაა წარმოდგენილი. უმრავლესობა სახელობითი ბრ. ნიშნით, ერთი ნაწილი კი ფუძის სახითაა გატანილი, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორი ანთროპონიმი ერთად გვხვდება. მაგ.: ვისი, მაგრამ — რამინ.

ბ. სიტყვის კნინობით ფორმად ჩათვლილი ზოგიერთი სალექსიკონ ერთეული უფრო რითმის საჭიროებით აიხსნება. მაგ.: მეოტა „ოტებული“, „გაქცეული“, სხვა ნაწარმოებებში მეოტი ფორმითაა დამოწმებული. „ნუ განვალნ მეოტი ქალაქისა ამისგან“. მეოტა სარითმო სიტყვაში გვხვდება: ცოტანი, მეოტანი, კოტანი, მოტანი.

შემაგონა „შემონებელი“ — ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემაგონანი — 590, 2. სტროფში სარითმო სიტყვებია: მონანი, შემაგონანი, წონანი, ფონანი.

იეფო „უხვი“, უნდა იყოს იეფ—ი: „მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდნიდეს იეფოსა“ — 148, 2 სარითმო კლაუზულის გამო — სამეფოსა, იეფოსა, სასწრაფოსა, სადაფოსა.

პურად და საჭმლად მივენდევ ჩემსა მშვილდსა და ცერასა — 166,4

ცერა ისრადაა ახსნილი — ვტ კ, „სასკოლო.“

უნდა იყოს ცერი, რომლითაც მოისარი მშვილდს მოზიდავს.

ცერა ფორმა სარითმო ევფონიითაა ასახსნელი: მე რასა, წერასა, მღერასა, ცერასა.

სასკოლო გამოცემის მიხედვით „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის გვარი ხომელია. სწორია 20 ხელნაწერში დადასტურებული ხონელი (გ. არაბული), 1 ნუსხაში დამოწმებული ხომელის პოვნიერება კი, ვფიქრობთ, ზემოხსენებული მიზეზით აიხსნება—ხომელსა, რომელსა, ენადაუშრომელსა, ცრემლშეუშრომელსა.

გ. სელი ლექსიკონში უმართებულოდ მრ. რ. ფორმითაა გატანილი (სელნი):

მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა — 124,3

დ. სიტყვის განსხვავებული გაგება :

მართლად უთქვამს მეცნიერთა: „წყენააო ჭირთა ბადე“ — 815,2

ბადედ არის გაგებული ბევრ გამოკვლევასა და თარგმანში: რუსული (сеть — ს. ოორდანიშვილი), ინგლისური (a net — მ. უორდრობი) და სხვ. ეს სიტყვა ბად- ზმისგან ნაწარმოები მიმღეობაა. „წყენა ჭირის გამოწვევი, გამჩენია“.

ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სილისა — 320,3

სილისა — ჭლექიანისა, აქ დასუსტებულისა — „სასკოლო“.

ამავე თავში ტარიელი ამბობს:

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით ყატასა ვხოცდი ლომისა — 328,4

ყატა — ფრინველი — „სასკოლო“

ორივე შემთხვევაში ტრადიციული იყითხვისია სწორი, რომლის მიხედვით სილი სტროფის სარითმო სიტყვებსაა მისადაგებული სირი (ჩიტი), არის (ცილისა, შლილისა, სილისა, შვილისა), ხოლო მეორე მაგალითში კატა.

ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა მსახემან — 738,2

განმარტებულია, როგორც ნათლის ხატი — ვტ კ. ვფიქრობთ, ნათელთა მსახე სინათლის შემქმნელი ღმერთის ეპითეტია.

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი — 123,1  
გაძრცვილი „შიშველი“, „ტიტველი“, „შილიფად ჩაცმული“ — „სასკოლო“.

ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არბარგოსანი — 1355,1

არ-ბარგოსანი — შესაძლოა ორგვარი გაგება: 1. შილიფად ჩაცმული; 2. უტვირთო, თავისუფლად მჯდომი — „სასკოლო“

გაძრცვილი „უსამკაულოს“ უნდა ნიშნავდეს, ხოლო არბარგოსანი — „მარტოს“.

სათი „გიშერი“ — „სასკოლო“. ჩვენი აზრით, უფრო წითელი ფერის ქვას, მარჯანს უნდა ნიშნავდეს. ....ბროლი ბროლდა, სათი სათდა“. პირისახეს ფერები დაუბრუნდა —თეთრი და წითელი.

ე. სიტყვათა წარმომავლობა:

ვტ კ—ს გამოცემაში სომხურადაა ჩათვლილი ქართული სიტყვები: კაპანი, კაპარჭი, სათი (მუჭი წითელი ფერის მარჯანი).

საეჭვოდ გვეჩვენება რუბისა და დამის ნასესხობებად მიჩნევა: რუბი (არაბ. რუბბ „წვენი“, არაბ.-სპარს. რუმბი), დამი — ბერძნული, სპარსული (ა.გვახარია), არაბული („სისხლი“). ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა (რუსთველის ჩამომავლობის — „სასკოლო“). ჩვენი აზრით, აქ ქართული სიტყვა დაბა უნდა იყოს. კვლავ არაიდენტური რითმები? ღამისა, ჟამისა და რუსთველისა დამისა ან რუსთველისად ამისა.

მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები — 1146,3

რუს მრ.რ. ფორმა უნდა იყოს. რუბები რითმის საჭიროებით შეიძლება აიხსნას. გუბები, შუბები, რუბები, ტყუბები. სათის (მარჯანი) რუები მეტაფორულად სისხლის ცრემლებს ნიშნავს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ხელნაწერები და პოემაში რუს ხმარება: .... არ დაწყვედდის ცრემლთა რუსა“.

სპარსულად მიჩნეული სარაჭი (ა. გვახარია) არაბული სიტყვაა. საპრიკ „წყალსაცავი“. შდრ. სვან. სარაგ, სარაგ („ლშე“) „წყარო“.

ვფიქრობთ, ისევე როგორც სპარსულ ენაში დამკვიდრებული ზოგიერთი ქართული ბოტანიკური ტერმინი: ნაძვი, ასკილი (მნიშვნელობის ცვლით „ზღმარტლი“), საროც ძველი ქართული ნასესხობაა ირანულ ენებში. შდრ. ტობ. სარო.

მოხსენებაში კიდევ ერთხელად განხილული ქვემომოყვანილი სადაცვო ადგილი:

1. ამ საქმესა მემორიალის დიონოსი ბრძენი, ეზროს — 177, 1  
რუსთველოლოგთა უმრავლესობა აქ ორ პიროვნებას მოიაზრებს:  
დიონისე არეოპაგელს და XII ს. ესპანეთში მოღვაწე ებრაელ პოეტს  
მოსე იბნ ეზრას.

აღიძვრის რამდენიმე კითხვა: რატომ არიან ერთად მოხსენებული სხვადასხვა აღმსარებლობის აფტორები, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულ ეპოქასა და ქვეყნებში ცხოვრობდნენ და სხვადასხვა ენაზე ქმნიდნენ თავიანთ თხზულებებს? ხსენებულ აფტორებთან „ვეფხებისტუასნის“ მსგავსი ადგილი არ დასტურდება. ვის მიემართება ეპითეტი ბრძენი? შესაბამისად სად უნდა დაისვას სასვენი ნიშანი? რა ფორმაა ეზროს ბრძენი ეზროს თუ ბრძნისა ეზროს?

ამ თვალსაზრისით მხედველობაში არის მისაღები შემასმენლის მხ. რ. ფორმით პოვნიერება (მემორიალის), რის გამოც ქვემდებარე ერთზე მეტი არ უნდა იყოს. სხვა შემთხვევებში მრ. რ.-ში მდგარი ქვემდებარე შემასმენელთან რიცხვშია შეთანხმებული.

აპა მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემორიან — 964, 1

იგინიცა დაემოწმეს ამა მისსა ნაუბარსა — 1389, 1

ა. შანიძე ავთენტურ წაკითხვას ამგვარად ვარაუდობს:

ამ საქმესა მემორიალის „დიალნოსი“ ბრძნისა ეზროს

ეზროს ფორმა დამკვიდრდა თარგმანებშიც. ეზრას ნათ. ბრ. ფორმა შეიძლება ეზრასი ყოფილიყო, როგორც ეს ა-ზე დამთავრებულ საკუთარ სახელებთან გვაქვს. მაგ.: „სიტყვის კონა“ საბასი, კონცეფცია აკად. ა. ჩიქობავასი და ა. შ.

ჩანს, რუსთაველი ითანე პეტრიწის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიურ თხზულებას „კალანდამ თქმული ეზრა წინასწარმეტყულისად“ იცნობდა.

2. ყმამან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა“ — 1050, 1. ბევრ ნაშრომში გაზიარებულია შეხედულება, რომ მხადი ხად — („მოხმობა“, „დაძახება“) ზმნიდანაა ნაწარმოები და იგი არსთა გამჩენს (მხმობელს) ნიშნავს. იხ. ვტ კ, სასკოლო.

შინაარსობრივად არსთა მხედი უნდა იყოს, რომელიც პოემაში რამდენჯერმე გვხვდება. ამ მოსაზრებას მხარს ხელნაწერთა ჩვენებაც უჭირს. მხადი ფორმის გაჩენაში, ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, სტროფის სარითმო სიტყვებმა ითამაშა როლი: არსთა მხადსა, აქა ქმნადსა, ზოგსა ცხადსა, მოწევნადსა.

## ელისაბედ გაზდელიანი

### ზედსართავ სახელთა ხარისხები სვანურში

ცნობილია, რომ ვითარებით ზედსართავ სახელებს სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ხარისხის გრამატიკული კატეგორია ახასიათებს. ხარისხის რაოდენობის მიხედვით, ოპოზიცია სვანურში ოთხწევრიანია და ყოველ ხარისხს თავისი მარკერები (აფიქსები) აქვს.

თუ ხარისხის წარმოების მიხედვით დღევანდელი სვანურის დიალექტებს ერთმანეთს შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ ოთხწევრიანი ოპოზიცია კარგად არის დაცული ბალსზემოურში: **წერნი „წითელი“, ხო-წრან-ა „უფრო წითელი“, მა-წრან-ე „უწითლესი“, მგ-წრან-ა „მოწითალო“. ბალსზემოურში გამონაკლისია ის ზედსართავი სახელები, რომლებიც, სამეცნიერო ლიტერატურაში, უფროობით ხარისხში გაქვავებულ ფორმებად არიან მიჩნეული: ხო-შ-ა „უფროსი“, ხო-ჩ-ა „კარგი“, ხო-ლ-ა „ცუდი“, ხო-დრ-ა (ლნტ. ხო-ლდარ-ა) „უფრო ცუდი“, ხო-ხურ-ა ზს., ხო-ხრ-ა ლშ., ხო-რუ-ა ლნტ. „უმცროსი“.}**

ბალსზემოურში ეს ზედსართავები ოდნაობით ხარისხში ვერ დავადასტურეთ, ხოლო ბალსჟემოურსა და ქვემოსვანურში ოთხივე ფორმით გვხვდება.

**ხო-ჩ-ა „კარგი“, ხო-ჩ-ილ ზს., ლნტ., ხო-ჩ-ულ ლშ., „უკეთესი“, მა-ჩ-ენ-ე ბზ., ლშ., მა-ჩენ-ე ლნტ. „საუკეთესო“, ხო-ჩილ-შალ ბქ., ხო-ჩულ-არა ლშ., ხო-ჩილ-არა ლნტ. „ოდნავ უკეთესი, მოქარგო“.**

ბალსჟემოურში, ბალსზემოურთან შედარებით, ხარისხის ოთხივე ფორმას ზედსართავთა ნაკლები რაოდენობა აწარმოებს, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში სამწევრიანი ოპოზიციაა გაბატონებული. აღსანიშნავია, რომ, როგორც ბალსჟემოურში, ისე ქვემოსვანურში სამწევრიან ოპოზიციას, მირითადად, აღმატებითი ხარისხის ფორმები აკლია.

განსხვავებაა დიალექტებს შორის ოდნაობითი ხარისხის წარმოების დროს. ბალსზემოურში ოდნაობით ხარისხს უმეტესად **მგ-ა** კონფიქსი აწარმოებს, ზოგჯერ **-არა** დისიმლაციით **-ალა** სუფიქსიც იჩენს თავს. მაგ.: **მგ-მუირ-ა** || **მგუირ-ალა** „მოსველო“, **მგ-ითუ-ა** ||

**ათურიარა** „მოცელო“... ბალსქვემოურში ოდნაობითი ხარისხი -**შალ** - „გით“ თანდებულის საშუალებით აღწერითად იწარმოება. მაგ.: **სგელ-შალ** „მოსქელო“, **ჯუნელ-შალ** „მოძელო (ძველივით)“, ზოგჯერ -**პრ** სუფიქსიც გვხვდება. **ნეცნ-პრ** „მოწვრილო“, **დგთხლ-პრ** „მოთხელო“...

8. ნიუარაძის ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში ხშირია -**პრ** სუფიქსით ნაწარმოები ოდნაობითი ხარისხის ფორმები: **მგხმ-პრ** „მომუავო“, **მგვრ-პრ** „მომსხო“, **მგცხ-პრ** „მოცივო“, **ზესყ-პრ** „მონედლო“...

ქვემოსვანური დიალექტების ოდნაობითი ხარისხის ფორმებში გამოიყოფა **მგ- — ჲა**, **მუ- — ჲა** კონფიქსები და უმეტესად **-პრასლალშე.**, **-არა / -ალა** სუფიქსები. ეს სუფიქსები შეიძლება დაერთოს როგორც დადებითი, ისე ოდნაობითი და უფროობითი ხარისხის ფორმებს: **მგ-ნ-ჯოდა**, **მგ-ნ-ჯოდარა**, **ხო-ნ-ჯოდარა**, **ჯოდი-არა** ლნტ. „მოგრძო, ოდნავ გრძელი“.

## რუსულ გერსამია

### მორფემათა ჯგუფები და სახელურ მორფემათა რანგობრივი სტრუქტურა შეგრულში

მეგრულში ფუნქციური თვალსაზრისით მორფემათა სამი ჯგუფი გამოიყოფა: **ლექსიკური** (დერივაციული), **ლექსიკურ-გრამატიკული** და **გრამატიკული** (რელატიური).

1. **ლექსიკური** (დერივაციული) მნიშვნელობის მორფები აერთიანებს ძირეულ და ლექსიკური მნიშვნელობის მაწარმოებელ, წარმომქმნელ აფიქსებს. სემანტიკური თვალსაზრისით დერივაციული აფიქსები მეგრულში თორმეტ სხვადასხვა ჯგუფს ადგენენ (გ.კარტოზია);
2. **ლექსიკურ-გრამატიკული** მორფები ერთდროულად შეიცავენ ლექსიკურ და გრამატიკულ (resp. მორფოლოგიურ) მნიშვნელობებს. ასეთთა რიგს განეკუთვნება: მრავლობითობის აღმნიშვნელი ნიშანი სახელისა და ზმის სტრუქტურაში;

ქცევის, გვარის, კონტაქტის / კაუზატივის მორფები, ზმის-წინები და ნაწილაკები (=გეზის, ორიენტაციის, ასპექტის ამ-სახელი ფორმალური ნიშნები) ზმნებში. ენკლიტიკური ელემენტები (ნაწილაკები, თანდებულები და -ნი კავშირი) სახელებში.

3. **გრამატიკული** (რელატიურ) მორფების ფუნქციაა განსაზღვროს გრამატიკული მიმართებები ფრაზაში; სახელის მორფოლოგიურ სტრუქტურაში ეს იქნება ბრუნვის ნიშანი, ეპენთეზა (II ფონეტიკური ჩანართი), თანხმოვანთგამყარი, მავრცობი ხმოვნები. ზმის მორფოლოგიურ სტრუქტურაში -პირის ნიშნები, პარადიგმის ნიშნები (კავშირებითები, პირობითები, აორისტი, **ნო-ე-იანი** თურმეობითები), თემის ნიშნები, ობლიგატები, მავრცობი ხმოვნები.

ვინაიდან დერივაციული და რელატიური ან ლექსიკურ-გრამატიკული მორფები ერთმანეთისაგან ფუნქციურად განსხვავებულია, მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაზე მსჯელობისას ისინი უნდა გაიმიჯნოს. დერივაციული ფუძე სემანტიკურად ახალი ფუძეა, რომელსაც მიმართებების დასადგენად დამატებით სჭირდება რელატიური ანუ სხვა ტიპის, მისგან განსხვავებული მორფების დართვა; მორფემებისა, რომელთაც აქვთ გრამატიკული მნიშვნელობა და არა აზრობრივად განსხვავებული, მნიშვნელობით ახალი ოდენობის (ლექსიმის) წარმოქმნის ფუნქცია; თუ ძირეული მორფემა აღინიშნება ნიშნით R (ლათ. radix „ძირი“), წარმოქმნილი ფუძის ჩასაწერად შემოღებულია აღნიშვნა Ř, რაც ნიშნავს, რომ ძირეული მორფემა ნაწარმოებია — დაგრძელებულია ოდენ ლექსიკური მნიშვნელობის მქონე აფიქსებით (მ. ღამენია):

$$\text{ფუძე} = \text{ძირეული მორფემა (R)}$$

ან

$$\text{ფუძე} = \text{ძირეული მორფემა} + \text{დერივაციული მორფემა (R)}$$

მაშასადამე, ფუძეთა მორფოლოგიური სეგმენტირებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დროს რელევნტურია ახალი მნიშვნელობის ფუძე და არა ძირისეული მორფემა. შდრ.:

(1) კონ-ი	კონ-ქ
კაცი-NOM.SG	კაცი-ERG. SG
(2) კოჩანა	კოჩანა-ქ
კაცობა-NOM.SG	კაცობა-ERG. SG
(3) კოჩანიერ-ი	კოჩანიერ-ქ
კაცური- NOM.SG	კაცური-ERG. SG

მეგრულში მორფემები განლაგებულია ფუძის წინ და მომდევნოდ რანგების შესაბამისად. სახელური მორფემები მხოლოდ სუფიქსებია, ზმნური კი შეიძლება იყოს პრეფიქსული, სუფიქსური, ინფიქსური და კონფიქსური. ამდენად, მეგრული ენის ზმნური სტრუქტურა გაცილებით რთულია, ვიდრე სახელისა.

მეგრულში სახელის მორფოლოგიური რანჯირებისას მორფემები განლაგდება მხოლოდ ფუძიდან მარჯვნივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ენაში სახელს დართული მორფოლოგიური სეგმენტები მხოლოდ სუფიქსური მორფემებია.

სახელებში მორფემათა რანგობრივი განლაგების ყველაზე გრძელ მიმდევრობას ასეთი სახე აქვს: R-I-II-III-IV-V-[VI-VII], თუმცა ამ სინტაგმატურ განლაგებას გარკვეული შეზღუდვები ედება, რის საფუძველზეც ერთდროულად რეალიზებად მორფემათა რიცხვი მაქსიმუმ ხუთია.

სახელური სუფიქსები რანგების მიხედვით ასე ნაწილდება:

- I — თანხმოვანთვამყარი -ო;
- II - ეპენთეზა -ლ;
- III - რიცხვის მარკერი (-ებ || -ებ || -ენ);
- IV — ბრუნვის მარკერი (-ი, -ე, -ს, -იშ || -იში, -იშა, -იშე,

-იშო; -ით || თი; -თი || -ო);

- V — მავრცები ხმოვანი (-ი, -უ, -გ);
- VI — თანდებული (-ხ || -ხი, -ნი „თვის“, -წერა, -გურა);
- VII — ნაწილაკი (-ო, -თ(ი)).

ერთი რანგის მორფემები შეუთავსებელია ერთმანეთთან სინტაგმატურად; რომელიმე რანგის მორფემის გამოტოვებისას რანგობრივი თანმიმდევრობა არ ირღვევა.

თუკი მორფემათა საზღვარზე ამ მორფემების შემადგენელი ფო-

ნემები არაკანონიკურ კომპლექსებს ქმნიან, ენა მიმართავს არაკანონიკურობის დაძლევის რამდენიმე გზას.

სახელთა რანგობრივი სტრუქტურის აგებისას სიახლეს წარმოადგენს უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კვლევის (იხ. კარტოზია და სხვ., „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“, 2010) საფუძველზე ორი ახალი მორფემული ელემენტის სეგმენტირება და მისი ჩართვა რანგობრივ სტრუქტურაში:

1. ძირეულ მორფემასა და ბრუნვის მარკერს შორის მრავლობითის 29 ფუძეში გაჩენილი -ლ სონორი, რომელიც, მისი ფუნქციიდან (ხმოვნებს შორის ჰიატუსის აცილება) გამომდინარე, კვალიფიცირებულია ეპენთეზიდ<sup>1</sup>.

2. თანხმოვანთვამყარი -ი, ანუ სახელთა ბრუნებისას არაკანონიკურ კომპლექსთა სუპერაციისთვის ჩართული ობლიგატი.

## გვანცა გვანცელაძე

### კონცეპტი სული ქართულში

1. კონცეპტი სული მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა კულტურის ხალხთა შორის. სწორედ სულის კონცეპტის საფუძველზე ხდება ენებში საგანთა დაყოფა სულიერ და უსულო საგნებად და ამ საფუძველზე შესაბამის სახელთა დაგუფება სულიერთა და უსულოთა აღმნიშვნელ სახელებად, რაც ხშირად კონკრეტული ენების მორფოლოგიასა და სინტაქსზეც ახდენს გავლენას. მაგალითად, ქართულ ენაში სულიერთა სახელებით გამოხატული ქვემდებარე რიცხვში ეთანხმება შემასმენელს, ხოლო უსულოთა სახელით გამოხატული ქვემდებარე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუთანხმდება შემასმენელს, თუ სახელი გასულიერებულია.

თანამედროვე ქართულში სულის ცნება და მისი სახელი „სუ-

<sup>1</sup> Epenthesis — (ლათ.) ხმოვანთა ჰიატუსის აცილების მიზნით გაჩენილი ფონეტიკური ჩანართი.

**ლით** „საკმაოდ ფართოა. ქეგლ-ის მიხედვით, სული არის:

1. ადამიანის ფსიქიკურ უნართა ერთობლიობა, — აზროვნება, ცნობიერება;
2. არამატერიალური საწყისი, დასაბამი, რომელიც წარმოადგენს ბუნების, საგნებისა და მოვლენების მამოძრავებელ ძალას, — გონი;
3. ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნების ფსიქიკური თვისებები, რაც მის მოქმედებას განსაზღვრავს;
4. უსხეულო ზებუნებრივი არსება;
5. ადამიანის არსების ღვთაებრივი მხარე, რომელიც უპირისპირდება სხეულს (ხორცს) და რომელიც უკვდავია;
6. შესუნთქული და ამოსუნთქული ჰაერი, — სუნთქვა;
7. გადატ. ადამიანის სიცოცხლე;
8. ცალკეული ადამიანი, პიროვნება, კაცი; ცალკეული პირუტყვი;
9. გადატ. ძირითადი აზრი, არსი, დამახასიათებელი თვისება, თავისებურება.

შესაბამისად, ფართოა სიტყვა „**სული**“-ისაგან ნაწარმოები სახელი „**სულიერი**“, რომელიც ამჟამად აღნიშნავს: 1. ცოცხალ არსებას, სულდგმულს; 2. ადამიანის შინაგან ფსიქიკურ სამყაროსთან დაკავშირებული თვისებების მქონეს; 3. ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული, საეკლესიო თვისების მქონეს.

2. ძველ ქართულშიც „**სულის**“ ცნებასა და შესაბამის სიტყვას საკმაოდ ფართო სემანტიკა ჰქონდა და კონცეპტუალიზებულიც იყო, რაც კარგად ჩანს სიტყვა „**სულის**“ საბასეულ განმარტებაში: „ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქვს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვნებისა ძალი. ხოლო სული პირუტყვითა, რომელ არს სამშვინველი, სისხლისაობითი და სიცოცხლით განმატფელობითი, მოძრაობითი ნივთიერისა ძალისა მოქმედება და გრძნობის ქონება; ხოლო კაცითა სული — სიტყვიერი, არსება-გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი, არსება-წვლილი, უსახო, ხატი და მსგავსი ღმრთისა; სული ანგელოზი — სიტყვიერი და გონიერი და მეორე ნათელი; და ეშმაკნიცა, რომელთა თვით დაიბნელეს თავი თვისი ამპარტავნებითა; და სული — სული წმიდა — დამბადებელი ამათ ყოველთა, პირველი ნათელი და მიუწვდომელი; ქარნიცა სულად უთქვამთ. სული გულისხმა-იყოფის ოთხგარად: სული — სული-წმიდა; სული — ანგელოზი, სახიერი; სული — ეშმაკი; სული — სულიცა ჩუენი. ხოლო არს, ოდესმე გონებაცა სულად ითქვას ქარისა, ხოლო განეყოფვის სული

სიტყვიერი სულსა პირუტყვთასა: არს სული სიტყვიერი არსება-გონიერი, უსხეულო და უცნაური, სიტყვიერი ხორცთა ცხოველ-სმყოფელობითი და მდგომარეობისა მიმცემლობითი; სული არსება-წვლილი უნივერს, უსახო, ხატი და მსგავსი ღმრთისა; ხოლო პირუტყვითა სული არს სისხლისაობითი სიცოცხლითი და განმატფელობითი და მოძრაობითი ნივთიერისა სულისა მიერ მოქმედება და ძალი ნივთიერი მოქმედებითი და გრძნობითი და ხორცთ შემამტკიცებელობითი“.

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „**სული**“ ამგვარად განიმარტება: **სული** — „კაცი“, „გუამი“, „თაგი“, თავისთავი; ჰაერი, ქარი, სუნთქვა, „ორთქლი“; სუნი; ბოროტი სული; სული წმიდა.

3. ქართულ კულტურულ სივრცეში **სული** აღნიშნავს არა მხოლოდ ადამიანის შინაგან სამყაროს, არამედ ის შეიძლება იყოს მთელი ერის თვითშეგნების აღმნიშვნელი სიტყვაც (მაგალითად, როცა ვამბობთ ქართული **სული**, სრულიად გასაგებია, რომ საუბარია ერის ბუნებაზე, მის ხასიათზე, კულტურაზე და ა.შ.).

4. ქართულში არის უამრავი ისეთი ფრაზეოლოგიზმი, სიტყვათა მყარი შეხამება და გამონათქვამი, როგორებიცაა: **სული უდგას**, **სული და გული**, **სულითა და გულით**, **სულზე მიუსწრებს**, **სულმა წასძლია**, **სული მისდის**, **შენი სული ჩელშია**, **სულს დაფავს**, **სული კბილით უჭირავს**, **სულით დაცემა** და უამრავი სხვა.

მოხსენებაში ისტორიულ წერილობით წყაროთა მონაცემების მიხედვით წარმოდგენილი იქნება „**სულის**“, როგორც კონცეპტის, დახასიათება იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რაც მან დროთა მანძილზე განიცადა.

## ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

### დროის ზმნისართთა შესახებ სვანურში

სვანური ზმნისართების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, გ. კაჭარავა, ლ. სანიკიძე, კ. გაბუნია...) ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქმული. ჩვენ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ დროის ზმნისართებზე, რომელთა რაოდენობა სვანურში საკმაოდ

დიდია და წარმოების თვალსაზრისით მეტად საინტერესო.

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, აგებულების მიხედვით, გამოიყოფა დროის ზმნისართა არ ჯუფი: **პირველადი** და **ნაწარმოები**. პირველად ზმნისართა ჯუფის მიაკუთვნებენ ზმნისართებს, რომელთა მორთოლოგიური სეგმენტაცია (ძირეულ და აფიქსურ მორფემათა გამოყოფა) სინქრონიული თვალსაზრისით შეუძლებელია.

ზმნისართა ძირითად ჯუფის, როგორც ცნობილია, ქმნიან ნაწარმოები ზმნისართები, რომლებიც შეიცავენ მარტივ ფუქსეს და მნიშვნელობის მცვლელ სიტყვაწარმოებით აფიქსს ან ერთზე მეტ მარტივ ფუქსეს. რაც შეეხება ძირეულ ზმნისართებს, ისინი სვანურში, ქართულისა და ზანურის მსგავსად, შედარებით მცირერიცხოვანია: **ბაზი** „ამაღამ“, **ლადი** „დღეს“, **ლათ** „წუხელ“, **ათხე** „ახლა“ და სხვ.

მაშასადამე, ზმნისართა წარმოება ხდება როგორც აფიქსების საშუალებით, ასევე კომპოზიციით. ნაწარმოებ დროის ზმნისართებში თვალნათლივ გამოიყოფა აფიქსური ელემენტები, რომლებიც გამოხატულების პლანში ბრუნვის ნიშნებს ემთხვევა.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს ზმნისართად აქცევს სახელს: **ძინარ-ს**, **ჰამ-ს** „დილას“, **ნაბოზ-ს** „საღამოს“...

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნითა გაფორმებული ზმნისართები:

**ბზ., ლეთ-შუ||ლეთ-შუ, ბქ. ლეთ-შუ „ღამით“, ლადელ-შუ||ლა-დელ-შუ „დღისით“....**

სვანურში საქმაო რაოდენობით დასტურდება პრეფიქსებით ნაწარმოები დროის ზმნისართები.

**ლე-** პრეფიქსითაა ნაწარმოები: **ლე-პნ-ა**, **ზს.**, **ნეპნა** ბქ., **ლენა**, **ნენა** ლშ., **ლენა**, **ნენა** ლნტ., „შარშან, შარშანწინ“.

ერთსა და იმავე ფუქსეს შეიძლება სახელის მნიშვნელობაც ჰქონდეს და ზმნისართისაც.

**ლა-** პრეფიქსი გამოიყოფა: **ლადალ**, **ლადელ** ბზ., **ლადელ** ლშ., **ლადელ** ბქ., ლნტ. „დღე, დღეს“.

**ნაწარ-**თია ნაწარმოები: **ნაბოზ**, **ნაბუზ** ბზ., **ნაბოზ**, **ნებოზ** ბქ., **ნებოზ** ლშ. ლენტ. „საღამო“ და სხვ.

საკმაოდ ხშირად დასტურდება დროის ზმნისართა კომპოზიტური წარმოება, გვხვდება როგორც ფუქსებიცებული: **ჩიქი-ჩიქი**, **ძინარ-ძინარს**, **ნებოზ-ნებოზს...** ასევე სხვადასხვა ფუქსით შეერთებული ზმნისართები: **ისგლეთ** „შუაღამე“, **ისგლადელ** „შუაღლე“, **მგხარბაზი** „ხვალსაღამოს“, **მგხარეჩან** „ზეგ“...


სვანურში მოიპოვება, აგრეთვე, დროის ისეთი ზმნისართები, რო-

მელთა ფუქსე უკავშირდება ჩვენებით ნაცვალსახელებს. ნაცვალსახელურ ელემენტებს შეიცავენ შემდეგი დროის ზმნისართები: **ამუნ-ლო||ამანლო** „ამის შემდეგ“, **ეჩქანლო** „იმის შემდეგ“, **ამდურეუს** „ამ დროს“, **ეჩქა** „მაშინ“, **ეჭდურეუს** „იმ დროს“, **ამზაუ „წელს**”, **ამჩიქს** „ამ დროს“ და ა.შ.

## გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

### კლასოვანი უღლების ნაშთი ძველ ქართულში

ძველ ქართულში || სერიის ფორმებში -ენ (>-ნ) სუფიქსით აღინიშნება მრავლობითობა სახელობითში დასმული პირისა; გარდამავალ ზმნასთან ეს პირდაპირი ობიექტის პირია, გარდაუვალ ზმნასთან — სუბიექტისა. იმავე ფორმებში სუბიექტისა და ობიექტის პირი და რიცხვი შესაბამისისი აფიქსებითაც გამოიხატება:



ასეთ შემთხვევაში -ენ (>-ნ) სუფიქსის კონკრეტული მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნია; მორფოლოგიურად ძველი ქართულისათვის ეს სუფიქსი ჭარბია. რა შეიძლება იყოს ის?

კლასოვანი უღლების ენებში, კერძოდ სუნძურში, „სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი — იქნება იგი რეალური სუბიექტი

(გარდაუგალი ზმნისა), თუ რეალური ობიექტი (გარდამავალი ზმნისა) — ყოველთვის აღინიშნება ზმნაში;“ და კიდევ: „საცხებით იგივე ვითარებაა ზმნის მრავლობითობის აღნიშვნის მხრივაც: **გარდაუგალ ზმნაში აღინიშნება მრავლობითი რიცხვი რეალური სუბიექტისა; გარდამავალში — რეალური ობიექტისა**“ (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვი, იქნება ის სუბიექტი თუ ობიექტი, ყოველთვის აღინიშნება ზმნაში.**

რა ხდება ძველი ქართულის შემთხვევაში? რას გამოხატავს ზემოგანხილული **-ენ/ნ** სუფიქსი?

ფუქტია: **-ენ/ნ** სუფიქსი გამოხატავს სახელობითში დასმული პირის მრავლობითობას; გარდამავალ ზმნასთან ეს არის პირდაპირი ობიექტი, გარდაუგალ ზმნასთან — სუბიექტი. ამგვარად: **კლასოვან ენაში კლასისა და რიცხვის გამოხატვის პრინციპი იდენტურია ძველ ქართულში -ენ/ნ სუფიქსის გამოყენების წესისა.**

დავასკრინთ: ძველ ქართულში **-ენ/ნ სუფიქსი ოდინდელი კლასოვანი ულლების ნაშთია.**

**ტ ა რ ი ე ლ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე**

### ბრუნვათა სინტაქსური ბუნებისათვის

ბრუნვების მხოლობითი (resp. მრავლობითი) რიცხვის ფორმებისათვის შემოგვაქს აღნიშვნები:

ბრუნვა	მს. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახელობითი	<b>n</b>	<b>N</b>
მოთხრობითი	<b>e</b>	<b>E</b>
მიცემითი	<b>d</b>	<b>D</b>
ნათესაობითი	<b>g</b>	<b>G</b>
<b>-თვის</b> თანდებულიანი ნათესაობითი	<b>g'</b>	<b>G'</b>

სერიებში ბრუნვების გამოყენების თვალსაზრისით ქართულ ზმნებში რვა ტიპი გამოვყავით (ტ. გურგენიძე, 1969):

ტიპი № სერია	1	2	3	4	5	6	7	8
I	<b>n</b>	<b>d</b>	<b>n</b>	<b>nd</b>	<b>nd</b>	<b>nd</b>	<b>ndd</b>	<b>ndd</b>
II	<b>n</b>	<b>d</b>	<b>e</b>	<b>nd</b>	<b>en</b>	<b>ed</b>	<b>ndd</b>	<b>end</b>
III	<b>n</b>	<b>d</b>	<b>d</b>	<b>nd</b>	<b>nd</b>	<b>dg'</b>	<b>ndd</b>	<b>dng'</b>

გამოყოფილი ტიპებისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითის:

ტიპი	I სერია	II სერია	III სერია
№1	გორდება ის	<b>n</b>	დაგორდა ის <b>n</b>
№2	ეძინება მას	<b>d</b>	დაეძინა მას <b>d</b>
№3	იძინებს ის	<b>n</b>	დაიძინა მან <b>e</b>
	გორავს ის		დაუმინა მას <b>d</b>
№4ა	ემუქრება ის მას	<b>nd</b>	დაემუქრა ის მას <b>nd</b>
№4ბ	ბეჭრდება ის მას		მობეჭრდა ის მას
№5	პწკენს ის მას	<b>nd</b>	დაპწკინა მან ის <b>en</b>
	აკვირვებს ის მას		გააკვირვება მან ის
ტიპი	I სერია	II სერია	III სერია
№6	პწკენს ის მას	<b>nd</b>	უპწკინა მას მას <b>ed</b>
	კოცნის ის მას		აკოცა მან მას
№7	პირდება ის მას მას	<b>ndd</b>	შეპირდა ის მას მას <b>ndd</b>
№8	უშენებს ის მას მას	<b>ndd</b>	აუშენა მან ის მას მისთვის <b>dng'</b>


აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სერიების გამოყოფის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს სწორედ ბრუნვების განაწილება წარმოადგენს.

II სერიის მონაცემთა მიხედვით ცალსახად გადაწყდება ზმნების ამა თუ იმ ტიპისადმი მიკუთვნების საკითხი, ხოლო I (resp. III) სერიის შემთხვევაში ეს ცალსახობა აღარ გვაქვს. ამიტომ უპირატესობას ვანიჭებთ II სერიის მონაცემებს:

II Сერіа... ტიპი	I Сერіа..... ტიპი
<b>n</b> №1	<b>n</b> №1, №3
<b>d</b> №2	<b>d</b> №2
<b>e</b> №3	<b>nd</b> №4, №5, №6
<b>nd</b> №4	<b>ndd</b> №7, №8
<b>en</b> №5	
<b>ed</b> №6	
<b>ndd</b> №7	
<b>end</b> №8	

III Сერіа .....ტიპი
<b>n</b> №1
<b>d</b> №2, №3
<b>nd</b> №4, №5
<b>dg'</b> №6
<b>ndd</b> №7
<b>dng'</b> №8

იმის გათვალისწინებით, რომ II სერია სინტაქსურად ამოსავლად მივიჩნიოთ I და III სერიებისთვის, შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი სქემები:



ანუ, ბრუნვები სიძლიერის მიხედვით ასე დალაგდება:

$$e > n > d > g'$$

განვხილავთ №4, №5 და №6 ტიპების იმ შემთხვევებს, როდესაც ზმნასთან შეწყობილი ორივე სახელი ადამიანია, ანუ, შესაძლებელია ამ სახელთა ცვლა პირების მიხედვით. ამ ტიპებში გვაქვს **nd**, **en**, **ed** და **dg'** კომბინაციები, რომლებსაც ზოგადად **xy**-ით აღვნიშვნავთ. აპრილი გამოირიცხება **x<sub>1</sub>y<sub>1</sub>** და **x<sub>2</sub>y<sub>2</sub>** კომბინაციები. გვრჩება თეორიულად დასაშვები 7 სახის კომბინაცია, რომლებიც შესაბამისად ამდენივე განსხვავებული ფორმით გამოიხატება:

<b>x<sub>1</sub>y<sub>2</sub></b>	<b>x<sub>1</sub>y<sub>3</sub></b>	<b>x<sub>2</sub>y<sub>1</sub></b>	<b>x<sub>2</sub>y<sub>3</sub></b>	<b>x<sub>3</sub>y<sub>1</sub></b>	<b>x<sub>3</sub>y<sub>2</sub></b>	<b>x<sub>3</sub>y<sub>3</sub></b>
<b>n<sub>1</sub>d<sub>2</sub></b>	<b>n<sub>1</sub>d<sub>3</sub></b>	<b>n<sub>2</sub>d<sub>1</sub></b>	<b>n<sub>2</sub>d<sub>3</sub></b>	<b>n<sub>3</sub>d<sub>1</sub></b>	<b>n<sub>3</sub>d<sub>2</sub></b>	<b>n<sub>3</sub>d<sub>3</sub></b>
<b>e<sub>1</sub>n<sub>2</sub></b>	<b>e<sub>1</sub>n<sub>3</sub></b>	<b>e<sub>2</sub>n<sub>1</sub></b>	<b>e<sub>2</sub>n<sub>3</sub></b>	<b>e<sub>3</sub>n<sub>1</sub></b>	<b>e<sub>3</sub>n<sub>2</sub></b>	<b>e<sub>3</sub>n<sub>3</sub></b>
<b>e<sub>1</sub>d<sub>2</sub></b>	<b>e<sub>1</sub>d<sub>3</sub></b>	<b>e<sub>2</sub>d<sub>1</sub></b>	<b>e<sub>2</sub>d<sub>3</sub></b>	<b>e<sub>3</sub>d<sub>1</sub></b>	<b>e<sub>3</sub>d<sub>2</sub></b>	<b>e<sub>3</sub>d<sub>3</sub></b>

თითოეული კომბინაცია მასში შემავალ სახელთა რიცხვის მიხედვით (ივარაუდება ოპოზიცია მხ. რ. ~ მრ. რ.) ოთხ განსხვავებულ სემანტიკურ ვარიანტს გვაძლევს, რომლებიც, შესაბამისად, ასევე ოთხი სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს:

1	2	3	4
<b>x<sub>i</sub>y<sub>j</sub></b>	<b>X<sub>i</sub>y<sub>j</sub></b>	<b>x<sub>i</sub>Y<sub>j</sub></b>	<b>X<sub>i</sub>Y<sub>j</sub></b>
<b>n<sub>i</sub>d<sub>j</sub></b>	<b>N<sub>i</sub>d<sub>j</sub></b>	<b>n<sub>i</sub>D<sub>j</sub></b>	<b>N<sub>i</sub>D<sub>j</sub></b>
<b>e<sub>i</sub>n<sub>j</sub></b>	<b>E<sub>i</sub>n<sub>j</sub></b>	<b>e<sub>i</sub>N<sub>j</sub></b>	<b>E<sub>i</sub>N<sub>j</sub></b>
<b>e<sub>i</sub>d<sub>j</sub></b>	<b>E<sub>i</sub>d<sub>j</sub></b>	<b>e<sub>i</sub>D<sub>j</sub></b>	<b>E<sub>i</sub>D<sub>j</sub></b>

ყოველი ცალკეული ტიპის შემთხვევაში (იგულისხმება №4, №5 და №6 ტიპები) თეორიულად მოსალოდნელ განსხვავებულ ფორმათა რიცხვი სამივე სერიის ნებისმიერ მწკრივში იქნება  $7 \times 4 = 28$ . ა. შანი-ძე აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ასეთი რამ შესაძლებელია.

№6 ტიპის ზმნებში III სერიის ყოველ ცალკეულ მწკრივში (იგულისხმება **dg'** ვარიანტი) თეორიულად მოსალოდნელი 7 კომბინაციის ნაცვლად მხოლოდ სამი კომბინაცია ივარაუდება, რომლებიც ორ-ორი ფორმით გამოიხატება; ანუ, განსხვავებულ ფორმათა რიცხვი ამ შემთხვევაში არის  $3 \times 2 = 6$ .

ურთიერთცალსახა მიმართება ფორმასა და შინაარსს შორის შეიძლება დაირღვეს ფორმათა კლების შედეგად. თეორიულად დასაშვები 14 ამგვარი შესაძლებლობიდან თანამედროვე ქართულში მხოლოდ ოთხი ვარიანტია რეალიზებული:

- ა) **1 | 3 | 2 | 4** მოშლილია ფორმობრივი ოპოზიცია  $2 \sim 4$ ;
- ბ) **1 | 2 | 3 | 4** „ \_\_\_\_\_ „, ოპოზიციები  $1 \sim 2$  და  $3 \sim 4$ ;
- გ) **1 | 3 | 2 | 4** „ \_\_\_\_\_ „,  $1 \sim 3$  და  $2 \sim 4$ ;
- დ) **1 | 2 | 3 | 4** „ \_\_\_\_\_ „,  $2 \sim 4$  და  $3 \sim 4$ .

მოსალოდნელი ოთხი ფორმის ნაცვლად ა) ვარიანტში რეალიზებულია სამი ფორმა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში [იგულისხმება ბ),

გ) და დ) ვარიანტები] რეალიზებულია ორ-ორი ფორმა. ამის შედეგად სამივე სერიაში ყოველ ცალკეულ მწკრივში (კავშირებითის მწკრივების გარდა!) №4ა ტიპში გვაქვს 19 განსხვავებული ფორმა, №4ბ ტიპში კი — 16 განსხვავებული ფორმა; ხოლო კავშირებითის მწკრივებში (აწმყოს კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი, ॥ კავშირებითი, ॥ კავშირებითი) დანარჩენი მწკრივებისაგან განსხვავებით, ერთით ნაკლები ფორმა გვაქვს; ანუ, №4ა ტიპში გვაქვს 18, ხოლო №4ბ ტიპში — 15 განსხვავებული ფორმა.

№5 (resp. №6) ტიპი I და II სერიის მწკრივებში ემთხვევა №4ა ტიპს, ხოლო №5 ტიპი III სერიაში ემთხვევა №4ბ ტიპს. რაც შეეხება №6 ტიპს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, III სერიის ყოველ ცალკეულ მწკრივში მხოლოდ 6 განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი ამ ტიპში შემავალი ზმნები.

ერგატივიანი კონსტრუქციის მქონე ზმნებში (№5 და №6 ტიპები) აწმყოს მწკრივში და მყოფადის მწკრივში გვაქვს ერთით ნაკლები ფორმა (ისევე, როგორც კავშირებითის მწკრივებში), ანუ, — 18 განსხვავებული ფორმა.

ა) ვარიანტში მოშლილია ოპოზიცია  $\mathbf{X}_i \mathbf{y}_j \sim \mathbf{X}_i \mathbf{Y}_j$ . კერძოდ, იგულისხმება ოპოზიციები:

$$\begin{aligned} \mathbf{n}_i \mathbf{d}_j &\sim \mathbf{N}_i \mathbf{D}_j ; \\ \mathbf{E}_i \mathbf{n}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{N}_j ; \\ \mathbf{E}_i \mathbf{d}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{D}_j . \end{aligned}$$

ბ) ვარიანტში მოშლილია ოპოზიციები:  $\mathbf{x}_i \mathbf{y}_j \sim \mathbf{X}_i \mathbf{y}_j$  და  $\mathbf{x}_i \mathbf{Y}_j \sim \mathbf{X}_i \mathbf{Y}_j$ ; კერძოდ, იგულისხმება ოპოზიციები:

$$\begin{aligned} \mathbf{n}_i \mathbf{d}_j &\sim \mathbf{n}_i \mathbf{D}_j \quad \text{და} \quad \mathbf{n}_i \mathbf{d}_j \sim \mathbf{N}_i \mathbf{D}_j ; \\ \mathbf{e}_i \mathbf{n}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{n}_j \quad \text{და} \quad \mathbf{e}_i \mathbf{N}_j \sim \mathbf{E}_i \mathbf{N}_j ; \\ \mathbf{e}_i \mathbf{d}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{d}_j \quad \text{და} \quad \mathbf{e}_i \mathbf{d}_j \sim \mathbf{E}_i \mathbf{D}_j . \end{aligned}$$

გ) ვარიანტში მოშლილია ოპოზიციები:  $\mathbf{x}_i \mathbf{y}_j \sim \mathbf{x}_i \mathbf{Y}_j$  და  $\mathbf{X}_i \mathbf{y}_j \sim \mathbf{X}_i \mathbf{Y}_j$ ; კერძოდ, იგულისხმება ოპოზიციები:

$$\begin{aligned} \mathbf{n}_i \mathbf{d}_j &\sim \mathbf{n}_i \mathbf{D}_j \quad \text{და} \quad \mathbf{N}_i \mathbf{d}_j \sim \mathbf{N}_i \mathbf{D}_j ; \\ \mathbf{e}_i \mathbf{n}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{n}_j \quad \text{და} \quad \mathbf{E}_i \mathbf{n}_j \sim \mathbf{E}_i \mathbf{N}_j ; \\ \mathbf{e}_i \mathbf{d}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{d}_j \quad \text{და} \quad \mathbf{E}_i \mathbf{d}_j \sim \mathbf{E}_i \mathbf{D}_j . \end{aligned}$$

დ) ვარიანტში მოშლილია ოპოზიციები:  $\mathbf{x}_i \mathbf{Y}_j \sim \mathbf{X}_i \mathbf{Y}_j$  და  $\mathbf{X}_i \mathbf{y}_j \sim \mathbf{X}_i \mathbf{Y}_j$ ; კერძოდ, იგულისხმება ოპოზიციები:

$$\begin{aligned} \mathbf{n}_i \mathbf{D}_j &\sim \mathbf{N}_i \mathbf{D}_j \quad \text{და} \quad \mathbf{N}_i \mathbf{d}_j \sim \mathbf{N}_i \mathbf{D}_j ; \\ \mathbf{e}_i \mathbf{N}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{N}_j \quad \text{და} \quad \mathbf{E}_i \mathbf{n}_j \sim \mathbf{E}_i \mathbf{N}_j ; \\ \mathbf{e}_i \mathbf{D}_j &\sim \mathbf{E}_i \mathbf{D}_j \quad \text{და} \quad \mathbf{E}_i \mathbf{d}_j \sim \mathbf{E}_i \mathbf{D}_j . \end{aligned}$$

## თამარ ვაშაკიძე


### მართვა-მირთვის ზოგი საკითხისათვის თანამედროვე ქართულში

„მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან. მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა. მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შეგვხდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ (არნ. ჩიქობავა).

„რთულია ისეთი შემთხვევები, როცა სახელის თანდებულიანი თუ უთანდებულო ფორმა ზმნიზედად გადაქცეულა, ცალკე მდგომი თანდებულივით დაერთვის სახელს და ორივე ერთად გადმოსცემს წინადადების წევრს — გარემოებას... თუ მივიჩნევთ, რომ ყველა გარემოება მირთულია, მაშინ ორ-ორი სიტყვით გადმოცემული გარემოებებიც მირთულად უნდა დასახელდეს („ორი კაცი ჭიშკრის უკანაობუზია“; „სოფლის თავში გამოჩნდნენ ცხენოსნები“; „თხმელის ძირში ცეცხლი ნელა ბეუტავდა“; „წარვედ წყლისა პირს სევდიანი ფიქრობ გასართველად...“), მაგრამ ყოველი გარემოება ჩაითვლება თუ არა მირთულად?“ (ლ. კვეჭაძე).

ყველა სახის გარემოებას მირთულად ვერ მივიჩნევთ. როცა ზმნისართი თუ ზმნისართად ცეცეული სახელის თანდებულიანი ან უთანდებულო ფორმა ცალკე მდგომი თანდებულივით დაერთვის სახელს და ორივე ერთად გამოხატავს წინადადების წევრს — გარემოებას, ეს უკანასკნელი მირთული წევრი კი არ არის სინტაქსური წყვილისა, არამედ იგი იმართვის ზმნა-შემასმენლისაგან გრკვეულ ბრუნვაში (წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით — თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით), მაშასადამე, აღნიშნული ტიპის შემთხვევები

ში სინტაქსური წყვილის ერთ-ერთი წევრი, გარემოება (ზმნა-შემას-მენლისაგან მართული), ორკომპონენტიანი იქნება:



ვფიქრობთ, ვერც სხვა შემთხვევებში ჩაითვლება ამა თუ იმ შინაარსის გამოხატველი გარემოება ყოველთვის მირთულად. აქ უნდა გავითვალისწინოთ გარემოება-ზმნისართის ორი ტიპი: ა) პირველადი და ბ) ბრუნვის ფორმათაგან მიღებული.

ა) რაკი „მირთვა ჭიშკრისა სრულმიშვნელობიან სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობრივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს“, მირთულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პირველადი ზმნისართებით წარმოდგენილი გარემოებანი (აქ წვიმს; გუშინ და-ბრუნდა; ძლიერ თოვს; ამიტომ მოვიდა...).

ბ) სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმით (თანდებულიანი თუ უთანდებულო) წარმოდგენილი, ზმნისართის ფუნქციით გამოყენებული ერთეული (სინტაქსურად გარემოება) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლისაგან იმის გამო, რომ მას გარკვეული გრამატიკული გამოხატულებით, კერძოდ, ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით იკავშირებს ზმნა-შემასმენლი, უფრო ზუსტად, ეს უკანასკნელი მართავს მას სხვადასხვა ბრუნვაში (სტეფანწმინდას ამოვიდა; სახლთან ელოდებოდა; ტყეში შევიდნენ; მაისში ესტუმრა; დედასაგით ესაუბრა; ზღვისკენ გადაიქროლა; გაღვიძებისთანავე იყითხა; დასავლეთით გადაიხარა; ზაფხულობით ჩადის; მოწიწებით უსმენდა; სახურავიდა ჩამოვიდა; ბავშვობიდანვე წერდა; ძველად იყო; მდუმარედ იჯდა; სანადიროდ წავიდა; სახლამდე მიაცილა; დილამდე ელოდებოდა და სხვ.).

წინადადების ერთი და იგივე წევრი, კერძოდ, გარემოება, შესაძლებელია, ერთ შემთხვევაში მართული იყოს ზმნა-შემასმენლის მიერ,

ხოლო სხვა შემთხვევაში — მირთული იმის მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილით არის იგი გამოხატული — პირველადი ზმნისართითა თუ ზმნისართის ფუნქციით გამოყენებული სახელის თანდებულიანი ან უთანდებულო ფორმით, შედრ.: **შევიდა სახლში და შევიდა იქ.**

პირველ შემთხვევაში (**შევიდა სახლში**) ზმნა-შემასმენლი სახელს მართავს -ში თანდებულიანი მიცემითით. ადგილის გარემოების გამოხატვა კი მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთ სინტაქსურ-სემანტიკურ ფუნქციას წარმოადგენს.

ადგილის გარემოებაა აგრეთვე **შევიდა იქ** სინტაქსური წყვილის პირველადი ზმნისართით გამოხატული კომპონენტი, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მიერთვის ზმნა-შემასმენლს აზრობრივად, ყოველგგრი გრამატიკული ნიშნის გარეშე.

ან კიდევ: **ლამაზად თოვს და ძალიან თოვს.**

პირველ შემთხვევაში სახელი მართულია ზმნა-შემასმენლისაგან ვითარებით ბრუნვაში. ამ ბრუნვისათვის ვითარების წარმოქმნა ერთ-ერთი უმთავრესი სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციაა (სინტაქსურად ლამაზად, ბუნებრივია, ვითარების გარემოებას გამოხატავს), ხოლო წყვილში **ძალიან თოვს** ვითარების გარემოება **ძალიან** მირთულია ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ შემთხვევაში ვითარების გარემოება მხოლოდ შინაარსობრივად უკავშირდება წინადადების ზმნა-შემასმენლს, მას (გარემოებას — **ძალიან**) არ გააჩნია გარკვეული გრამატიკული ნიშანი (მაგ., რომელიმე ბრუნვის ფორმა).

სინტაქსური წყვილის ერთ-ერთი წევრი (სხვადასხვა შინაარსის გამოხატველი გარემოება), რომელიც გამოხატულია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულთანდებულიანი თუ ცალკე მდგომი თანდებულით), ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ ტიპის შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ — როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა — ნულამდე დაყვანილი მართვა, მაგრამ — მაინც მართვა (წარვედ წყლისა პირს; **შევიდა სახლში; ლამაზად თოვს...**), ხოლო სხვა შემთხვევებში გარემოება მირთული იქნება (გუშინ ჩამოვიდა; **შევიდა იქ; ძალიან თოვს...**), მაშასადამე, სახელურკომპონენტიანი გარემოება მართულია, ხოლო პირველადი ზმნისართით წარმოდგენილი — მირთული.

### წა-, წამო- ზმნისწინთა ზოგი დამატებითი სემანტიკური ნიუანსისათვის იმერულში

წა-, წამო- ზმნისწინთა სხვადასხვა თვალსაზრისით კვლევას არა-ერთი საყურადღებო ნაშრომი მიეღლონა. უმთავრესი ფუნქცია ზმნისწინისა, როგორც ცნობილია, მოძრაობის მიმართულების გამოხატვაა. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები არამარტო მიმართულების, არამედ მანერის მიხედვითაც განიჩევიან, ანუ გვიჩვენებენ, როგორი მანერით სრულდება მოქმედება. მოძრაობის ცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საწყისობა-სასრულობის სემანტიკური ოპოზიციის არსებობაც.

დიალექტურ მეტყველებაში წა-, წამო- ზმნისწინები გარდა ძირითადი ფუნქციებისა, ავლენენ საინტერესო და მდიდარ ნიუანსურ მხარეებს. გამოიყოფა სემანტიკური ველები:

ა) მოქმედების ზერელობა, ოღნაობა (**წაბალახება, წაბდლვნა, წაბერვა, წამწიფება, წაუვინთვა, წატუსნა, წაკნასვა, წამოკორკოტება, წაუნცხულავება, წაწეწვა...**).

ბ) საზედაო სიტუაციაზე მითითება (**წარაუვა, წათიფვნა, წაწყილვა, წაწყვეტა, წამახვა, წაფშვნა, წამიწება, წაფარება...**).

გ) მოძრაობის მანერა (**წაფარცუხება, წაკვანჭალება, წაჩლახუნება, წაბლაუნება, წაბრაცუნება, წაკოჩიალება, წაცუხცუხება, წაბლუნება, წანძუება...**).

დ) მოულოდნელობა, უნებლიერ მოქმედება (**წამოლავანდება, წასწრება, წაწევა, წავლება, წამოცდენა, წამოპარვა...**).

ე) ძალით ან მოტყუებით შესრულებული მოქმედება (**წალლეტვა, წაფცევნა...**).

არანაკლებ საინტერესოა ზმნისწინთა მონაწილეობისა და როლის საკითხი მყარ ენობრივ გამოთქმებში, იდიომებში. ოღნაობის გამოხატვა ზმნისწინთა მეშვეობით აქაც ხდება. მაგალითად:

**თვალის წადება // თავის წადება** — წაძინება: „თვალის წადება და ყინულის ლეიბს გააღნობს“ (ო. იოსელი.) „ერთი ჩვენც წავდვათ თავი და მერე გავსწიოთ“ (დ. კლდ.).

**ფეხის წაკვრა** — შეფერხება, ცოტა გაძნელება (საქმის); **ხელის წაკვრა** — მიხმარება.

„საღმე იქნება, ფეხს წავაკვრევინებ იმ გლახაკს“ (დ. კლდ.) „ხან ვინ მიეშველება, ხან ვინ წაუკრავს ხელს“ (ო. იოსელი.).

**ბირის წაშრობა** — ოღნავ გამოცხობა; **ბირის წაბიძებება** — ზე-დაპირის გაშრობა, შემაგრება;

„დადებ ხაჭაპურს ცხელ კეცზე, წაუშრება ბირი, წაუსვამ კვერცხს“ (ო. იოსელი); „ძაბა ყივნაცს, წეიბიძება ბირი მიწამ“ (პ. გაჩეჩ.).

არის შემთხვევები, როცა შესიტყვების მქონე ერთეულს მხოლოდ ზმნისწინი ანიჭებს იდიომურობას. მაგალითად: ფეხი მოიტეხა — ფიზიკური ტრავმა მიიღო; ფეხი წაიტეხა//კისერი წაიტეხა — შეფერხდა, დამარცხდა, საქმე გაუფუჭდა: „რაც არ დავუჭერეთ აგაბოს, ყველგან კისერი წავატეხეთ (ო. იოსელი.).

წა- ზმნისწინი განსხვავებულ მნიშვნელობას გვაძლევს იდიომში საყრდენი სიტყვის შეცვლის შემთხვევაშიც. მაგალითად:

**სიტყვა წაართვა** — გააწყვეტინა საუბარი; **ხელები წაართვა** — გაუშეშა, გაუყინა. **ფეხი წაართვა** — გაასწრო: „გაკვეთილების მერე შევხვდი, წამართვა ფეხი და თვალცრემლიანი გაიქცა“ (ო. იოსელი). „ზევიდან გადაცმულს ნუ დოუჭერებ, შვილო! — წაართვა სიტყვა ეკვირინებ (დ. კლდ.). ..**ხელები წამართვა** სიცივემ, გავითბობ, ტკლებს გავაგებინებ“ (დ. კლდ.).

**ყლორტები // ტაროები წაყარა** — მოისხა; **ხელები წაყარა / წამოყარა** — ხელი აიფარა, თავი დაიცვა: „ჩაშუტამ ამოასწრო და მონაწვავზე ცერისისმსხო ყლორტები წაყარა.“ ..**წაყარა წყრთა წყვილ-წყვილი ტაროები** (ო. იოსელი.). „სონია უხათქუნებდა თავში ბიჭს, რომელსაც ხელები თავზე წამეყარა“ (დ. კლდ.).

**გულის წასვლა** — ცუდად გახდომა; **ხელიდან წასვლა** — გაქცევა, თავის დაღწევა:

„ასე ადვილად რავა წამიგა ხელიდან?!“ (დ. კლდ.).  
შეიძლება შეიცვალოს არა საყრდენი სიტყვა, არამედ სხვა კომპონენტი.

**ენა წაიგდო // ენა წასხლა** — ბეგრი ილაპარაკა; **ენა წაართვა // წააჭრა** — საუბარი გააწყვეტინა; „მიწა ჩემს ენას, რავა თავზე წაგა-

**ჭერია**. „რას წააგდე ენა, მე ვარ თავი და თავიო?!

„ამან ყველას წაართვა პირში ენა“ (ო. იოსელი). „შეხედე, რავა წაფსხლა ენა იმქალმა“ (ნ. შარაში).

**თავის წადგალვა** — თავის წახრა, დამორჩილება; **თავის წაბაცვა** — ზედაპირის გაშრობა, გახმობა: „საბუხრე მიწა მევიტანე, ერთი კვირა მქონდა დაყრილი სახთან, წაბაცვია თავი იმისანე, რომე ბარი ვეღარ დაგაკარე ზეთე“. „**წადგალვე თავი** და იმუშავე ყოველდღეო, ვინ სულელი იზამს მაგას!“ (ნ. შარაში).

**თავზე წამოეწია // წაებანია** — თავს დაატყდა, დაემატა; **თავზე წამოიჭინა** — ზედმეტის უფლება მისცა, გაათამამა; „არ უნდა წამოგვეჩინა თავზე ეს ურცხვი“ (ო. იოსელი). „მოხუცებულმა ქალმა, მისი აზრით, აიცილა **თავზე წამოწეული უბედურება**“ (დ. კლდ.). „ვიღლები უბედურათ, ახლა სახლი წამებანია კიდო“ (ნ. შარაში).

**ხელი წაუჭირა** — გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო; **ხელი წაუცდა** — უნებურად მოუვიდა: „თუ ჩვენ ხელი წაგვიჭირე... მაშინ სკოლას თავი უნდა დავნებოთ“ (ო. იოსელი).

წა- ზმისწინმა შეიძლება სხვა მნიშვნელობაზეც მიგვითითოს. მაგ.:

**წალუსკა ცხვირი** — გაბრაზდა; **წახდა კაცი** — ჭირს ვერ გაუდლო, გატყდა; **წაუყენა ლოცვა** — უშველა, არგო და სხვ.

მოხსენებაში წარმოვადგენთ მდიდარ საილუსტრაციო მასალას.

## მაკა თეთრაძე

### ლეზგიური ენის ხმოვანთა დისტრიბუცია და ფუძის აგებულების კანონზომიერებისათვის (ანლაუტი)

სხვა დაღესტნურ ენებთან შედარებით ლეზგიური ენის ხმოვანთა სისტემა მარტივია. სისტემა მოიცავს ოთხ სადა (ა, ე, ი, უ) და ორ პალატალიზებულ ხმოვანს (ბ, ჟ). თუმცა ლეზგიურის ანბანის სისტემაში შეტანილია ყველა ის ხმოვანი, რომელიც რუსულში არსებოს

და პროდუქტიულია (მათ შორის, ო - ი და მაგარი ი - ყა). ოზე დაწყებული ყველა სიტყვა, რომელიც შეტანილია ლექსიკონში (ვგულისხმობთ **ლეზინსკო-რუსსკის სიტარი** შედგენილი ბ. თალიბოვისა და ბ. გაჭიევის მიერ - 1966), ნასესხებია და ზუსტად იმეორებს პირველი ენის დაწერილობის ტრადიციებს (ისტორია, მდგომარეობა მაგარი ი (ყა)-ის შემთხვევაშიც, თუმცა მკვლევრები მიუთითებენ მისი ფუნქციონირების შესახებ ლეზგიურის დიალექტებში (სამურის, ყუბანის) (უ. მეილანოვა, ი. გაიდაროვი).

გარდა ამისა, ლეზგიურს ახასიათებს ნაზალიზაცია და ფარინგალიზაცია, რომლებიც ანბანში არაა ასახული. ორივე მოვლენა პოზიციურია, და აქედან გამომდინარე მეორეული. ფონეტიკური ცვლილების შედეგია ლეზგიურში გრძელი ხმოვნების არსებობაც.

2. ვოკალიზმის უკლებლივ ყველა წევრის დისტრიბუცია შეზღუდულია ინტერვოკალურ პოზიციაში. ორი ხმოვნის თანმიმდევრობის აკრძალვის პრინციპი საერთოა ნახურ-დაღესტნურ ენებში. მოხსენებაში განვიხილავთ ხმოვანთა სხვა პოზიციურ შეზღუდვებსა და აკრძალვებით გამოწეულ ფონეტიკურ ცვლილებებს.

3. განვიხილავთ მარცვლის სტრუქტურას ხმოვანთა დისტრიბუციასთან მიმართებაში, კერძოდ, ანლაუტის პოზიციაში ერთმარცვლიან სახელურ და ზმნურ ფუძეებთან (ორი ტიპი VCC და VCC). მასალა აღებულია ლეზგიურ-რუსული ლექსიკონიდან (1966) და ამ ტიპის ფუძეები ლექსიკონში მინიმალური რაოდენობის დაიძება, სტატისტიკურად ყველაზე მცირე რაოდენობით ი ფიგურირებს ანლაუტის ხმოვანდ (სულ ამდენიმე მაგალითია: იჩ „ვაშლი“, ისრ „მეტვიდრეობა“; გვაქვს შემთხვევები, როცა იარი, ანლაუტში ჩნდება ნახევარხმოვანი და იქმნება დიფთონგი: იხთ//იხთ; ვ იხთ ავუნ - „დაფრთხობა“).

ამასთან, ფუძეთა ანალიზით ირკვევა, რომ VCC ტიპი ზმნურ ფუძეებში იშლება (VC-C) და ისტორიულად გამოიყოფა ზმნისწინი.

მოხსენებაში განვიხილავთ ფუძის აგებულებასთან დაკავშირებულ ხმოვანთა დისტრიბუციულ შეზღუდვებს.

## ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

### საერთო-ქართველურ გლოტალურ ბგერათა შესატყვისობა- თათვის საერთო-ბურულულ და საერთო-ბასკურ ენებში

გლოტალურ პ /p/, ტ /t/, კ /k/, ყ /qš/, წ /ts/, ჭ /tč/, ჭა /tš/ ბგერათა შემცველი ქართველური ლექსიკური მასალის ბურულულ და ბასკურ ენათა სათანადო მონაცემებთან შეპირისისირება საერთო-ქართველურ (სქ.), საერთო-ბურულულ (სბურ.) და საერთო-ბასკურ (სბასკ.) ენებს შორის შემდეგ კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა დადგენის საშუალებას იძლევა:

სქ პ /p/ : სბურ. **p /p/**

სქ \*პალ- > ქართ. პალ-ო, პალ-ულ-ი „მოკლე და მსხვილი ჭოხი, რომელსაც ბოლო წაწვეტებული აქვს მიწაში ჩასარჭობად“ : სბურ. \*páalo > (ჸ.) páayo, (ნ.) páyo „სოლი“, (ი.) pálu „სოლი“;

სქ \*პაპან- > ქართ. პაპან-ებ-ა (საბა) „უზიმო სიცხე“ = (დ. ჩუბ.) პაპან-ი, პაპან-აქ-ი... : სბურ. \*pápan > (ჸ.) pápan, (ი.) papán „(შუალის) სიცხე“;

სქ \*პრ- > ქართ. მო-ე-პრ-იან-ებ-ა „უინი, სურვილი წამოუვლის“ (შდრ.: პრ-იან-ებ-ა (საბა) „უზესთაესთაგან წადილი“, (დ. ჩუბინ.) „მოვინდომებ, მოვიწადინებ“; პრ-იან-ი (დ. ჩუბინ.) „ზედ. შედარ. ხარისხი უპრიანე, სამო“) : სბასკ. \*par > (ლ., ქნ.) par „კაპრიზი, სიკიუტე“;

სქ \*პიტ- > ქართ. (აჭარ.) პიტა-მ „თიკანი მოფერებით“, (გურ.) ბეტ-ელი „თხის კიკინი“ : სბურ. \*pitik > (ი.) pitik, petek „ერთი წლის ცხვარი“ : სბასკ. \*pitika > (ლ., ბ., ქნ.) pitika, pittika, (%ნ.) bitika „თიკანი“ და სხვ.

სქ ტ /t/ : სბურ. **t /t/, t/t/** : სბასკ. **t /t/**

სქ \*ბოტ- > ქართ. ბოტ-ი (საბა) „თხის ერკემალი (=მნერბავი ცხოვარი)“; ზან. (მეგრ.) ბეტ-არ-ი „დაუკოდავი ვაცი“; სვან. ბოტა, ბოტ „ვაცი“ : სბურ. \*butár > (ჸ., ნ.) butár „ერთ წლამდე ასაკის ვაცი“;

სქ \*გურიტ- > ქართ. გურიტ-ი „გვრიტი“ : სბასკ. \*gurita > gurita, guitar „მწყერჩიტა“;

სქ \*სუეტ-//\*შუეტ- > ქართ. სუეტ-ი „ბოძი“, (საბა) შვეტ-ი „სწორე, გაუხრელი“...; ზან. (ლაზ.) სკვიტი „ბოძი“ : სბასკ. \*zut „ფეხზე მდგომარე, აღმართული, ვერტიკალური“ (> zutabe „სვეტი, ბოძი“, zutarri „მენჭირი (=ვერტიკალურად აღმართული დიდი ქვა)“, zutiko

„ბიჯგი, ბოძი“...);

სქ \*ტალ- > ქართ. ტალ-ი „ციცაბო; კაუი“, (საბა) აგრეთვე: „ქბილის ანახეთქი“; სვან. [მეგრ.] ტოლ-ი „კაუი“ : სბურ. \*talí > (ჸ.) „ციცაბო“;

სქ \*ტაფ- > ქართ. (მოხ., თუშ.) ტაფ-ი „ჩაღრმავებული ადგილი“, (თუშ.) ტაფ-უნ-აყ-ი „ვაკე, ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი“, = ტაფ-ობ-ი = (ფუშ., ხევს., თუშ.) ტაფ-ტუფ-ი = ღარ-ტაფ-ი; ზან. (მეგრ.) ტოფ-ი „ტაფობი, გორაკებს შორის ჩაგარდნილი ადგილი“ (> იმ.). ტოფ-ი „ვაკე, ჩაგარდნილი და შავმიწიანი ადგილი“); სვან. ტაფ „ტაფობი; დამრეცი, განი ადგილი; განზე, გარდიგარდმო“ : სბურ. \*tápi > (ჸ., ნ.) tápi „კლდოვანი ტერასა“;

სქ. \*ტინ- > ქართ. ტინ-ი „პიტალო კლდე“ : სბასკ. \*tini > (ქნ., ს.) tini, thini „მწვერვალი, წვერი“ და სხვ.

სქ კ /k/ : სბურ. **k /k/** : სბასკ. **k /k/**

სქ \*ბაკ-//\*ბაგ- > ქართ. ბაკ-ი „საქონლის სადგომი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავი“; შდრ.: სქ \*ბაგ- „გოძი“ : სბურ. \*bákur > (ჸ., ნგ.) bákur, (ი.) „პატარა გადახურული შემოზღუდული ადგილი კრავთა და თიკანთათვის“ : სბასკ. \*baka > (გ.) baka „არენის გვერდზე შემოღობილი ადგილი კორიდაში მონაწილე ხარებისათვის“;

სქ \*კო- > ზან. (მეგრ.) მ-ო-კო „მინდა“, (ლაზ.) ბ-კვათი-კო-ნ „გამეჭრა“, სვან. მ-ა-კუ „მინდა“ : სბასკ. \*koi > (ქნ. ს.) koi „მსურველი; მიღრეკილი; მიღრეკილება, სიყვარული“;

სქ \*კირკიტ-ა > ქართ. კირკიტ-ა „მტაცებელი ფრინველი შავარდნების ოჯახისა“ : სბურ. \*kiŋkiit̚i > (ჸ.) kiiki, (ნ.) kiŋkiit̚i „ქორის ან შავარდნის სახეობა“;

შდრ.: წბრდ. **κίρκος** „ქორი, ძერა ან შევარდენი“;

სქ \*კოჭ-//\*ჭოკ- > ქართ. კოჭ-ი (1) „ტერფისა და წვივის შემაერთებელი ძვალი; ქმნის სახსარს; ბავშვების სათამაშო — საქონლის (მეტწილად ცხვრის) უკანა ფეხის კანჭისა და ჩლიქის ძვლის სახსრის საბრუნვი“; ძველ ქართულში ასევე: „ნების ძვალისა და თითის პირველი ფალანგის შეერთების ადგილი“ (ლ. გელენიძე); (2) „გათლილი ძელი, სახლის მოპირდაპირე კედლების თავზე გარდიგარდმო გადებული, ჭერის ფიცრების დასაჭედი“ = ჭოკ-რ-ი = ჭოგ-რ-ი = ჭოლოკ-ი...; ზან. (მეგრ.) კონჭ-ი „კოჭი (1)“ : სბურ. \*čhúkus > (ჸ., ნ.) čúkus „სახლის კედელზე გადებული ძელი ნივნივის დასაყრდნობად“; ციკი „კოჭლი, ხეიბარი“ : სბასკ. \*kotxo-//\*txoko > (გ.) kotxo „თითის სახსარი“, (%ნ.,

ბ., გ.) **txoko** „სახსარი; კოჭი (1)“, **txoko** „ცხოველის უკანა ფეხის მრგვალი ძვალი“, (რ.) **txunku** „სახსარი (კოჭი, მუხლისთავი, იდაყ-ვი...)“, **txonko** „კოჭი (1)“...“

და სხვ.

სქ **q /q'** : სბურ. **q /q'** : სბასკ. **k /k'**

სქ \*ლოყ- > ქართ. ლოყ-ა : სბასკ. \*loki > **loki** „საფეთქელი; შუბლის შუა ნაწილი“, **lokixak**, ყბის ძლევბი“;

სქ \*ფუყ- > ქართ. ფა-ფუყ-ვა „გაბერვა, გაფხორვა, გაბღენძა“; ზან. (მეგრ.) ფუცური „ბუზა, ფუყვა“, ფუცურია, ფუცურუა „გაფუყული, მობუზული, ღაბუა, ღუნდულა“; სვან. ფუყუ „ჩიყვი; ძირმაგარა, ჩირქოვანი სიმსივნე, მუწუკი“ : სბურ. \*phoq > (პ.) **phoq** „გასიებული ადამიანი, რაიმე გაბერილი“, **phóquinas** „ფუთქი ხელზე; კვირტების დაბერვა“;

სქ \*ყუიყუ- > ქართ. ყიყვ-ი; ზან. (მეგრ.) ყვიყვ-ი; სვან. ყუყუ, ყუიყუ „ჩიყვი“ : სბურ. \*quaqó > (პ., ნ.) **χuqú** „ჩიყვი“, **χuqúkiš**, **quqókiš** „ჩიყვიანი“, (ი.) **qoqó** „ჩიყვი“;

სქ \*ყოშ- > ქართ. ყოშ-ი (საბა) „მაჭის საჭლის გარდასაკერებელი“ : სბურ. \*quś > (ი.) **quś** „ტანსაცმლის იღლია“ : სბასკ. \*kusa > (რ.) **kusa** „ტანსაცმლის შემონაკეცი, ნაოჭი“ და სხვ.

სქ **ʃ /ts'/** : სბურ. **ch /ts'/, c /ts/** : სბასკ. **z /s/, tz /ts/**

სქ \*ეწერ- > ქართ. ეწერ-ი „მწირი, უნაყოფო, მცირემოსავლიანი მიწა“ : სბასკ. \*etze > (გ.) **etze, eltze** „უნაყოფო (მიწა); მიწის დაუმუშავებელი მონაკვეთი; უდაბნო“;

სქ \*წარ- > ქართ. წრ-აფ-ა, ს-წრ-აფ-ა „სიჩარე“, მო-ვ-ე-ს-წარ, მ-წრ-აფ-ლ/მ-ს-წრ-აფ-ლ „სწრაფად“; ზან. (მეგრ.) წორ-აფ-ა „გასწრება“... : სბურ. \*chor > (პ., ნ.) **chor** „ადრე, მალე, სწრაფად, დაუყოვნებლივ; სიჩარე“, **chórchor, chochór** „ძალიან სწრაფად“; (ი.) **crap** „უეცრად, მოულოდნელად“;

ს.ქართვ. \*წიდ- > ქართ. წიდ-ა „ჭუჭყი“, წიდ-ოვან-ი „თვიურიანი, ჭუჭყიანი“; ზან. (მეგრ.) წიდ-ა/წინდ-ა „ჭუჭყი“, სვან. წიდ „წვირე, ჭუჭყი; ძროხის მომყოლი“ : სბურ. \*citú > (პ., ნ. პ ბერგერი) **zułtú**, (ი. - ლორიმერი) **cetú**, (ი. პ ბერგერი) **zetú** „პოლუციის შედეგად ან მენსტრუაციისას დასპრილი, კოიტუსის შემდეგ დაუბანელი“ : სბასკ. \*zital „ჭუჭყიანი; რიტუალისათვის უწმინდური“ (> (პ.) „ცხოველის მომყოლი ნაყოფის ჩანასახითურთ“...);

სქ \*წელთ- > ქართ. (ფშ.) წელთ-ი, (შანიძით) წელთ-ა „დიდი

ურდული; ხის კეტი, რომლითაც კარს კეტავენ“ : სბასკ. \*zild > (ბ., გ., ზნ.) zildai „საყელური, ბორკილი (ცხენის); ხის სალტე, რომელ-საც ძროხას კისერზე ამაგრებენ, რათა მისი მეშვეობით ბოსელში ჯაჭვით დააბან“, (გ.) zildei „ინსტრუმენტი საქონლის გასაკავებლად“, (ს.) zildi „საქონლის საყელურის საკეტი; საკეტში გასაყრელი ლურ-სმანი“ და სხვ.

სქ **č /tš/, ch /ts/ (#-ir#)** : სბასკ. s /ʃ/, ts /tʃ/

სქ \*ანჭლ- > ქართ. ონწლ-ი; ზან. (მეგრ.) ინჭირ-ი/ინჭერ-ი, (ლაზ.) ინჭირ-ი; სვან. განჭერ „id.“ : სბასკ. \*intsusa > intxusa, intsusa, intxosa, intsusi, (ზნ.) eltsutsa, lintsusa, linsusa, lintxusi, lintsusi „ანწლი“;

სქ \*ჭაბლ- > ქართ. წაბლ-ი; ზან. (მეგრ.) ჭუბურ-ი „წაბლი“, (ლაზ.) ჭუბურ-ი/ჭუბრ-ი „წაბლი“; სვან. ჭუბერ „წაბლიანი“ : სბასკ. \*sapar > (გ.) sapardu, (ბ.) txapardo „წაბლის სახეობა“;

სქ \*ჭელ- > ქართ. წელ-ი „წელი; ნაწლავი“, შდრ.: (აჭარ.) წენ-წულ-ი „ნაწლავი“, (შ. ფუტკარაძე) წელწულ-ებ-ი „ნაწლავები“; ზან. (მეგრ.) ჭი/ჭე, (ლაზ.) ჭუ/ჭუ; სვან. ჭინ-ჭილ : სბურ. \*chir > (ჰ., ნ.) chir „ნაწლავი“; (ი.) cer „ნაწლავი“;

სქ \*ჭუეთ- > ქართ. წუეთ-ი, დამო-ს-წუთ-ი-ს; ზან. (მეგრ.) ჭვათ-ი/ჭვეთ-ი „წვეთი“, (ლაზ.) ო-ჭუთ-უ-ა „საწვეთური“ : სბურ. \*čhuť > (ჰ., ნ.) čhut, čhuťoó, čhútan „წვეთი“, (ი.) čut;

სქ \*ჭურ-//\*წურ- > ქართ. წურ-წურ-ი; წურ-ვა; ზან. (მეგრ.) ჭურ-ჭულ-ი „წურწური“, წირ-უ-ა/წერ-უ-ა „წურვა“, (ლაზ.) წორ-უმ-ს „წურავს“; სვან. ლი-წურ-ე „გაწურვა“, მე-წურ-ე „თხევადი“ : სბურ. \*čhuria ან \*čuria > (ი.) d-čuria „წერვა, წურვა“ : სბასკ. \*i-sur-i „სხმა, ღვრა; ნაკადი“.

შდრ.: შუმ. šur, sur „წურვა; ღვინის დაწურვა; ზეთის გამოხდა“ და სხვ.

სქ **ჭ /tš/, č /tš/, ʂ /ʂ/, tʂ /tʂ/** : სბასკ. s /ʃ/, tx /tʃ/

სქ \*ბეჭ- > ქართ. ბეჭ-ი : სბურ. \*baş > (ჰ.) baş „ცხვრის ფეხი, რომელიც ქორწილში სტუმრებს უნაწილდება“ (?) : სბასკ. \*beso „მკლავი, წინამხარი“;

სქ \*ფუჭ- > ქართ. ფუჭ-ი „უგულო, ჭიანი (კაკალი და მისთ.)“ : სბურ. \*phuŞ > (ჰ., ნ.) phuŞ „ცარიელი; უგულო (კაკალი და მისთ.); ცარიელი სიგრცე, ნაპრალი“ : სბასკ. \*huts „ცარიელი, ფუყე“;

სქ \*ჭარეჭუ- > ქართ. ჭარკვ-ან-ი (საბა) „იკანკელი (= ესე არს აღმართში მიმრეც მომრეცად აღსვლა...)“; ჭარკვ-ან-ა (დ. ჩუბინ.)

„მთაზედ მიხვეულ მოხვეული გზა, ვითარცა კლდეზედ წავარნა (= კლდის ბილიკი)“, ჭირკვ-ალ-ი (ქართლ.) „მიხვეულ-მოხვეული ბილიკი ციცაბო კლდეზე, მთის ფერდობზევს)....“ : სბურ. \*čhangú > (ჰ., ნ.) čhangú, čāngu, cáñgu, cáñgi, čháñgus, čhánkum, (ი.) čāngú „ციცაბოზე დამავალი ვიწრო გზა“ : სბასკ. \*txango > (გ., ზნ.) txango „ექსკურსია, ექსპედიცია, ლაშქრობა“;

სქ \*ჭელტ- > ქართ. ჭელტ-ვ-ა (საბა) „ესე არს კაცი რა საქმეს ხალისიანად და ზედაზედ იქმოდეს“; (დ. ჩუბინ.) ვ-ი-ჭელტ-ებ-ი „თავ-დადებით გასულილობ“ : სბურ. \*cintá > (ჰ.) cintá „საქმიანი, ცოცხალი, ხალისიანი, ენერგიული“ : სბასკ. \*sendo > (ბ., გ., ზნ., ქნ.) sendo, (ს., რ.) sento, (რ.) sonto „ძლიერი, მძლავრი, ჯანმრთელი, ცოცხალი...“;

სქ \*ჭუტ-//\*ჭიტ- > ქართ. ჭუტ-ვ-ა, (ქართლ.) ჭუტ-ს „მყის, თვალის დახამხამებაში“, ჭუტ-ა/ჭიტ-ა! „ბავშვების გასართობი სიტყვა; დამალულს შესძახებენ და ნიშნავს — გიპონეო, დაგინახეო“, (გურ.) ჭიტ-ინ-ი „ჭვრეტა“.... : სბურ. \*čhuti > (ი. — ლორიმერი) čhuti „დამალობანას ტიპის თამაში“ : სბასკ. \*txito > (ბ.) txito „შეძახილი დაჭერობანას თამაშის დროს (ერთი ბავშვი მეორეს txito-ს ეტყოდა და გაიქცეოდა, მეორე კი დასაჭერად გამოედევნებოდა)“, txitoka „დაჭერობანა“, „დამალობანა“;

სქ \*ხუშ- > ქართ. ხუშ-ა „წართმევა“ : სბურ. \*húuSi > (ჰ., ნ.) húuSi, (ი.) húSi „ნადავლი, ნაძარცვი“, húuSi -t-, ძარცვა, ტაცება“ და სხვ.

## რომან ლოლუა

### შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის შესახებ. III. კონსონანტიზმი

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხაში თანხმოვნებით აღნიშნული 43 ნიშანი მოგვეპოვება, ხოლო სინურ პალიმფსესტში 42 კონსონანტი გვხვდება (პალიმფსესტში დადასტურებული ორი თანხმოვანი №7117 ხელნაწერში ხმოვნითაა აღნიშნული). ამათგან, დადგენილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ალბანური ანბანის 29 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა, ესენია: №2 ც

(ბ); №3 ც (გ); №4 ყ (ღ); №6 ა (ჸ); №8 რ (ჟ); №9 ვ (თ); №11 რ (ო); №14 ს (წ); №15 რ (ლ); №17 ი (ხ); №21 ჯ (პ); №23 კ (ჰ); №27 ა (ჟ); №29 უ (ზ); №30 ლ (ე); №31 ყ (ტ); №33 ა (შ); №37 ქ (ფ); №39 დ (ჩ); №40 თ (ბ); №41 ა (ღ); №42 ლ (რ); №43 რ (ს); №44 რ (პ); №45 ა (ტ); №49 რ (ც); №50 რ (ჭ); №51 ყ (ფ); №52 ლ (ჟ).

ამ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ ფარინგალიზებულ შიშინათა რიგი, რომელიც, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით,<sup>2</sup> პოსტალვეოლარულ (ველარიზებულ) რიგს წარმოადგენს: №10 ლ (ჸ'); №12 რ (ჟ'); №20 ს (ჭ'); №26 უ (ჩ'); №46 ჯ (შ').

დამაჯერებელია, რომ №18 რ ჭ ბგერას აღნიშნავდა, ხოლო №33 რ — ძ-ს.

უფროველია, რომ №19 ჯ და №48 რ ნიშნები წ ბგერას გადმო-სცემდა, თუმცა დასაზუსტებელია მათი ფონემური ღირებულება; ჩვენი აზრით, ჯ წ ბგერაა, ხოლო რ — წ.

კავკასიის ალბანური ანბანის №14 ს ასო-ბგერა პოლიფუნქციურობით გამოიჩინა:

ეს ნიშანი, როდესაც თანხმოვნის შემდეგ ან სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში გვთვდებოდა, ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი იყო ('). ის ა, ე და ი ხმოვნებთან (იშვიათად — თ და უ ხმოვნებთანაც) ჰქმნიდა გრაფიკულ კომბინაციებს და მას, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დამოუკიდებელი ფონემის სტატუსი არ მოეპოვებოდა, თუმცა ინტერვოკალურ პოზიციაში ეს ნიშანი უ (ან შ') ბგერას აღნიშნავდა.

ასევე, შესაძლებელია, რომ №24 რ ნიშანსაც ჰქონდა ორგვარი ფუნქცია: ხ და ჸ ბგერების გადმოცემა.

დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს და ამ ეტაპზე დადგენილად ვერ ჩაითვლება ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ შემოთავაზებული შემდეგი ასო-ნიშნების ფონემური კვალიფიკაცია: №18 რ, №22 რ, №24 რ (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიხედვით წ, ლ, ჸ/ზ

<sup>2</sup> იმის მიუხედად, რომ მონოგრაფიას „კავკასიის ალბანური პალიმპსესტები სინას მთილან“ ("The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai", Brepols, 2008) ჰყავს ოთხი ავტორი (ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე და ქ.-პ. მაე), კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნით ოდენ ი. გიპერტსა და ვ. შულცეს. ამის გამო, ამ შემთხვევაში, ვასახელებთ მხოლოდ მათ.

ბგერებია შესაბამისად). ამის გარდა, ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ ნავარაუდევი ფონემური კვალიფიკაციებიდან ვერ გავიზიარებთ შემდეგ მნიშვნელობებს: №10 ლ (ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით — ჸ); ჩვენი აზრით კი — ჸ'); №12 რ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — ჸ'; ჩვენი აზრით — ჟ'); №18 რ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — ჸ'; ჩვენი აზრით — წ'); №19 ჸ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — წ'); №20 ლ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — ჸ; ჩვენი აზრით — ჸ'); №26 უ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — ჩ); ჩვენი აზრით — ჩ'); №36 ლ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — ტ'; ჩვენი აზრით — ჸ); №46 ჯ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — ზ; ჩვენი აზრით — ზ'); №48 რ (ი. გიპერტი, ვ. შულცე — წ; ჩვენი აზრით — წ). ასევე ვერ გავიზიარებთ ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მოსაზრებას ს გრაფემის შესახებ: პატივცემული მკლევრების აზრით, ეს გრაფემა სპეციფიკურ ფარინგალურ თანხმოვანს აღნიშნავდა, ხოლო, ჩვენი აზრით, ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში არ წარმოადგენდა სეგმენტურ თვისებას და ამდენად, ს ნიშანს, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ მოეპოვებოდა დამოუკიდებელი ფონემის სტატუსი და ის ოდენ ფარინგალიზაციაზე მიგვითითებდა.

ამრიგად, კავკასიის ალბანური ენის კონსონანტთა სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

	ხშული		აფრიკატი		სპირანტი		სონორი				
	შულცე	ფერენციარი	აბრამტი	შულცე	ფერენციარი	აბრამტი	ტივი	შულცე	ურუ	გარტივი	პალატიული ზემობული
ლაბიალური	ბ	ვ	ვ					ვ	ფ	ც მ	
დენტალური	დ	თ	ბ	ძ	ც	წ	წ	ზ	ს	ნ ლ	ნ ლ
ალვეოლარული				ჯ	ჩ	ჭ	ჭ	ჸ	შ	რ	
ფარინგალური*				ჯ'	ჩ'	ჭ'	ჭ'	ჸ'	ჸ'		
შუაენისმიერი										ო	
უკანაენისმიერი	ბ	ქ	ქ					ვ	ხ		
ფარინგალური		*ჸ	ჸ								
ლარინგალური									ჸ		

შენიშვნა: \* ფარინგალიზებულთა რიგს პირობითად გამოვყოფთ.

## ქეთევან მარგიანი - სუბარი

### ინფერენციის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები სვანურ ენაში

სვანურ ენაში ევიდენციალობა (როგორც ვერბალური, ასევე ინფერენციული), გარდა მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებებისა, ლექსიკურადაც გამოიხატება.

ევიდენციალობის ლექსები ფუნქციურად ორი ტიპისაა: ერთი ვერბალობას გამოხატავენ (მიუთითებენ ინფორმაციის გარეშე წყაროზე), მეორენი კი — ინფერენციას და აფიქსირებენ ინფორმაციის სავარაუდობას.

ნაწილაკი, რომელიც ორივე ფუნქციას ითავსებს (სათანადო კონტექსტის გათვალისწინებით ხან ვერბალურ წყაროს გამოხატავს და ხან ინფერენციულს), მხოლოდ ერთია: **ესნარენანი** „თურმე“: ა) **ესნარ ლედი შტან შდუე** — „თურმე დღეს სვანეთში თოვს“ — ინფორმაციის წყარო გარემეა, ვერბალობაა, თუმცა მთქმელი მას არ აკონკრეტებს — ეს წყარო შეიძლება იყოს მიპერსონალურ პირი, ხმები ხალხში, მასმედია... ბ) **ესნარ ალა ქორის ბრი!** — „თურმე ეს სახლშია!“ — მთქმელმა სარკმელში შუქი ან სახლთან მანქანა დაინახა და ფაქტის განზოგადებით ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა — ინფორმაციის წყარო ამ შემთხვევაში ინფერენციაა.

საკუთრივ ინფერენციულობის გამომხატველი დამხმარე ლექსემები (რომლებიც ვერბალობას არასდროს გამოხატავენ) ენაში უფრო მრავლადაა; აგებულების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი: 1) საკუთრივ ნაწილაკები, რომელთა სეგმენტაცია არ ხერხდება და ეტიმოლოგია უცნობია (**გერეს** „ალბათ; როგორც ჩანს“; **ნოთაჭ** „ვინძლოვ...“) 2) სინთეზური ლექსემები, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტების დადგენა შესაძლებელია (**მაუშლი < \*მპ-შუ ლი** „ალბათ; როგორც ჩანს“; **სერთხი** < **სერ-დ-ხი** „ვაითუ“...), თუმცა ისინი არ წარმოადგენენ ამ კომპონენტთა მნიშვნელობების მარტივ ჯამს 3) ნაზმნარი დამხმარე სიტყვები (**ბნლული** „მგონი“, **მაბუა** „მგონი“/ „მიმაჩნია“/ „ჩემი აზრით“...).

დასტურდება შემთხვევები, როცა ერთ დიალექტში მოქმედი ნა-

წილაკის ზუსტი სემანტიკური შესატყვისი სხვა დიალექტ(ებ)ში არ მოეპოვება და პირიქით: ბზ. **გომნი/ გომნი** („თუ“; „აი, ნახავ, თუ“) **მუგუდა** (ბზ.) ~ „თითქოს“, „გითომ“ — ეს ნაწილაკები დუბიტატიურობას (სემანტიკური კატეგორია, რომელიც გულისხმობს რომ მთქმელი ინფორმაციას საეჭვოდ მიიჩნევს, არ იზიარებს, პასუხისმგებლობას იხსნის) გამოხატავენ, ბალსკევმოურში კი აღნიშნული სემანტიკა მხოლოდ ვრცელი კონტექსტით ან სვანურ ტექსტში ქართული ნაწილაკების ჩართვით თუ გადმოიცემა; **ნოთაჭ** (ბზ.) **ნოთი** (ლშ.), **ნოთი** (ლნტ.) „ვინძლოვ“, „იქნებ“ — ამ ნაწილაკით მთქმელი ინფორმაციაში ერთდროულად **სასურველობა-საგარაუდობას**, ანუ ვარაუდში ნატერის, ამ ვარაუდის მიმართ თავის პოზიტიურ (და არა ნეიტრალურ) განწყობის ნიუანსს აფიქსირებს...

კვლევამ აჩვენა, რომ ინფერენციული ლექსემების გამოყენება ზმნის მწკრივებთან თავისუფალი როდია. მათი გარკვეული ნაწილი მხოლოდ ინდიკატიურ (თხრობითი კილოს) ფორმებს უთავსდება, ზოგი კი, პირიქით, მხოლოდ ზმნის საკუთრივ სვანურ, ინფერენციულ მწკრივებს (მყოფადუსრული — resp. ინფერენციული აწმყო, ძირითადპრევერბიანი სრული მყოფადი, პირობითი, პირობით-შედეგობითი I და II), იშვიათად — კავშირებითებს იგუებს, რაც, ერთი მხრივ, ინფერენციის როგორც სემანტიკური და გრამატიკული კატეგორიის ჩარმოშობის და, მეორე მხრივ, თავად ინფერენციული ლექსემების წარმოშობის ეტაპებს, ქრონოლოგიას უნდა უკავშირდებოდეს, რაც უმწერლობო ენაში, ცოტა არ იყოს, რთული დასადგენია;

თანამედროვე ეტაპზე კი ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმმართების გაუთვალისწინებლობა (თავისუფალი ჩანაცვლება) სტილური ანომალიის ან, შესაძლოა, ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.

## ნანა მაჭავარიანი

### ფაუნის სომატური ლექსიკა აფხაზურში

ფაუნის სომატური ლექსიკა აფხაზურში წარმოდგენილია ამ ენისათვის დამახასიათებელი სემანტიკური და სტრუქტურული მრავალფეროვნებით, გვხვდება ოდენფუძიანი, კომპოზიციითა და აფიქსაციით მიღებული სიტყვები, ცალკეა გამოსაყოფი ნასესხები ლექსიკა.

მოხსენებაში წარმოდგენილია ფაუნის სომატური ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი.

- ოდენფუძიანი სახელები: ა-ზ „ნაღველი“, ა-მგა „მუცელი“ აბაზ. მგა „მუცელი“, ა-ჭავ „პირი“

კომპოზიციით ნაწარმოებ სახელთა შორის გვხვდება ორ, სამ, ოთხ და ოთხზე მეტკომპონენტიანი სახელშოდებები:

- ორკომპონენტიანია:

ა-მახარ, ბზ. ა-მახჭა/ა-მახჭა „მკლავი“, ზედმიწევნით: ა-მა+ხარ „ხელი+მოხრილი“

ა-უასცა „ცხვრის ტყავი“, სიტყვასიტყვით: ა-უას+ცა, „ცხვარი+ტყავი“

- სამკომპონენტიანია:

ა-შამხვ „მუხლი“, ა-შა+მ+ხვ, ზედმიწევნით: „ფეხი კიდური თავი“, ა-შაცა+გ „ფეხის ნეკი“, ა-შა+ცა+გ, სიტყვასიტყვით: „ფეხი კანი ნეკი“

- ოთხკომპონენტიანია:

ა-შარფააც „წვივი, კანჭი“, ზედმიწევნით: ა-შა+რ+ფა+აც „ფეხი+ მესამე პირის კუთვნილების მრავლობითობის რ- აფიქსი+გული, ამ შემთხვევაში „მუა“ +კანი, „ფეხი მათი შუა კანი“. შემთხვევაში „მუა“ +კანი, „ფეხი მათი შუა კანი“.

- ხუთკომპონენტიანია:

ა-ცემუხთაქა „სხეულის ნაწილები“, სიტყვასიტყვით: ა-ც+ემ+უ+ხთაქა „კანი და ხორცი ნაწილ ები“. უ

აფიქსაციით ნაწარმოებია: ა-ზთრა „ნაღლის ბუშტი“ ა-ზ+შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი პთრა“ ზედმიწევნით: „ნაღველის ადგილი“.

რედუქციონური ჩანს: ა-ღააღ „აპკი“; ალგმპა აღააღ „ყურის

აპკი“, „ტყაგქეშა კანი“, ა-ყაყა „ზურგი“.

ნასესხებია სიტყვები: ა-ჭაპან „ჭიპი“, ა-ჭაჭა „თირკმელი“, ა-ბემბელ „ბუმბული“.

ლექსიკის ამ უბანში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ოდენფუძიანი სიტყვები და აფიქსაციით ნაწარმოები ფუძეები. ასევე ცოტაა ნასესხები მასალაც. მრავლადაა კომპოზიციით მიღებული ლექსები, სომატურ ლექსიკაში უძველესი ოდენფუძიანი სიტყვები ჩანს.

## თამარ მახარობლიძე

### კლასის კატეგორიის ტიპოლოგიისათვის

ენათა მიღვომა ვინ — რა მორფოსემანტიკური კატეგორიის მიმართ სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია ერის ან ტომის ფსიქო-სოციალურ, რელიგიურ, ეთნოგეოგრაფიულ და სხვა ტიპის ყოფით ფაქტორებზე, ასევე ამ კონკრეტულ ენებზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების აბსტრაქციის დონეზე — ანუ ერის ენობრივ ნიჭიზე. ჩვენ მიერ გამოვლენილი უნივერსალური საკლასიფიკაციო მოდელის მიხედვით, კლასის კატეგორიის ზოგადი კრიტერიუმები მოიცავს შემდგომ ოპოზიციებს:

A ადამიანი ——— Aa მდედრ. Ab მამრ. Ac საშ.

B ნივთი

B1. სულიერი ——— Bla მდედრ. Blb მამრ. Blc საშ.

B2. უსულო ——— B2a საგანთა თვისობრიობის (ზომა, ფერი, ფორმა, ძალა, სინათლე, ზრდის დინამიკა, ციური სხეულები, რელიგიური ერთეულები და ა. შ.) მიხედვით სქემი ან კლასი; დანარჩენი

მოხსენებაში მოცემულია კლასის კატეგორიის ზოგადი ტიპოლოგიური ანალიზი; ენათა მორფო-სინტაქსურსა და ლექსიკურ დონეებზე კლასის კატეგორიის მიხედვით განხილულია ქართული სამეტყველო და უსტური ენების, ასევე ბასკურის ენის მასალა.

## დამანა მელიქიშვილი

### მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში

მოხსენებაში საუბარი იქნება ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემების, დაბრკოლებებისა და დარღვევების მაგალითებზე, რაც ძირითადად გამოწვეულია სემანტიკური / ლოგიკური და გრამატიკული კატეგორიების აღრევითა და ცნების დაყოფის ლოგიკური წესის დარღვევით და სათავეს იღებს ჭერ კიდევ დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან.

1. აკად. არნოლდ ჩიქობავაშ ჭერ კიდევ 1928 წელს წამოაყენა მეთოდოლოგიური იმანენტიზმის მოთხოვნები: ა) საკლასიფიკაციო კრიტერიუმი (პრინციპი) უნდა ეყყარებოდეს მეცნიერების მოცემული დარგის შესაბამისი რიგებზის (საგნის / მოვლენის) შინაგან, იმანენტურ ბუნებას: გრამატიკის შემთხვევაში — მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმებს. ბ) კვლევისას გამოყენებული უნდა იყოს დარგის შესაბამისი ცნება-ტერმინები: მართალია, ენათმეცნიერება სწავლობს ენის ფორმასთან ერთად შინაარსსაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გრამატიკაში აპერიტება ხდებოდეს ლოგიკური ტერმინოლოგით: გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია უნდა აღიწეროს გრამატიკულ და არა ლოგიკურ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინებით. ლოგიკიდან შემოტანილი ტერმინები: სუბიექტი//ქემდებარე, პირდაპირი/ირიბი აბიექტი//დამატება, რომლებიც შესიტყვების წევრთა შინაარსობლივ დახასიათებას გულისხმობენ, არააღვატურად, მცდარად ასახავენ ქართული ზმნის მორფოსინტაქსური შესაბამისობის სურათს; ტერმინება: „გენსი“, „აციენსი“, „ნიკიატორი“, „თემა“ და სხვ. გამოყენება არ ცვლის სიტუაციას. ნეიტრალური შინაარსის ტერმინი „პარტიკიპანტი“ ტერმინი უკეთესია, როგორც ნეიტრალური, მაგრამ იგი არ შეიცავს შესიტყვების „მონაწილეთა“ სინტაქსურ დახასიათებას, არ იძლევა მათი სინტაქსური ფუნქციის შესახებ ცნობას // ცოდნას.

მეთოდოლოგიურად სწორი კლასიფიკაციის იდეალური მაგალითია ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმების აკაკი შანიძისეული სამ სერიად დაყოფა, რაც ეყრდნობა მორფო-სინტაქსურ კრიტერი-

უმს: ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურასა და სინტაქსურ კონსტრუქციას; ასევე, ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის არნ. ჩიქობავასეული ანალიზის შედეგად ქართული ზმნური შესიტყვების სუბორდინაციულთან ერთად კოორდინაციული სინტაქსური სისტემის გამოვლენა და მის წევრებად ძირითადი, დიდი და მცირე კოორდინანტების გამოყოფით დაძლეულია ლოგიკის ექსანსიის პრობლემა გრამატიკაში.

2. კლასიფიკაციისას აუცილებელია დაცულ იქნას ცნების დაყოფის ლოგიკური წესი, რაც გულისხმობს გვარეობითი ცნების სწორად განსაზღვრას და ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მიღებული კრიტერიუმის ბოლომდე დაცვას:

ა) ქართული ზმნის ულლების ტიპებად დაყოფისას გვარის სემანტიკური კატეგორიის მიღება გვარეობით ცნებად და მის ქვეშ ულლების სახეების /ტიპების ფორმალური კლასიფიკაცია ბევრ დაბრკოლებასა და შეუსაბამობას იწვევს, რომელთა გადალახვაც ამ კლასიფიკაციის ფარგლებში შეუძლებელია, რადგანაც კლასიფიკისას დარღვეულია როგორც ცნების დაყოფის ლოგიკური წესი, რომლის თანახმადაც გვარეობა უნდა მოიცავდეს სახეობას, ასევე მეთოდოლოგიური იმანენტიზმის მთავარი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც კლასიფიკაცია უნდა მოხდეს მორფოსინტაქსური პრინციპით.

ბ) ე. წ. ქცევის სემანტიკური კატეგორიის გვარეობით ცნებად მიღებამ მწვავედ დააყენა ზმნურ ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქციის საკითხი: ხმოვანპრეფიქსების გრამატიკული ფუნქცია — პირთა კორელაცია-ორიენტაციის („პირის პოვნიერების“ ბესიკ ჭობენაძე) აღნიშვნაა, ხოლო ლოგიკურ-სემანტიკური ქვეკატეგორია მიუთითებს კუთვნილება-დანიშნულების, ლოკატიურ თუ სხვა ფუნქციებზე (რაც ქცევის გრამატიკულ კატეგორიიდაა მიჩნეული), ხოლო R-ები სტრუქტურის ზმნებში, განსხვავებით უ- ხმოვანპრეფიქსისაგან, ი- და ე- პრეფექსი პასივის ნიშნადაა კვალიფიცირებული.

3. კლასიფიკაცია უნდა ეყრდნობოდეს ემპირიულ მასალას (ინდუქციიდან >დედუქციისკენ და არა პირიქით); გრამატიკული კატეგორიის (ნიშნის) კვალიფიკაციისას აუცილებელია სტატისტიკური (მათ შორის მონათესავე ენების) მონაცემების გათვალისწინება: მაგრამ პრობლემებს ქმნის ქართული ზმნის ულლების ტიპებად კლასი-

ფიკაციის კრიტერიუმად გვარის სემანტიკური კატეგორიის მიღება, რამაც გამოიწვია ლოგიკურ/სემანტიკური და გრამატიკული კატეგორიების ორევა, რის შედეგადაც ქართული ზნის ულლების სისტემის არაადეკვატური სურათია მიღებული: R-ებ-ი სტრუქტურის ზმნების პასივად კვალიფიცირება, მედიუმის, რგორც გვარის გრამატიკული კატეგორიის მესამე სახის მიღება და მედიოაქტივისა და მედიოპასივის ქვეყნულების გამოყოფა აქტივისა და პასივისაგან ფორმათა „სესხების“ დაშვების საფუძველზე, რაც განმარტებითი ლექსიკონის მთლიანი ზმნური ბაზის როგორც დიაქრონიულმა, ისე სინქრონიულმა ემპირიულმა კვლევამ და სტატისტიკურმა ანალიზმა არ დაადასტურა.

4. დასკვნების სისწორე-მცდარობა დამოკიდებულია ან წანამდლვრის სისწორე-მცდარობაზე (რასაც ემპირია ამოწმებს და ხშირად დამოკიდებულია ახალი მასალის მოკვლევასა თუ აღმოჩენებზე), ან ლოგიკური არგუმენტაციის სიმტკიცე-სისუსტეზე. პირველის მაგალითია არნ. ჩიქობავასთვის ჩვეული მტკიცე არგუმენტაციით გამორჩეული სტატია „მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართულში“: დანასკვის მცდარობა გამოიწვია წანამდლვრის მცდარობამ (კერძოდ, რომ მრავლობითისა და ინკლუზივის კატეგორია ერთი და იგივეა, რაც კვლევის შემდგომ ეტაპზე უარყოფილ იქნა ალ. ონიანის მიერ სვანური მასალის მონაცემებით და გ. ნინუას ქველი ქართულის ბრძანებითის ფორმების მასალის ანალიზს შედეგად); ასევე, R-ებ-ი სტრუქტურის ზმნების (/აქტივის კონვერსიული ფორმების) აპრიორულად პასივად კვალიფიცირების არამართებულობა აჩვენა ქეგლის სრული ზმნური ბაზის სტატისტიკურმა ანალიზმა (რაც დაადასტურა ქველი ქართული ნათარგმნი ქეგლების ამ სტრუქტურის ზმნათა ანალიზმა).

5. აუცილებელია კვლევისას სინქრონიისა და დიაქრონიის მონაცემების გამიჯნა: სინქრონიულ დონეზე ენობრივი ფაქტის კვალიფიცირისას დიაქრონიული ანალიზის შედეგების (მაგ., მორფო-სინტაქსური მოვლენის რეინტერპრეტაციის) მომარჯვება საჭირო ხდება ფაქტის ახსნით, მაგრამ არა სინქრონიულ ჭრილში ამ ფაქტის კვალიფიციისთვის: დიაქრონიული ანალიზის შედეგად მორფო-სინტაქსური ფაქტების რეინტერპრეტაციის გამომუღავნება და მათი სათანადო კვალიფიკაცია სინქრონიულ ჭრილში (მაგ.: ქართული სალიტე-

რატურო ენის განვითარების სხვადასხვა დონეზე ძირეულ ნაცვალსახელთა ფუძის აგებულების (//ფუძის სეგმენტაციის) პრობლემა, რაც მონათესავე ენათა მონაცემებთან შექერება-შეპირისპირების შედეგად უნდა გადაწყვდეს; ამასთან დაკავშირებით ერთის მხრივ — არსებით სახელთა ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი და მეორე მხრივ — სინქრონიაში ამ ნაცვალსახელთა ბრუნვის ნიშნების კვალიფიკაცია;

6. დგას მორფო-სინტაქსური ფაქტების ტერმინოლოგიური დახასიათების პრობლემა: მაგ.: ა) ქველი ქართული ენის გრამატიკაში ტერმინის „კავშირებითის მწკრივები/ი“ გამოყენების შეუსაბამობა და მიზანშეუწინლობა; ბ) III სერიის მწკრივთათვის ტერმინ „თურმებითების“ მიზანშეწონილობის საკითხი როგორც ქველ, ისე თანამედროვე ქართულში; გ) გარდამავლობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის საკითხი პოლიპერსონალურ ქართულ ზმნაში, ინვერსიის პრობლემა და ამასთან დაკავშირებით პირის გრამატიკული მარკერების ლოგიკური ფუნქციების განსაზღვრა დიაქრონიულ და სიქრონულ ჭრილში და სხვ.).

## კობა მითაგვარია

### სომატიზმების შემცველი გვარები სხვადასხვა სისტემის ენებში

სომატიზმები ნებისმიერი ენის უძველესი ლექსიკური ფონდის კუთხინილებაა. მათი გარკვეული ნაწილი ხშირად გვარსახელთა შემაღენლობაში იჩენს თავს.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი (ჭ. კოქოვი, ჭ. ჭუმბურიძე, ა. რიბაკინი, ვ. ნიკონოვი) ადილეურში, რუსულსა და ინგლისურში სომატიზმების შემცველი გვარები ათეულობით დასტურდება. რაც შეეხება ქართველურ ენებს, აქ განსხვავებული ვითარებაა. ქართულში თუ ორ ათეულადე ასეთი გვარი გხხვდება, მეგრულსა და სვანურში მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევა ფიქსირდება.

გასათვალისწინებელია, რომ გვარში წარმოდგენილი სომატიზმი

უშუალოდ გვარს კი არ უდევს საფუძვლად, არამედ — საკუთარ სახელს, რომლისაგანაც შემდეგ იწარმოება გვარი.

ადილეური ონომასტიკონისთვის დამახასიათებელია გვარები, რომელთა ერთერთ კომპონენტს წარმოადგენს შემდეგი სომატური ერთეულები: **ს'პა „თავი“** (ს'პალატს, შეგს'პა, ს'პაფაც, ჰას'პანგვაზ; „ცხვირი“ (ფანსი, ჰაფანხ); **ნა „თვალი“** (ნამზტ, ნაშხა, ნაფაშ, ნატგე, ნაშეთავ).

რუსულში ხშირია გვარები, რომელთა ერთერთი კომპონენტია: **голова „თავი“** (Головин, Голова, Головко, Головатов); **нос „ცხვირი“** (Капинос, Носин, Кривонос, Носиков, Носов); **нога „ფეხი“** (Белоногов, Ношкин, Кривоногов, Теплоногов); **борода „წვერი“** (Белобородов, Бородав, Майборода) და სხვა.

ინგლისურ სომატიზმების შემცველ გვარებში მეტწილად გვხვდება: **head „თავი“** (Whitehead, Redhead, Westhead, Greenhead); **foot „ტერფი“** (Fairfoot, Barefoot, Woodfoot, Footman) და ა. შ. როგორც ალნიშნავენ, ალნიშნულ გვართა პირველ ნაწილში ხშირად ხარისხის აღმნიშვნელი კომპონენტია წარმოდგენილი: წითელი, მწვანე, თეთრი, ღია, ნათელი და სხვ.

სომატიზმების შემცველ ქართულ გვარებში გვხვდება: **თავი (თავაძე, თავდედიშვილი), თვალი (თვალჭრელიძე, თვალთვაძე, თვალიაშვილი), შუბლი (შუბლაძე), ყური (ყურაშვილი), ხელი (ხელაშვილი, ცალხელაშვილი), კოჭი (კოჭლამაზაშვილი), კოჭიბროლაშვილი, კოჭაური); კბილი (კბილაშვილი), წვერი (წვერიკმაზაშვილი, წვერავა), ხახა (ხახაშვილი), ტუჩი (ტუჩაშვილი), ფეხი (ხისფეხაშვილი), გული (გულიაშვილი).**

მეგრულში სომატური ერთეულების შემცველი ორიოდე გვარი დადასტურდა, ესენია: **ტყებუჩავა** (შდრ. მეგრ. ტყები „ტყავი“), **ოყუჭავა** (შდრ. ყუჯი „ყური“). რაც შეეხება თანამედროვე მეგრულში გავრცელებულ გვარებს **ხელაიასა** და **წვერაგას,** სათანადო ფუძეები ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანურში, სავარაუდოდ, ორ გვარში დასტურდება სომატური ერთეული: **ტვილდიანი,** რომელიც ქართ. **ტვინ** სიტყვასთანაა დაკავშირებული:

ლი (შდრ. მისი ამოსავალი შეუკუმშავი ფორმები **ტვინონანი-** **ნო-ლდიანი**), **გვიდა** (შდრ. გუში „გული“ — ქ. მარგარიანი).

სომატური სახელების შემცველი გვარების უმეტესობა მარტივი შეერთებით იწარმოება: მაგ.: ადილ. **შეგს'პა — შეგ „ცხენი“ + ს'პა „თავი“;** რუს. **Жултоухов — жертвой** „ყვითელი“ + **ухо** „ყური“; ინგ. **Fairhead — fair** „ნათელი + head „თავი“; **Whitefoot — white** „თეთრი“ + **foot** „ტერფი“. ქართ. **თვალჭრელიძე** → **თვალი** + **ჭრელი** + **ძე**, **ხახაშვილი** — **ხახა** + **შვილი.**

რუსულსა და ქართულში ერთ, ორ და სამკომპონენტიანი გვარები გვხვდება, ხოლო ინგლისურში — ორკომპონენტიანი. სხვა ენებისაგან განსხვავებით რუსულში წარმოდგენილია გვარები, რომლებიც სუფიქსების მეშვეობით იწარმოება: **Глаз-ов, Череп-ов, Зуб-ов, Языков-ов** (შდრ. მეგრ. ტყებუჩავა).

სომატურ ერთეულთა შემცველი გვარების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ის საერთო და განსხვავებული, რაც სხვადასხვა სისტემის ენებს აქვთ ამ გვარების სტრუქტურის თვალსაზრისით.

**მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა),  
ნელი მახარაძე, ლია ქაროსანიძე**

**მასალები ქართულ საეკლესიო ტერმინთა  
ისტორიისათვის (კუნკულ-ბარტყული)**

ქართულ საეკლესიო ტერმინთა ისტორია ქართული ეკლესიის ისტორიაა, მისი ნაწილია. საეკლესიო ტერმინთა სამეცნიერო შესწავლა გადაუდებელი საქმეა, თუმცა ეს საქმაოდ რთულია, რადგან ქართულ საეკლესიო ტერმინოლოგიასაც ის ხანგრძლივი გზა აქვს გამოვლილი, რაც თავად ქართულ ეკლესიას. ამ ისტორიაზე მუშაობისას ერთი რამ ცხადია: ძველ მთარგმნელთა დამოკიდებულება არა მარტო საეკლესიო, არამედ სხვა დარგის ტერმინებისადმი სრულიად განსხვავებულია; ისინი ქმნიდნენ და ამკვიდრებდნენ მხოლოდ ქართულ შე-

სატყვისს. რუსულის გავლენით კი ქართულში თანდათან დამკვიდრდა ან რუსულში უთარგმნელად შესული ბერძნული ტერმინები, ან რუსული ტერმინების კალკირებული ფორმები.

სხვადასხვა ქვეყნისა თუ დროის ტრადიციები არა მარტო ტერმინშია ასახული, არამედ ამ ტერმინებით აღნიშნულ ნივთსა თუ ცნებაში და, ზოგადად, საღვთო ლიტურგიაშიც. ეს კარგად ჩანს კუნკულ-ბარტყულის ისტორიითაც.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, გაურკვეველია კუნკულ-ბარტყულა სინონიმური კომპოზიტია თუ — არა. სულხან-საბა ორგელიანის ლექსიკონის მიხედვით, კუნკული „მონაზვნის თავსაბურავია“, ბარტყულა კი — „მონაზონთ კუნკული“. ნიკო ჩუბინაშვილი თავის ქართულ ლექსიკონში ბარტყულას ასე განმარტავს: „მონაზონთ კუნკულის ქვეშ გასაფარებელი ვარშამანგი“ (თავმოსახვევი, მანდილი, სამხრე). რუსულ შესატყვისად კლიონუ-უწერია. სამხრეულს უწიდებს იოანე ბატონიშვილი ბარტყულას „კალმასობაში“.

როგორც ლიტერატურიდან ირკვევა, პირვანდელი სახის კუნკული ჩვილის ჩაჩს და ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის: ძველ ქართულ წყაროებში კუნკულს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში კუნკული, გლეხურად, ნათლიის მიერ მოტანილი ქსოვილიცა. ე.ი. ხალხში ჭერ კიდევ შემორჩენილი იყო ამ სიტყვის ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელობაც (დღეს კუნკულმა ეს მნიშვნელობა საბოლოოდ დაკარგა). კუნკული ახალნათელლებულთა თავსაბურავიცაა. ძველი ქართული ლიტურგიკული მასალების მიხედვით, არსებობს ასეთი ტერმინები: „კუნკულის ახდა“, „კუნკულის დადება“. ჩვილებს მერვე დღეს ხდილნენ კუნკულს და სანათლო რიტუალის შემდეგ, რომელშიც თმის მოკვეცა, მოჭრაც იგულისხმებოდა, შემოსავდნენ („დაადებდნენ“) სანათლო კუნკულით.

სწორედ მერვე დღეს ხდიან ბერსაც კუნკულს. მონაზონი ვალდებულია 7 დღე ატაროს კუნკული და თავდაბურული დაესწროს ყველა მსახურებას. მერვე დღეს წინამძღვრის ლოცვითა და დამოძღვრით, მთელი სამოს თანდასწრებით საჯაროდ ხდიან მას.

ბერძნულში კუნკული, გარდა იმისა, რომ აღნიშნავს დღევანდელი ტერმინით, ეπასაკალს მას ანუ ბერის ქუდზე დასამაგრებელ ქსოვილს, ჰიმნოგრაფიული ტერმინიცაა, პრიიმიონ-ის სინონიმი. ქართულში კუნკული ამ მნიშვნელობით არ გვხვდება, შესაძლოა იმიტომ, რომ უკვე დამკვიდრებული იყო უძველესი, საბაშმინდური წარმომავლობის, ტერმინი ძლისპირი.

ქართულში სიტყვა **კუნკული** ბერძნულიდან შემოსულ სიტყვად ითვლება. ბერძნულში კი ლათინურიდანაა შესული. ეტიმოლოგიურად მისი წარმოშობის ისტორია გაურკვეველია. გერმანელი მეცნიერი შმიდტი ვარაუდობს, რომ ეს უცნობი წარმომავლობის „მონეტიალე სიტყვა“ და იმას, რომ იგი გალურის გზითაა შესული ლათინურში, ადასტურებს მარციალისთან ხმარებული *bardocuculios* ფორმა. ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი კელტურია და ბარდას ან მომღერალს ნიშნავს. რისმაგ გორდეზიანი კი კუნკულს შუმერული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს. სიტყვა კუნკული ძალიან ორგანული ჩანს ქართულისათვის (მაგ. კუნკული, დაკუნკულებს „ბავშვისა ან მოხუცის სიარული“) და ხომ არ უნდა გვექება მისი ისტორია წინარექართველურ გარემოში?

მე-17 საუკუნიდან ბიზანტიაში შეიცვალა კუნკულის ფორმა. მე-17 საუკუნეშივე ჩნდება რუსეთშიც ე.წ. **კლიოკი**. იგი ორი ნაწილისგან შედგება: გვერდებშემოჭრილი ცილინდრის ფორმის ქუდისა და ზედ მისამაგრებელი ქსოვილისაგან. ქუდს **კამილავკა-ს** უწოდებენ, ხოლო ქსოვილს — კუნკულს **კუკოლი**. ეს განსხვავებული კუნკული ქართულშიც შემოვიდა და, სავარაუდოდ, ამ პერიოდში უნდა იყოს გაჩენილი კომპოზიტი კუნკულ-ბარტყული.

ბარტყულა საბასთან და ჩუბინაშვილებთან სხვაგვარად განმარტებული არ არის. მხოლოდ არის ერთი, ჩვენი აზრით, ყურადსალები განმარტება სიტყვისა ბარტყი ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „ბლარტი მართვე მფრინველთა, ანუ წვრილთა ცხოველთა // საკერავში ჩაგდებული პატარა ნაჭერი ან აზღუდი.“ აზღუდი კი ისეა განმარტებული; „ტანსაცმელთა თეძოს თავს ქვემოთ ირიბად ჩაგდებული ნაჭერი“. „საკერავებელი“, ხომ არ ნიშნავს ბარტყულა ამ კომპოზიტში დაკერებულს ან სულაც „ირიბად ჩაგდებულ ნაჭერს“ (ჩაგდებული — „ჩაკერავებული“, „დაკერავებული“)?

მაშასადამე, მართალია, კუნკულის ფორმა და ფერი საუკუნეებისა და ქვეყნების მიხედვით მრავალნაირად შეიცვალა, ჩირითადად, არსებობს ორი ფორმისა: ე. წ. მარტივი, ჩვილის ჩაჩის მსგავსი (მოგვაგნებს ყაბალახსაც) და ორნაწილიანი, ცილინდრის ფორმისა, ზედ მიმაგრებული ქსოვილით. თანამედროვე ქართულში სიტყვა კუნკული აღნიშნავს მარტივ, ჩაჩის ფორმის, თავსაბურავს (რომლის აღდგენასაც დღეს ცდილობენ ქართველი ბერები) და ისევე — ორნაწილიანი კუნკულისპირი.

კულ-ბარტყულის ქუდს. უცნაურია, რომ სიტყვა კუნკული, რომელიც ქსოვილს, ტილოს აღნიშნავდა (და ასე იხმარება კიდეც იგი სხვა ენებში), ქუდის მნიშვნელობით მკვიდრდება დღევანდელ ქართულში.

## ნიკოლოზ ოთინაშვილი

### 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში დაცული ონომასტიკური მასალები ლიახვის ხეობიდან

მეთვრამეტე საუკუნის მთელ რიგ ძეგლებში ფაქტობრივი მასალაა წარმოდგენილი ზემო ქართლის ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული და სხვა საკითხების შესასწავლად. საკმარისია დავასახელოთ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერები“, რომელიც ობიექტურად ასახავენ ზემო ქართლის და არა მარტო ამ კუთხის თავისებურებებს.

აღნიშნულ ძეგლებს გვერდით უნდა ამოფუყენოთ 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც საუკეთესო წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს შესასწავლად და ასევე დღევანდელ ვითარებასთან შესადარებლად.

თურქული ტექსტი, რომელიც არაბული შრიფტით არის შესრულებული, არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. აკადემიკოსმა სერგი ჭიქიამ შეძლო ტექსტის დამუშავება, ამოკითხულია საკუთარი და გეოგრაფიული სახელები. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით მოამზადეს და გამოსცეს აკად. სერგი ჭიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ.

პირველ წიგნში მოცემულია თბილისის, გორის მხარეები, საციკიანო, ამილახვრის (ნაკიე მხარე), მუხრანის მხარე და სხვა. ამჯერად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ლიახვის ხეობაზე, რომელიც საკმაო სისრულითაა აღწერილი.

ტექსტში მოცემულია ოსმალური საგადასახადო ტერმინები, ამჟამადაც არსებული და დღეს უკვე გამქრალი სოფლები, რომელთა ლოკალიზაცია დასადეგნია, ასევე, ანთროპონიმული მოდელის პირველი წევრი საკუთარი სახელი, მამის სახელი გვარის გამოკლებით, წოდებრივი იქრარქია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ლიახვის ხეობის სოფელთა უმეტესობა ამ დროისათვის მაჩაბელთა თავადურ გვარს ემორჩილებოდა, მაგრამ მთელი რიგი სოფლები ამილახვრებს ეკუთვნილია. მაგალითად, სოფლები: ცხინვალი, წუნარი, ზემო და ქვემო ხვითი, ქვედა ნიქოზი, ფხვენისი ამილახვართა გამგებლობაშია. ასევე ამილახვრების გამგებლობაშია: დამბალეთი, თამარაშენი, კეხვი, ახაბეთი, ქურთა, სვერი, ქემერტი და სხვა სოფლები.

ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების ეთნიკური შემადგენლობა მთლიანად ქართულია. სოფელი წუნარი, რომელიც ამჟამად ეთნიკურად შეცვლილია, იმ დროს მთლიანად ქართული იყო. სახლობდნენ: აღდგომელა, მახარებელი, ივანე, ბერუკა, გენება, ზაქარია, თევდორე, რევაზ, ფილიბე და სხვები.

პატარა ლიახვის ხეობის სოფელი გერი, რომელიც უძველესი დასახლებაა, იმ დროისათვის ქართველებით იყო დასახლებული. იქ სახლობდნენ: გიორგი, ბერი, ოთარ, ოქრუა, დიმიტრი, ზურაბ და სხვები, რომელთა გვარების აღდგენა აუცილებლობად მიგვაჩნია.

ტოპონიმებიდან გაურკვეველია სოფლების: ტოლეთუბნის, წარის, ქუთასლისის, ზარსეთის, ზენსლისის, ბარდიზას, ზენდისის ლოკალიზაცია, სადაც ქართველობა სახლობდა. სოფელი ღუსირეთი (დღევანდელი კუსირეთი) დიდი დასახლება ყოფილა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ „აღწერის“ სხვა მასალებსაც.

## სალომე ომიაძე

### ლინგვოკულტურული სივრცის ანთროპორფულობის ერთი საკითხისათვის

ქართული ლინგვოკულტურული სივრცის სრულყოფილი აღწერისათვის აუცილებელია კულტურის კოდების შესწავლა. კულტურის კოდები ადამიანის უძველეს არქეტიპულ წარმოდგენებს მიემართება. ფაქტობრივად ისინი ამ წარმოდგენეთა კოდებია. რამდენადაც ადამიანმა გარემოს წვდომა საკუთარი თავის შეცნობითა და წვდომით დაიწყო, კულტურის კოდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ანთროპორფული კოდია.

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესში უმნიშვნელოვანესი ორგანო თვალია. გარემოს შესახებ ინფორმაციის ოთხმოც პროცესტს თვალების საშუალებით ვიღებთ. ამ პროცესის აღმწერი ლექსიკური ერთეულები მოტივირებულობითა და სახელდების ადეკვატურობით გამოირჩევა.

ქართულ პარემიებში უხვად არის წარმოდგენილი მასალა, რომელიც ადამიანის კომუნიკაციურ ქცევაში მზერითი ინტერაქციის როლს ასახავს. საუბრისას სამეტყველო აქტებზე არანაკლები ინფორმაციული თვალებით მეტყველებაა. არავერბალური სემიოტიკის მრავალ მიმართულებას შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი სწორედ ოკულესიკას ანუ თვალების ენის შემსწავლელ დისციპლინას ენიჭება.

ოკულესიკაში აღწერილი თვალების ენის ნიშანთა სისტემა მთლიანადაა გასიტყვებული ქართულ დისკურსში. თვალების ენის ნიშნურობას განაპირობებს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მზერის მიმართულება, ხანგრძლივობა, ინტენსივობა, სტატიკურ-დინამიკურობა. ყველა დასახელებული პარამეტრი კონკრეტულ სტერეოტიპულ საკომუნიკაციო სიტუაციაში სხვადასხვა შინაარსითა და ზემოქმედების სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება, ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია კი იმ კომუნიკაციური ცოდნის ნაწილია, რომელიც საზოგადოებაში მიღებული ნორმებისა და წესების ნაკრებთან ერთად ადამიანის კომუნიკაციურ ცნობიერებაში ინახება, მაშასადამე, ინახება ენასა და დისკურსში

მოხსენებაში განხილული და კლასიფიკირებული იქნება „თვალთან“ დაკავშირებული ერთ- და ორკომპონენტიანი ლექსემები, იდიომები და ფრაზეოლოგიზმები, რომელთა აღწერაც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ქართული ლინგვოკულტურული სივრცის ერთი უბნის დასახასიათებლად.

## მერაბ რობაჭიძე

„მიამიტის“ შინაარისა და ეტიმოლოგიისათვის  
(ქართულ და სომხურ ენებში „გულ“ და „გონებით“  
შედგენილი კომპოზიტების ურთიერთმიმართების ფონზე)

„მიამიტი“ სომხური წარმომავლობის (მწამწა) სიტყვაა და ქველ სომხურ ენაში ნიშანავს „ერთგულს“ („ერთსულოვანს“, „გულ-წრფელს“); ამასთან აქვს „გულუბრყვილოს“ მნიშვნელობაც. გარკვეული დროიდან, როგორც არმენიზმი, ქართულ ენაში მკვიდრდება. „მიამიტი“, ისევე როგორც ქართულში „ერთგული), კომპოზიტს წარმოადგენს; იგი შეიცავს ამგვარ შემადგენლებს: **ქი** [მი] = ერთი, **უ** [ა] = კომპოზიტის წევრთა მაკავშირებელი ხმოვანი, **ქის** [მიტ] = გონება. ამ კომპოზიტთა შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული სიტყვის „გულ“-ს სომხურში შეესატყვისება „გონება“. მიუხედავად ამისა, ქართულისა და სომხურის ეს კომპოზიტები სტრუქტურულად და სემანტიკურად ერთმანეთის შესატყვისი ტერმინოლოგიური ცნებებია.

2. „მიამიტი“ პარალელურად სომხურ წყაროებში გვხვდება აგრეთვე კომპოზიტი **ქიაშქის** [მიასირტ], რომელშიც **ქირი** = „გულს“. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ერთგულისა“ და „მიასირტის“ სრულ — სტრუქტურულ, ლექსიკურ და სემანტიკურ შესატყვისობასთან. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სომხური ენისთვის უფრო დამახასიათებელია „გონება“ სიტყვით შედგენილი კომპოზიტები, რომელთა შესატყვისი სტრუქტურულად და სემანტიკურად მსგავსი კომპოზიტები ქართულში სომხური „გონების“ შესატყვისად გვიჩვენებენ „გულს“.

3. ამ ტიპის სომხურ და ქართულ კომპოზიტებში „გონებისა“ და „გულის“ მონაცვლეობა კანონზომიერი მოვლენაა: **ქიაშქი** [მიამიტ], **ხამაშქი** [ჰამაშმიტ] = ერთგული; **ხელქი** [ერქმიტ] = ორგული; **ანხელქი** [ანერქმიტ] = შეუორგულებელი, ერთგული; **მსაჟქი** [მტადირ] // **იაძარაშქი** [იოჟარამიტ] // **კათაჯაშქი** [დარაჯამიტ] = გულსმოდგინე; **არქა რაშქი** [არდარამიტ] = გულმართალი, გულ-წრფელი; **ქაქენაშქი** [ვაირენამიტ] = გულმხეცი; **მსაჟი** [მტარუ]

= გულხმიერი, **მთავოსიქის** [მტარუთინ] // **მთაონი** [მტარელ] // **ჩემით აონისი** [ი მიტ არნულ] // **խեლამისო აონის** [ხელამუტ არნელ] = გულის-კუმა, გულ(ის)-ღება; **ნენკამის** [ნენგამიტ] = გულმზაკვარი, გულბოროტი; **არფამის** [სრბამიტ] = გულწრფელი, გულ(ით) წმიდა; **პარემის** [ბარესირტ] = გულკეთილი; **არაყამის** [არაგა მიტ] = გულჩქარი; **წარძრამის** [ბარძრამიტ] = გულმაღალი; **წერკლამის** [ბერკრამიტ] = გულმხიარული; **ნეროლამის** [ნეროლამიტ] = გულმოწყალე; **ალარყ(ა)მის** [პარზამიტ] = გულმართალი, გულწრფელი; **თლოამის** [ოლჯამიტ] = გულსავსე, გულსრული.

4. სომხურ ენაში ვხვდებით ისეთ კომპოზიტებს, რომლებიც „გონებისა“ და „გულის“ მონაცემებით არიან წარმოდგენილნი (ქართულ ენაში შეისატყვისებენ „გულს“: **ქამის** // **ქასაქრის** [მიამიტ//მიასირტ] = ერთგული; **წანძრამის** // **წანძრასაქრის** [თანძრამიტ//თანძრასირტ] = უგულისხმო; **წოლამის** // **წოლასაქრის** [თულამიტ//თულისირტ] = გულმედგარი; **კარდამის** // **ნერ(ა)საქრის** [კარჭამიტ//ნერ(ა)სირტ] = გულიწრო (შდრ. სულმოკლე, იწროება გონებისა, იწროება სულისა); **ჯარამის** // **ჯარასაქრის** გულბოროტი; **պალასამის** [პაკასამიტ] = გულნაკლული, „ნაკლულევანი გულითა“, „ნაკლულევანი გონებითა“, გონებანაკლული, ჭკუანაკლული, ჭკუამოკლე; **ծანრამის** // **ծანრასაქრის** [წანრამიტ//წანრასირტ] = გულმყარი, გულფიცხელი, გულსასტიკი; **խսთამის** // **խսთა սქრის** [ხსტამიტ//ხსტასირტ] = გულმყარი, გულფიცხელი, გულსასტიკი **ჯარამის** // **ჯარა սქრის** [ჩარამიტ//ჩარასირტ] = გულძრი, გულბოროტი.

5. „**ზიამიტი**“ არ ჩანს ქელი ქართული ენის ლექსიკონებსა და კლასიკურ ტექსტებში, არც სულხან-საბას, ნიკო და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებშია შეტანილი, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს სიტყვა ქართულში გვიანაა შემოსული, როგორც არმენიზმი.

6. **მიამიტი** // **მეამიტი** შეტანილია იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“. მოხმობილი მასალიდან ჩანს, რომ ეს სიტყვა უკრნალ-გაზეთებში, მხატვრულ ნაწარმოებებსა და თარგმანებში XIX ს-ის მეორე ნახევრიდან (ამ ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან) უნდა იჩენდეს თავს (გ.სუნდუკიანცი, ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, გ. ქიქო-

ქ, ვ. კოტეტიშვილი და სხვა). საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის შემოსვლას ქართულში განსაკუთრებით შეუწყო ხელი ცნობილი სომები დრამატურგის პიესებმა („პეპო“, „ხათაბალა“, „დაქცეული ოქანი“), რომლებიც ათეული წლების მანძილზე იდგმებოდა ქართულ თეატრში. ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ „მიამიტი“ ხალხურია, ხოლო მწერლობაში გავრცელებულია „გულუბრყვილო“. ლექსიკონის შემდგენელი ამბობს, რომ „ეს სიტყვა არ ესმით ლიხს იქითელებს“.

## ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

### ქართველურ-ნახურ ენათა ლექსიკური ურთიერთობიდან

1. ქართველურ ენებში დასტურდება ძირები: მეგრ. **ბარგ-** / **ბერგ-** „თოხი“, **ბარგ-უნ-ს** „თოხნის“; **ბარგ-უ-ა** „თოხნა“, ო-**ბარგ-ალ-ი** „სამარგლავი“, გასათოხნა“; **ბერგ-ი** „თოხი“; ლაზ. **ბერგ-**, **ბერგ-უმ-ს** „თოხნის“; ო-**ბერგ-უ** „თოხნა“, **ბერგ-ი** „თოხი“; სვან. **ბერგ-**, ლი-**ბერგ-ე** „თოხნა“; **ბერგ** „თოხი“; ხუ-ა-**ბერგე** „ვთოხნი“. ქართულში შესატყვისი ძირი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. სვანური **ბერგ-ის** კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **ბარგ-**; ზან. **ბერგ-** < **ბარგ-** უმლაუტის გზით. ლაზურის **ბერგ-** ზმნურ ფორმებში გათანაბრების (უნიფიკაციის) შედევრად არის მიჩნეული (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965; ჰ. ფერიძი, ზ. სარჯველაძე, 2000).

ნახურ ენებში გვხდება „წერაქვის“ მნიშვნელობით: ბაცბ. **ბრავ**, ჩაჩნ. **ბერგ** (ზორქ **ბერგ** „ჩახმახი წერაქვი“), ინგ. (პშევა **ბარგ** „რკინის წერაქვი“).

ბაცბ. **ბრავ** < **ბარგ-**ისაგან (მ. ჩუხუა, 2008). „თოხი“ ნახურ ენებში სხვა ლექსიკებითაა წარმოდგენილი: ჩაჩნ. **ცელ**, **მეთიგ**, **გამ**, **ჟსთა**; ინგ. **ცელ**, **გუგნაშ დერგ**; ბაცბ. **თოხ**.

ერთი მხრივ, „თოხისა“ და, მეორე მხრივ, „წერაქვისათვის“ განსხვავებული ლექსიკური ერთეულების წარმოჩენა ნახურ ენებში მეო-

რეული უნდა იყოს: ამოსავალში **ბერგ, ბარგ** (> **ბრაგ**) ლექსემები უნდა გვქონოდა როგორც „თოხის“, ისე „წერაქვის“ მნიშვნელობით, შდრ. სომხ. **Բրիչ** (bric) „სათხრელი იარაღი“ (პრ. აჭარიანი, 1971); **Բրիչ** (bric) 1. „წერაქვი“, 2. „თოხი“ (ა. ღარიბიანი, ე. ტერ-მინასიანი, მ. გვერგიანი, 1947).

ჩაჩნურსა და ინგუშურში (resp. ნახურ ენებში) შემდგომში მომხდარა სემანტიკის დავიწროება: **ბერგ, ბარგ**-ს, რომლებიც ერთდროულად აღნიშნავდნენ „წერა ა ქვს ა“ და „თოხს ა“, შემორჩენია მხოლოდ „წერაქვის“ მნიშვნელობა, „თოხი“ კი სხვა ლექსემებით წარმოჩენილა.

2. **დუდ-** ფუძეს ადასტურებენ ლექსემებში: ქართ. **დუდ-**, **დუდი-** „ქათმის ბიბილი“, „თხემი“; ზან. **დუდი-** „თავი“, „კეფა“, „სათავე“; სვან. **დუდ-ულ** „ძუძუსთავი“ (არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი); ჩაჩნ. **თუთა** „ქალა“; ინგ. **თითო < თუთი** (id). ბაცურში შესატყვისი ფუძე დაკარგულად მიიჩნევა (მ. ჩუხუა, 2008).

შესაძლებელია, **დუდ-** („თავი“) ფუძე შემორჩენილი იყოს ბაცბ. **დუდახ** „წელან“ ზმნისართში. **დუდ-ა-ხ დუდ-იდან** ნაწარმოები **ხ** სეგმენტიანი ფორმაა. **დუდახ-ისათვის** ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილყო „თავიდან, დასაწყისიდან, ადრე, წინ“, შდრ. ქართ. **თავიდან**, მეგრ. **დუდ-იშე** „თავიდან, დასაწყისში“.

ასეთი სემანტიკაც (თავიდან, დასაწყისიდან, ადრე, წინ) უნდა ჰქონოდა აგრეთვე **დუდ „თავი“** მარტივ სახელს, რომლისაგანაც არის ნაწარმოები ზმნისართი **დუდახ**. შდრ. ნახური ენების **დუდ-ის** („თავი“) სინონიმების **ქორთო, ქორთა** („თავი“) მნიშვნელობა შესიტყვებაში: ბაც. ხინ ქორთო და ჩაჩნ.-ინგ. ხინ ქორთა „მდინარის სათავე, დასაწყისი“ (ა. მაციევი, 1961; ზ. მალსაგოვი, 1968). შდრ. აგრეთვე ქართ. **თავი** „პირველის, დასაწყისის, წინას“ მნიშვნელობით (საბა; ქებლ; ი. აბულაძე, 1973).

## მედეა საღლიანი

### ერთი ტიპის დრონაკლი ზმნებისათვის სვანურში

ზმნათა დეფექტურობა ამა თუ იმ კონკრეტული ენის ზმნისათვის დამახასიათებელი კატეგორიების მიხედვით მრავალ ენაში აღინიშნება. ცხადია, ამ თვალსაზრისით არც სვანური წარმოადგენს გამონაკლის. 1976 წლამდე ეს საკითხი, როგორც სახნათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანურში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. პროფ. ვ. თოფურიას სვანური ზმნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში განხილული აქვს მხოლოდ ძირმონაცვლე (მისი ტერ-მინოლოგიით **ძირცვალებადი**) ზმნები და იქვე ცალკე პარაგრაფად აქვს წარმოადგენილი რამდენიმე თავისებური ზმნის (**ხაყა** „ყავს, ვარგა“, **ხულტუა/ე** „აქვს“, **ხაყუ** „უნდა“, **იგნალ** „დგება“, **ხაეშ** „გავს, ღირს“ და ა. შ.). ფონეტიკურ-მორფოლოგიური დახასიათება. კ. გაგუამ კი სვანური დეფექტურ ზმნებს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მან სვანური დრონაკლი ზმნები პირობითად ორ დიდ ჯგუფად დაყო: **ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები და ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები**.

მონოგრაფიაში ცალკე ჯგუფადა გამოყოფილი და წარმოადგენილია ავტორისეული დაკვირვების შედეგები ერთი ტიპის ზმნებზე — **ადგნ** (მჟღაპ „რა იქნა“...), **ხიჩდა** „ყოფილა“ და **ათხად** „თქვა“, რომელთა რაოდენობა, კ. გაგუას თქმით, იმდენად მცირეა, რომ შეიძლება უხერხულიც კი იყოს მათი ცალკე გამოყოფა, მაგრამ ვინაიდან ისინი რამდენადმე განსხვავებული არიან ძირითად თავებში განხილული სხვა ზმნებისგან, ამიტომ შესაძლებლად თვლის მათ ცალკე განხილვის. ამ ზმნებს არ გააჩნიათ სხვადასხვა დროის ფორმები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არც იგრძნობა ნაკლული ფორმების რითიმე შევსების საჭიროება.

მოხსენებაში სწორედ ამ ტიპის ზმნებზე გვექნება საუბარი, რომელთა რაოდენობა სვანურში, ჩვენი დაკვირვებით, საკმაოდ დიდია, და, საინტერესო სტრუქტურული თავისებურებებით გამოირჩევა.

საველე პირობებში ჩვენ დავათვიქსირეთ არა ერთი ისეთი დეფექტური ზმნა, რომელთა უმეტესობა დღემდე არსებულ არც ერთ პუბლიკაციაში არ დაფიქსირებულა და, ამდენად, მათი აღწერა და კონ-

კრეტული ანალიზი ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება.

როგორც ცნობილია, დეფექტურ ანუ თავისებურ ზმნად მიიჩნევა ყოველი პირნაკლი, რიცხვნაკლი, დრონაკლი, გვარნაკლი და ქცევანაკლი ზმნა. ბუნებრივია, რომ ამგვარ ზმნათა ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია სვანური ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა განვითარების ისტორიის შესწავლისათვის, თუმცა რთულიც სვანური ზმნის ბუნებიდან გამომდინარე.

უნდა ითქვას ისიც, რომ კატეგორიანაკლ ზმნათა ანალიზი ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებში ძირითადად აღწერითი ხასიათისაა, თუმცა, როგორც პროფ. ვ. თოფურია აღნიშნავს: „სვანური ენის აგებულების ყოველმხრივ აღწერას გარკვეული წვლილის შეტანა ევალება“. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომიც გარკვეულ წვლილს შეიტანს სვანური ენის აგებულებისა და ისტორიული განვითარების შესწავლის საქმეში.

ცნობილ მეცნიერთა კვალდაკვალ ჩვენც აღნიშნულ ნაშრომში წინაპლაზე წამოვწევთ დრონაკლ ზმნათა აღწერას და მათ კონკრეტულ ანალიზს, თუმცა შეძლებისადაგვარად ყურადღება იქნება გამახვილებული ამა თუ იმ საანალიზო ზმნის ძირის წარმომავლობაზეც.

ზმნათა უმრავლესობას, როგორც ცნობილია, ადვილად შეუძლია გამოხატოს ყველა დრო-კილოს ფორმა ისე, რომ ზმნის ძირს ცვლილება არ მოვიდეს, თუმცა ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამის შესაძლებლობას მოკლებულია. ამგვარ ზმნებს ერთ ან ორ დრო-კილოზე მეტი საერთოდ არ გააჩნია და თუ მოეპოვებათ დამატებით რომელიმე დრო, ფუძე სათანადო ცვლილებას განიცდის (ივ. ქავთარაძე). ცნობილი მეცნიერის ამ დებულებას ეწინააღმდეგება სწორედ კ. გაგუას მიერ საანალიზო ზემოთ წარმოდგენილი სვანური სამიოდე ზმნა (მაგ. „რა იქნა“, ხორცა „ყოფილა“ და ათხად „თქვა“) და ჩვენ მიერ სვანური ენის დიალექტებსა და კილოკვებში დაფიქსირებული არა ერთი დეფექტური ზმნური ფორმა (მაგ.: ბქ. ხემზარალ „რაიმე დაავადების“ (მაგ. გრიბის...) დაწყება, დასაწყისი“, ჩოლ. ხეკანალ „ავადმყოფობა ეწყება, ენიშნება“, ბქ. ხეპანი „გაემტყუნება“, ბქ. ესყულეჩნე, „ესეც იტყვის რა“, ბქ. აზრგნე „დრო გაყავს, ნელა მოქმედებს“, ჩოლ. ხეწყრებ „ეჯუჯლუნება“, ბქ. ხეშუალ „დასტირის, გლოვობს“, ლხმ. ხენტრელ „დასტირის“ და ა. შ.), რომლებიც ნაკლული ფორმების შეგსების საჭიროებას თითქოს არ საჭიროებენ.

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ ზმნათა უმეტესობას არ ეწარმოება მეორე სერიის ნაკვთები, ვინაიდან მათი სემანტიკა ამას ვერ იგუებს, უფრო სწორად, არ მოითხოვს. ამგვარ ზმნათა ფუძეწარმოების თავისებურებისა და დრონაკლობის გასაგებად სხვადასხვა მომენტის გათვალისწინებაა საჭირო, თუმცა სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, ამ მომენტთა გათვალისწინება ბევრად უფრო რთულია ძველი წერილობითი ძეგლების უქონლობის გამო.

## მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

### კაუზატიური სუბიექტის ფუნქციისათვის

კაუზატივი ქართულში გარდამავალი ზმნის კატეგორიაა და მას ქმნის გარდამავალი არაკაუზატიური და კაუზატიური ფორმების, როგორც ძირებული და წარმოქმნილი ფორმების, დაპირისპირება; მორფოლოგიურად წარმოქმნილი ფორმა განივრცობა სათანადო აფიქსებით, სინტაქსურად — ვალენტობის მატებით (**თლის** ის ფიცარს — **ათლევინებს** ის მას ფიცარს, **აკეთებს** ის საქმეს — **აკეთებინებს** ის მას საქმეს); არაკაუზატიურ და კაუზატიურ ფორმებს შორის ფუნქციურ-სემანტიკურ განსხვავებას ქმნის მოქმედების ჩამდენი პირის გრამატიკული სტატუსი: არაკაუზატიურ ზმნებში მოქმედების ჩამდენი, შემსრულებელი, თავისი ნებით მოქმედი სუბიექტია (**აკეთებს** ის საქმეს „შრომით რასმე ქმნის“...), კაუზატიურ ზმნებში შემსრულებელი სხვისი (სუბიექტის) ნების კარნახით, სხვისი ინიციატივით მოქმედი ირიბი ობიექტია: **აკეთებინებს...** ავალებს აკეთოს... „მოსე მამასახლისს და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც თვითონ სურდა, იმას აკეთებინებდა“ (ე. ნინოშ.).

ასე რომ, კაუზაციის ცნების განსაზღვრაში არსებითა არა ის, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ინიბი ინიბი მეშვეობით, არამედ ის, რომ ირიბი ინიბი მოქმედებს პირდაპირ ინიბი სუბიექტის ინიციატივით, მისი მიზეზით (გ. მაჭავარიანი,

1988), ე.ი. კაუზაციაში ღირებულია ის, რომ სუბიექტი ინიციატორია და არა შემსრულებელი (თ. გამყრელიძე, ჭ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგალია, 2003).

კაუზატიური ზმნის სუბიექტი, ძირითადად მოქმედების მაიძულებელი და ინიციატორია, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, სუბიექტი შეიძლება მოქმედების შემსრულებლად მოგვევლინოს, მაგ., თუ ირიბ ობიექტად ზმნაში უსულო (**რა ჯგუფის**) სახელია წარმოდგენილი, ირიბი ობიექტის, როგორც მოქმედების უშუალო შემსრულებლის ფუნქცია ბუნდოვანი ხდება და მოქმედების შემსრულებლად სუბიექტი გველინება, შდრ.: [სეტყვა] ხეხილს ნაყოფს აყრევინებს (ი. გოგებ.). მოქმედების შემსრულებლად ამ კონტექსტში არა ირიბი ობიექტი (**ხეხილს**), არამედ სუბიექტი (**სეტყვა**) მოიაზრება.

ფაქტობრივ მასალას გარკვეული კორექტივები შეაქვს კაუზატიური ზმნების სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ფუნქციათა დამკიდრებულ განმარტებებში; ხშირად ეს ფორმები პოლისემიურია და ირიბი ობიექტი შუალობითი კონტაქტის ფორმებში ყოველთვის არ არის მოქმედების ერთადერთი ფაქტობრივი შემსრულებელი. ბევრ შემთხვევაში მას თანამონაწილედ სუბიექტიც შეიძლება ჰყავდეს. განმარტებით ლექსიკონში აბანინებს ზმნასთან დამოწმებულ წინადადებაში ახალგაზრდა დედას ბებია შველის და ბავშვის აბანინებს — ბებია (**სუბიექტი**) თანამონაწილეა დედის მიერ (ირიბი ობიექტი) ბავშვის (პირდ. ობიექტი) დაბანის პროცესისა. ასეა სხვა შემთხვევებშიც:

**აკიდებინებს** ის მას ტვირთს ორგარად შეიძლება გავიაზროთ: 1. ის (**სუბიექტი**) ავალებს მას (ირიბ ობიექტს) ტვირთის (პირდ. ობიექტი) აკიდებას, 2. ის (**სუბიექტი**) სთხოვს მას (ირიბ ობიექტს), რომ ტვირთი (პირდ. ობიექტი) თავად მას (**სუბიექტს**) აპიდონ.

**ამოაყვანინებს** ის მას მას. ავადმყოფს კიბეზე ამოაყვანინებს: 1. ის (**სუბიექტი**) ავალებს მას (ირიბ ობიექტს) რომ ავადმყოფი (პირდ. ობიექტი) ამოიყვანოს, 2. ის (**სუბიექტი**) თვითონ ეხმარება მას (ირიბ ობიექტს) ავადმყოფის (პირდ. ობიექტი) ამოყვანაში.

შუალობითი კონტაქტის ფორმათა სალექსიკონო განმარტებებში სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიერ ერთობლივად გან-

ხორციელებული მოქმედებები დაფიქსირებულია **შველის, ეხმარება, შეაძლებინებს** ზმნათა მეშვეობით. ნიშანდობლივია, რომ მოქმედების ასეთი ერთობლივი, კოლექტიური შემსრულებელი ძირითადად იმ ზმნებთან მოიაზრება, რომლებიც ყოფით-სამეურნეო საქმიანობას ასახავენ (**ამარგვლინებს, ათიბვინებს, აბლანდვინებს, ათუთქვინებს, აბმევინებს, აბერტყვინებს, ათონინებს, აგრეხინებს** და ა.შ.). წარმოგიდგინთ სათანადო მასალას ქეგლის მიხედვით:

**აბერტყვინებს**... ავალებს ბერტყოს; ბერტყვაში შველის ხალიჩას აბერტყვინებს. კაჭალს აბერტყვინებს.

**ათესვინებს**... ავალებს თესოს, თესვაში ეხმარება. სიმინდს ათესვინებს, — პურს ათესვინებს.

**ათონინებს**... ავალებს თოხნის; თოხნაში ეხმარება.

**აკაფვინებს**... ავალებს კაფოს, შველის კაფვაში. ტყეს აკაფვინებს.

**ამარგვლინებს**... ავალებს ან შველის მარგლოს. ბოსტანს ამარგვლინებს...

## თეორუგაიძე

### „ხანმეტობისა“ და „ჰაემეტობის“ ქრონოლოგიური მიმართებისათვის

ქართული ენის თანამედროვე დიალექტები  $S_2$ -ისა და  $O_3$ -ის მარკირების მიხედვით უკლებლივ ქველი ქართულის ბოლო პერიოდის (IX, X სს.) მემკვიდრე არიან. ამ პირთა საზიარო {პ-} მორთვემის ალომორფთა განაწილება სქემატურად ასე დახასიათდება ქველი ქართულის ამ მონაკვეთში:

{პ-} — /პ-/ ~ /ს-/

↗ /პ-. ეს ნიშანავს, რომ {პ-}-ს წინაენისმიერი თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუქტა წინ გაუჩნდა ამ თანხმოვანთა პომორგანული და ასევე ყრუ /ს-/ ვარიანტი. ამ პერიოდში ში-

შინა აფრიკატა წინ /-/-ს და /-/ს ხმარება ჩვეულებრივია (დაცყირ-და // დასჭირდა... ჰეობდის // სკობდის...), რაც იმას ნიშნავს, რომ { }-ს ალომორფულთა ასიმილაციაში ჰომოგენურობის პრინციპი (შჭამს, ვაშკურის...) გვიან შემოსულა.

॥ ჯგუშში, გარდა ქართლურისა და კახურისა, შედიან მათი გავლენის ქვეშ მყოფი დიალექტები: ფშაური, მთიულური, გუდამაყრული, მესხური, ჯავახური, ინგილოური და ფერეიდნული. ამ დიალექტებში ამოსავალი {პ-}ს ვარიანტები იქმნება V-C პოზიციაში, სადაც არსებითი გავლენა ეკუთვნის პირის ნიშნის წინ მდგომ ხმოვანს (ზმისწინის ან წინმდგომი სიტყვის დამაბოლოებელ ხმოვანს); გავლენის შედეგად ხდება /პ-/ და /ს-/ ვარიანტთა /ე/-დ გარდაქმნა გარკვეული ნიუანსებით, რაც ფუძისეულ თანხმოვნებს მიუწერება.

1 ֆիզոֆի գամօսայոնցու եցելուրով դա տվշուրո, հռմլցեթից քոմորցանուրոնձիսա դա քոմոցենուրոնձիս ասմօնլացուրո პրոնցութեօն ծոլոմմցեա ճապուրո, հասաւ Շեցեցալ մոնկցա /3-1 ալոմորգուս և ընդունու գայրոնձա ամ ճօւալցեթիցեթի. Քյեմոտ թարմուցցենուրո սյեմա S<sub>2</sub>-իսա դա O<sub>3</sub>-իս {3-}և մորցեմիս ալոմորգութա ճօւստրոնձուցուսա դա ճօւալցեթիցեթի օստրոնձուս գատցալութիցենցիտ ողցես այտ սակէս:

\* ნულოვანი ალმორფი ხმოვანთა შინ ძელი ქართულის ბოლო პერიოდშივეა განმეორებულო.

{ ڙ- } (IX, X ۽ 11.)

\*{ঃ-} — /ু-/~/{ঃ-}/~/{ঃ-}/~/{ঃ-}/~/{ঃ-}/.

თუ გავითვალისწინებთ გენეტიკურ საფუძველზე დამყარებულ ენობრივ მოვლენათა განმეორადობას, აღწერილ ვითარებათა მიხედვით „ხანმეტობის“ წინა პერიოდში არსებული {3-} ორმელიმე დიალექტში მატერიალურად შეიძლება გამჭრალიყო და სამწერლო ენის საყრდენად გახდომის შემდეგ ❶- პრეფიქსი ჰომორგანულობის პრინციპზე დამყარებით განმტკიცებულიყო  $S_2$ -ისა და  $O_3$ -ის ნიშნად; უფრო გვიან კი, დაახლოებით VII ს. შემდეგ, დიალექტი, რომელსაც შემორჩა „ხანმეტობის“ დროზე ადრეული ჰ- ნიშანი, გამხდარა სამწერლო ენის საყრდენი და სწორედ ეს ნიშანი იქცა ქველი ქართულის ბოლო პერიოდის (IX-X საუკუნეების) ნიშნად  $S_2$ -ისა და  $O_3$ -ის თვის. ამავე პერიოდის ფარგლებში დაიწყო მისი ვარიანტების წარმოშვნა ჰომორგანულობა-ჰომოგნურობის პრინციპებით.

ჩვენი ვარაუდის საფუძველია ქართული ენის გენეტიკური ოვისება: 『<sup>3</sup>』 ბგერას შეიძლია 『<sup>4</sup>』-ს მოკლება, პირიქით კი არა ხდება.

## ନାଟ୍ସଟିମ ତ୍ୱାରକ୍ଷେତ୍ରିଳିଙ୍ଗ

ერთი თანდებულის შესახებ ქისტურში

ჩეჩენურ სალიტერატურო ენაში ტყე „ზე“ თანდებული დაერთვის არსებითი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე ე.წ. „მოკლე“ სახითაც. მოკლე ფორმა იგივეა, რაც სახელის // საბრუნებელი ფუძე, რომელსაც მოკვეცილი აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი. // საბრუნებელი ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, რომელიც, თავის მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანის ხმოვნითი ნაწილია. შედრ.:

სახ. გიგი გაგ „ყვავილი“

ნათ. ზოეზავ-აზ

მიც. ზეგზაგ-ა-ნა (< ზეგზაგ-ან-ნა)

თანდებულის დართვით:

სრული ფორმა: ზეგზაგ-ა-ნა ტფე

„მოკლე“ ფორმა: ზეგზაგ-ა ტფე „ყვავილზე“...

ტფე თანდებულს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს სახელის მნიშვნელობა. შდრ. ტფე „ზედაპირი“. მაშასადამე, იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული თანდებული, ამიტომ ცალკე იწერება.

ქისტურში ჩვეულებრივია სალიტერატურო ენაში ზემოთ განხილული ფორმები, მაგრამ მათ გვერდით ჩამოყალიბდა ახალი ვარიანტი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

აღნიშნული თანდებული ქისტურში ბოლოკიდურ პოზიციაში კარგავს ხმოვნით ნაწილს, თანხმოვნითი ნაწილი კი ერწყმის // საბრუნებელ ფუძეს. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში კი იგი მულერდება. შდრ.:

გოურ-ა-დ (ეგოურ-ა-ტ ეგოურ-ა ტფე // ეგოურ-ა-ნა ტფე) „ცხენ-ზე“...

მაშასადამე, ცნობილი ფონეტიკური მოვლენების შედეგად მივიღეთ სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ფორმა, სადაც ბოლოკიდური -დ თანხმოვანი მომდინარეობს ტფე (ქისტურში: ტი//ტე) თანდებულისაგან.

-დ-ს დაკარგული აქვს სემანტიკური კავშირი ამოსავალ ფორმასთან, იგი დესემანტიზებულია და ჩამოყალიბებულ თანდებულს წარმოადგენს, რომელიც შერწყმულია ფუძესთან.

გარდა ამისა, განხილულია ის ფონეტიკური თავისებურებანიც, რომლებიც აღნიშნული თანდებულის დართვის შედეგად თავს იჩენენ მრავლობითში. შდრ.: გოურ-ა-შ-დ // გოურ-ა-შ-დ (ეგოურაშნა ტფე) „ცხენებზე“...

## ნათია ფონიავა

### CVC ტიპის აბაზურ ზმნურ პირთა ფონემური სტრუქტურისათვის

მოხსენებაში განვიხილავთ ფონემათა დისტრიბუციას **CVC** ტიპის აბაზურ ზმნურ ძირებში. მასალა მოვიძეთ ვ. ბ. ტუგოვის რედაქციით 1967 წელს გამოცემულ „აბაზურ-რუსულ ლექსიკონში“. საანალიზოდ აღებული გვაქვს როგორც საკუთრივ აბაზური, ისე ნასესხები ზმნური ერთეულები.

აბაზურ ზმნურ ძირებში დავადასტურეთ **CVC** ტიპის 128 ზმნური ერთეული, რომლებიც გადანაწილებულია 12 ქვემოდელში: **CVF** (აბა-კაფ-რა „ერთად წაქცევა, დავარდნა“), **CVC** (წაკ-რა „დამალვა, მიჩქმალვა რაღაცის“, „შეკრება, მოგროვება“), **CVS** (წგრ-რა „ყვირილი“), **CVs** (წავ-ზლა-რა „ბავშვად ყოფნა“), **FVC** (საჭ-რა „მთლიანად დაწვა რაღაცის“, **FVF** (სას-რა „სტუმრობა, სტუმრად ყოფნა“), **FVS** (სეგლ-რა „ტანსაცილის ჩატევა“), **SVS** (ზა-ლალ-რა „მონაწილეობის მიღება რაღაცაში“, „შესვლა ხშირ, სქელ მასაში ან ერთგვარი საგნების სიხშირეში“), **SVF** (ლას-ხა-რა „დაბრმავება, დაბეცება“), **SVC** (ლეგ-ხა-რა „მონად ქცევა“, **SVs** (ალა-უშე-რა „ღმუილი, ყმუილი“, „ყმუილის ატეხა“), **sVF** (უჟა-ზლა-რა „გვალვა“).

**CVC** სტრუქტურაში ხმოვანთაგან ყველაზე გავრცელებულია ადა გ. ა დასტურდება 73 ძირში, გ - 51-ში, უ წარმოდგენილია 2 ზმნურ ერთეულში, თითო ძირში გვხვდება ი და ე ხმოვნები. საანალიზო სტრუქტურულ ტიპში თ საერთოდ არ რეალიზდება.

გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს ცალკეულ თანხმოვნებს: თავიდურში საერთოდ არ გვხვდება გ, თ, ტ, ასევე სადა უ ფონემა, თითო ძირშია ძ, ჸ, აგრეთვე სადა ჭ და ჰ ფონემები.

ბოლოკიდურ პოზიციაში 45 ძირში ძირში რეალიზებულია **სპირანტები**, 44-ში — **ხშულები** და **აფრიკატები**, 34-ში — **სონორები**, 5-ში — **სონანტები**.

თავიდურ პოზიციაში ყველაზე მეტად გავრცელებულია **ხშულები** (64 ძირი), **სპირანტები** (41 ძირი), **სონორები** (9 ძირი), **სონანტები** (10 ძირი).

**ტები** (4 ძირი).

**CVC** სტრუქტურაში არ შეგვხედრია ხმოვნით გათიშული ისეთი მიმდევრობები, რომელთა თავკიდურსა და ბოლოკიდურ პოზიციაში იქნებოდა ერთი და იმავე რიგის თანხმოვნები (შეზღუდვა არ ვრცელდება ერთი და იმავე რიგის იდენტურ თანხმოვნებზე). მაგ.: **ბVბ** და-საშვებია, მაგრამ აკრძალულია **ბVვ**, **ბVბ**, **ფVბ**, **ფVბ** ა.შ. ზემოთქმული ვრცელდება ნებისმიერი რიგის თანხმოვანზე, მათი პალატალიზებული, გემინირებული და ლაბიალიზებული სახეობების ჩათვლით.

ერთი ძირებული მორფების ფარგლებში ანლაუტსა და აუსლაუტში სისინა და შიშინა აფრიკატებთან ერთად ძირში არ დასტურდება სისინა და შიშინა სპირანტები: **ჭ**, **ბ**, **ე**, **ჟ**. აბაზურში დასახელებული წესები დაცულია უგამნაკლისოდ.

ამრიგად, აბაზურ ზმნურ ძირებში **CVC** სტრუქტურა საკმაოდ გავრცელებულია. ძირთა ნაწილი სახელური წარმოშობისაა, ამავე დროს მიღებულია **CVCV** მოდელის რედუქციით (**CVC < CVCV**):  
**(მაყ-ხა-რა „გაძლიერება“** (შდრ. **მაყ** „ძლიერი“). აღსანიშნავია, რომ საანალიზო მოდელში თანხმოვანთა დისტრიბუცია ანლაუტსა და აუსლაუტში მსგავსია სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ამავე მოდელში ფონემათა დისტრიბუციისა (აფხაზური, ქართული, ბაკური, თაბასარანული, ლეზგიური).

## მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი

### დროის კატეგორიის საღვთისმეტყველო ასპექტები

კაცობრიობას დღემდე ამწყვდევს ჩიხში მარადისობისა და საზოგადოდ დროის პარადოქსული ბუნების ძიება: რა არის მარადისობა და რა არის დრო? რა განასხვავებს და რა აერთიანებს ამ ორ ოდენობას — უძრაობა-მოძრაობა, ხანგრძლივობა-ხანმოკლეობა თუ უცვლელობა-ცვლილება და ა.შ.?

დემიურგისგან შექმნილ სამყაროში დრო, პლატონის თეორიით,

არის მოძრავი, მარადმიმდინარე (მარადმედინი) ხატება, ერთგვარი ანალოგიური პროექცია უძრავი და უცვლელი მარადისობისა, რაც გაცხადებულია ამჟეყნიურ საგანთა და მოვლენათა არსებობით, მათი მოძრაობითა და ცვალებადობით; ხოლო **მარადისობა არის მარადი, წარუგალი აწმყო**, რომელიც გამოიხატება ერთადერთი ატრიბუტით — „**არის**“. საკუთრივ დრო კი ვერასოდეს იქნება პირწმინდად აწმყო, არამედ განწილულია წარსულ დროდ — „**იყო**“, და მომავალ დროდ — „**იქნება**“.

მარადისობისა და დროის სრულყოფილ, ჰეშმარიტ დეფინიციას საგანგებოდ ეძიებს ნეტარი ავგუსტინე, რომლის განმარტებით, ღმერთმა დრო სამყაროსთან ერთად შექმნა („სამყარო შეიქმნა არა დროში, არამედ დროსთან ერთად, რათა გვიჩვენოს, როგორ გადადის უცვლელი და უძრავი მარადისობა წამითი-წამად ცვალებადსა და მოძრავ დროში“). მაშასადამე — **დრო დვთის მიერ ქმნილ სამყაროში ქმნილებაა, განწილული წარსულად, აწმყოდ და მომავლად, რომელთავან:** მომავალი ჯერ არ არსებობს, წარსული უკვე არ არსებობს, ხოლო აწმყო მყისიერად მიედინება.

საყურადღებოა ნეტარი ავგუსტინეს მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაცია შესაქმისეული დროის სახეებისა. წმიდა მამის რწმენით, არ არსებობს საკუთრივ სამი დრო — წარსული, აწმყო და მომავალი, არამედ: „არის სამი დრო: აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავლისა. აწმყო წარსულისა მახსოვრობაა, აწმყო აწმყოსი — უშუალო ჰერეტია, ხოლო აწმყო მომავლისა — მოლოდინი... **წარსული და მომავლი მხოლოდ აწმყოს სახით არსებობენ**“.

შესაქმისეული დროის თავისებურება, ნეტარი მამის განმარტებით, ის არის, რომ დრო არსობრივად სუბიექტივისტურია, ანუ განწილული დროის სამივე სახე ადამიანის ცნობიერებითაა განსაზღვრული: „ეს სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვხედავთ მათ... დრო ერთგვარი განფენილობაა საკუთრივ სულისა, რადგან... მარტოოდენ სულში არსებობს სამი დრო — სამყარო სულმა „გააღრიულა“, — დაასკვნის ნეტარი მამა და „სულში“ გულისხმობს ადამიანის სულს.

გრამატიკული დროც სუბიექტივისტურია, ვინაიდან ზმნის სამივე დრო მოუბარი ადამიანის თვალსაზრისით განისაზღვრება: გრამატიკული დრო ზმნის ფორმაა, რომელიც „გვიჩვენებს მოქმედების მო-

მენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან: აწმყო დროის შემთხვევაში „გვაქვს ერთ-დროულობა, ანუ ერთ-უამიერობა უბნობისა და მოქმედებისა... მეორე და მესამე შემთხვევაში კი უბნობის მომენტი და მოქმედების მომენტი სხვადასხვაა ფიზიკურად“ (აკ. შანიძე).

ზმნის გრამატიკულ დროს აიგვებენ ზმნის კილოსთან, ასევე — მწკრივთან (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ს. ხუნდაძე). აკ. შანიძის აზრით, მიუღებელია ზმნის კატეგორიათა ოლრევა, „გრამატიკული დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი“.

ზმნის დროისა და ზმნის მწკრივთა ფორმების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ საკუთრივ ახლანდელი დრო ზმნის მწკრივთაგან მხოლოდ ერთი - აწმყოს მწკრივის ფორმით გამოიხატება, ხოლო წარსული და მომავალი დროის გამოხატვა დანარჩენ მწკრივებზეა გადანაწილებული. ასეა ქართულში და მსოფლიოს ყველა ენაში. ამას ხელს არ უშლის ძვ. ქართ. აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის არსებობა, რომელიც არის არა „მეორე აწმყო“, არამედ მრავალგზისობის კატეგორიით „დატვირთული“ აწმყოს მწკრივის ფორმა, შდრ.: ამ მწკრივის ნაკლული უღლილება (მხოლოდ მე-3 პირის სახით) და, მეორე მხრივ, „ვარ-ი, ხარ-ი, არ-ი-ს“ ტიპის ხოლმეობითის პარალელური არსებობა ძველ ქართულში.

ვფიქრობთ, ზმნის გრამატიკული დროის გამოხატვის ამგვარი თავისებურებით აღიბეჭდება შესაქმისეული დროის ზემოთ წარმოჩენილი კვალიფიკაცია: „წარსული და მომავალი მხოლოდ აწმყოს სახით არსებობენ“ — იმის გათვალისწინებით, რომ ზმნის ყველა მწკრივის ფორმისათვის ამოსავალი, საბოლოო ჯამში, აწმყოს მწკრივია.

## ნატო შავრეშიანი

### ქვემდებარისა და ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმებისათვის სვანურში

სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც ქვემდებარესთან ერთად შესიტყვებას ქმნის ყველა სახის ზმნა-შემასმენელი: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი, ხოლო ობიექტთან — ორპირიანი და სამპირიანი ზმნა-შემასმენელი.

როგორც ცნობილია, ქვემდებარე შეიძლება გადმოიცეს ვინ და რა ჯგუფის სახელებით და, შესაბამისად, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხს სამეცნიერო ლიტერატურაში, სწორედ, ვინ და რა ჯგუფის სახელთა შეპირისპირების ფონზე განიხილავენ.

ამჟერად ყურადღებას გავამახვილებთ უსულო საგნით გამოხატული ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსურ ურთიერთობაზე სვანურში.

ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, სვანურშიც როცა ქვემდებარე უსულო საგნის სახელია, შემასმენელთან ურთიერთობისას მრ. რიცხვში ხან შეთანხმება გვაქვს, ხან შეუთანხმებლობა. უფრო მეტიც, ერთნაირი ქვემდებარეებიც სხვადასხვაობას ამჟღავნებენ და, შესაბამისად, ვხვდებით ასეთ პარალელურ ფორმებს:

**თოფ-პრ შეედნი-ხ აშთე** (სვ. პროჩ. ტექსტ., 68,17) „თოფები ვარდებიან ერთ მხარეს“

**ქორწლობენ** ჩიგარ იცრიელი თოფ-პრ (ლშხ.) „ქორწლილისას ყოველთვის იცლება (ისვრიან) თოფები“

**იწარგნენ ქორ-ალ მა ლეგ-ხ** (ლშხ.) „იწარს იქით სახლები არ დგანან“

მოხსენებაში, ასევე, განხილული იქნება რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული აქტანტის ზმნა-შემასმენელთან ურთიერთობა, ვინაიდან, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული წინადაღების მთავარი წევრი შეიძლება მხოლობითშიც შეგვევდეს და მრავლობითშიც.

## თავსაბურავი მეგრულ-ლაზურში

თავსაბურავი სამოსლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ სემანტიკურ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს ქვეჯუფები:

### I. თავსაბურავის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები

მეგრ. გოორთუმალარ-ი//დუდიშ-ი გოორთუმალარ-ი „ნებისმიერი სახის თავსაბურავი“, ლაზ. მოთუმალე//მოთვალუშ-ი//თი(ს)-მოთვალუშ-ი//მოთუმუშ-ი//თი-მოთვალონ-ი; ლაზ. თიშთიმალე „თავსაფარი“

### II. თავსაბურავის სახეობანი:

#### 1) თავსაფარი და მისი სახეობანი

მეგრ. ქიცა „ლეჩაქი“; „მანდილი“; მეგრ. ლეჩექ-ი//ლექეჩ-ი „ლეჩაქი“, ლაზ. ლაჩაქ-ი; მეგრ. ცახორც-ი//ცახოც-ი „თავსაფარი“; „მანდილი“; ლაზ. თი-მანდილონ-ი//თი-მენდილონ-ი//მენდილ-ი „მანდილი“; მეგრ.-ლაზ. კასინკა; მეგრ. ლაზ-ი „შალის მსხვილი ძაფით მოქსოვილი ქალის თავსაბურავი“, „ლაზლი“; ლაზ. კაზ-ი „თავსაფარი“; ლაზ. ხასე „თავსაფარი ერთგვარი“. ლაზ. ხასა „თავსაფრად (ჭასაკრავად გამოიყენებოდა)“.

#### 2) ჩიხტიკოპი

მეგრ. გაგურგელა//გარგურგელა//გაგურგელა//გაგურკლა „გვირგვინი; ჩიხტიკოპი, ქალების თავსაბურავი“; მეგრ. კაკულარ-ი, კაკულა „კავები“; „კავებიანი ჩიხტა, ლაზ. თაბლა „ჩიხტიკოპი“

#### 3) თავმოსასხამი

მეგრ. დარაია „აბრეშუმის თავმოსასხამი“; მეგრ. შალ-ი „თავშალი, დიდი თავსაფარი“, მეგრ.-ლაზ. თავშალ-ი.

#### 4) თავსაფარი დანიშნულების მიხედვით

##### ა) საბატარძლო

მეგრ.-ლაზ. ფატა; ლაზ. ფერე „ფატა“; ლაზ. დუალ-ი „პატარძლის თავსაბურავი“.

##### ბ) სამგლოვიარო

მეგრ. ომორგუალო//სამორგუალო ქიცა „სამგლოვიარო“; მეგრ.

ჩხვიჩხელ-ი ქიცა „შემოუქობავი თავსაფარი“; ლაზ. მგაშ-ი (მოთვალუშ-ი) „სამგლოვიარო (ზედმიწ. ტირილის) თავსაფარი“.

#### გ) ყელზე მოსახვევი

მეგრ. შარფ-ი, ლაზ. შარფ-ი „შარფი“; მეგრ.-ლაზ. კაშ-ი „კაშე“.

#### დ) ბირბადე

ლაზ. კავუხ-ი, კაუხა „ძველებური თავსაბურავი; საფარველი, გარსი“; ლაზ. მაზმა//ამაზმა „სახის საფარი“; ლაზ. ჩადრ-ი „ჩადრი“; ლაზ. კაზ-ი „პირბადე“; ლაზ. ლაზ-ი „პირბადე“.

#### 4) თავსაფარი ფორმის მიხედვით

მეგრ. სუმკუნთხურ-ი „სამკუთხა“; მეგრ. ოთხკუნთხურ-ი „ოთხკუთხა“

#### III. ქუდი

##### 1) ქუდის სახეები

მეგრ.-ლაზ. ქუდი „ქუდი“ (ყველა სახის ქუდი); მეგრ. ბოხოხ-ი//ბოხოხია//ბოხოხიაშ-ი (ბუხარიშ-ი) ქუდი „ბოხოხი, ბუხრის ქუდი, ცხვრის ტყავის ქუდი“, ლაზ. ბოხოხ-ი; მეგრ. ნაბადიაშ-ი ქუდი „ნაბადის ქუდი“; მეგრ. ტეტიაშ-ი ქუდი „ტეტიის ქუდი“; მეგრ. შონურ-ი ქუდი „სვანური ქუდი“.

მეგრ. ტატუც-ი „ფაფანაკი“; მეგრ. ფაფუ „ქუდი, თავსაბურავი“; მეგრ. ბოწორია „გრძელბეჭვიანი“; მეგრ. ჭილიაშ-ი ქუდი „ჭილიბის ქუდი“; მეგრ.-ლაზ. ცილინდრ-ი „ცილინდრი“; მეგრ. უშანკა ქუდი „ზამთრის თბილი ქუდი“; ლაზ. შაბკა, შაფკა, შაფკა „ქუდი“; ლაზ. ფესი; ლაზ. კალფალ-ი „ქუდი, ფაფანი“; ლაზ. პაპახ-ი// ფაფახ-ი „ქუდი“; მეგრ. გურგინ-ი „გვირგვინი“.

##### 2) ყაბალახი და მისი სახეები

მეგრ. ბაშლაყუ//ბაშლაყ-ი//ბაშლაც//ბაშჩაცუ „ყაბალახი, ბაშლაყვი“, ლაზ. ბაშლუ//ბაშლულ-ი 1) „ყაბალახი“, „ეროვნული ლაზური თავსაბურავი“. 2) ბაშლულ-ი „საცოლის დანიშვნის დროს გალებული საჩუქარი, ქრთამი ქალის მშობლებისათვის“; მეგრ. ჭყვინტიან-ი ყაბალახ-ი.

##### 3) ქუდი დანიშნულების მიხედვით

მეგრ. ოჩხანიე//საჩხანიო//ჩხანაშ-ი ქუდი „მზის ქუდი“; ლაზ. მუუაშ-ი ქუდ-ი//მეორაშ-ი ქუდ-ი „მზის ქუდი“; ლაზ. ფოთევა – მუუაში ქუდი „მზის ქუდი“.

#### **IV. თაგსაბურავის ნაწილები**

##### **1) საკუთრივ ნაწილები**

მეგრ. წევეტ-ი//წევენტ-ი „წვერო, წვერი“;

მეგრ. ქუდიშ-ი ცუჯ-ი „ქუდის ყური“, ლაზ. ქუდის კუკუტ-ი;

მეგრ. ჩეგიჩევ-ი „ფოჩი“.

##### **2) მოსართავები**

მეგრ. ყრუეაო//კრუეაო „მაქმანი“; მეგრ. ფოჩი-ი „ფოჩი“; ლაზ.

მფულ- „ლილი“; მეგრ. ძავ „მძივი“, ლაზ. ძონ-ი.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### **ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. LI-LVII**

**LI.** 1973 წლის ივნისში ბატონ არნოლდს ვახლდი ლენინგრადში, სადაც სამეცნიერო სესია „მეშჩანინოვის საკითხავები“ უნდა გამართულიყო...

გამგზავრებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე ქალბატონმა თამარ ყიასაშვილმა (არნ. ჩიქობავას მეუღლე) დამიბარა. მითხრა: „არნოლდი ლენინგრადს უნდა გაემგზავროს, სადაც სამეცნიერო სესიაში მიიღებს მონაცილეობას, თან იქაურ კლინიკებში გამოკვლევები უნდა ჩაიტაროს... ადრე მე დავყვებოდი ყველგან, ახლა ფიზიკური შესაძლებლობა არა მაქვს... შენ ახალგაზრდა ხარ, თან ამჟამად — ჩვენთან ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაახლოებული ადამიანი, ჩვენთვის ბევრს აკეთებ, შეიღლივით ზრუნავ... კარგი იქნება, თუ ლენინგრადში გაჰყვებიო“.

ავიღო თვითმფრინავის ბილეთები. ბ-ნი არნოლდის მძღოლმა ივანემ აეროპორტში წაგვიყვანა...

**LII.** ლენინგრადში სასტუმრო „ჩამოსულ მეცნიერთა სახლში“ დაგბინავდით, ხალტურინის ქუჩაზე. ნომერი ოთხოთახიანი იყო (აკადემიკოს ვ. სტრუგეს ყოფილი ბინა)...

ბ-მა არნოლდმა თანხა მთლიანად თვითონ გადაიხადა, ასევე თვითონ იხდიდა ათი დღის განმავლობაში კვებისათვის საჭირო თანხას... როცა შევწუხდი, მითხრა: თბილისში ჩასვლის შემდეგ გაცტორდეთო...

**LIII.** საღილად სასტუმროს რესტორანში დავდიოდით... პირველად რომ მივედით (არ ვიცი რატომ), მაგიდაზე ლუდის ბოთლები ელაგა. მართალი გითხრათ, მე, ლუდის მოყვარულ იდამიანს ძალიან მესიამოვნა, მაგრამ ბ-მა არნოლდმა ოფიციანტს უთხრა: ესენი ჩვენ არ გვინდა (ბუნებრივია, ვერ ვიტყოდი, დატოვეთ-მეთქი)... როცა საღილი დამთავრდა, ბ-მა არნოლდმა დანახარჯი გადაიხადა, თან ზედ საკმაო თანხა დაამატა... ამის შემდეგ კარებში გვეგებებოდნენ და დიდი მოწიწებით მიგვაცილებდნენ მაგიდამდე, აქეთობისას კი კარებამდე მოგვყვებოდნენ...

**LIV.** სასტუმროში რომ ვეწყობოდით (ნომერი დაჯავშნული იყო), აღმინისტრატორთან ცნობილი ქართველი ლიტერატორი ნოდარ ალანია დავინახე, მივესალმე, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ბ-მა არნოლდმა მითხრა: თუ ადგილი არ იქნება, ჩვენთან მოვიდესო (როგორც ზემოთ აღნიშნე, ნომერი ოთხოთახიანი იყო)...

მეორე დილას მირეკავენ ნომერში: თქვენი ნაცნობი ქართველი წუხელ ცუდად გახდა და სასტრატოდ სამხედრო-სამედიცინო იკადემიის კლინიკაში წაიყვანესო... შევწუხდი. გავიგე, რომ ძალიან რთული ოპერაცია გაუკეთებიათ და რეანიმაციაში წევს. მაშინვე წავედი. მკურნალი ექიმი მეუბნება: მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ არის შანსი, რომ გადარჩესო... წერილი მივწერე, გავამხნევე (არ ვიცოდი, რომ უგრძნობლად იყო). თბილისში დეპარტამენტი გამოვგზავნე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ინსტიტუტებში, რომ ოჯახისთვის შეეტყობინებინათ... სამ დღეში 6. ალანიას მეუღლე — ლილი გოგოხია და მირიან აბულაძე ჩამოვიდნენ...

როცა ბ-მა არნოლდმა გაიგო 6. ალანიას მძიმე მდგომარეობის შესახებ, პროფ. მ. ხახანაშვილს (მაშინ ის ლენინგრადში მუშაობდა აკად. ი. პავლოვის ლაბორატორიის ხელმძღვანელად) სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ყურადღება მიექცია ავადმყოფისათვის... ბ-მა მიხეილმა გულთან მიიტანა ეს თხოვნა, ინახულა ავადმყოფი,

ექიმებსაც გაესაუბრა, და ბ-ნ ნოდარს ყურადღება არ მოჰკლებია...  
საბედნიეროდ, ბ-ნი ნოდარი საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობის  
შემდეგ გამოჯანმრთელდა.

სხვათა შორის, თბილისში ბ-ნ მიხეილთან ერთად გამოვთრინდით...

**LV.** ლენინგრადში ნევის პროსპექტზე შემთხვევით შევხვდი ჩერ-  
ქეზ მხატვარს თიაუცვაუ კატს...

ერთხელაც, როცა ქალაქში ვიყავი გასული, თ. კატი მოსულა ჩემ  
სანახავად.

ვგრუნდები სახლში. ვხედავ სუფრას უსხედან ბ-ნი არნოლდი და  
თ. კატი. ბ-ნი არნოლდი უმასპინძლდება და თან ესაუბრება. მე რომ მი-  
ვდი, გვითხრა: ახლა მე დაგტოვებთ და თქვენ გააგრძელეთ საუბარიო...

**LVI.** ლენინგრადში ყოფნის დროს ბ-ნი არნოლდი ხშირად მი-  
შვებდა ქალაქში, რათა ლენინგრადის ლირსშესანიშნაობებს გავცნო-  
ბოდი, დამეთვალიერებინა ერმიტაჟი...

**LVII.** თბილისში დაბრუნების შემდეგ, როცა ჩიქობავებს ვესტუმ-  
რე, ქ-მა თამარმა გაღმომცა ბ-ნი არნოლდის ნათქვამი: ვაჟა იყო  
მზრუნველი, მაგრამ არა მომაბეჭრებელიოთ... ბუნებრივია, ძალიან მე-  
სიამოვნა.

კვლევას, რასაც სერიოზული შედეგი მოაქვს — ქართულ-ზანური ერ-  
თიანობის ეპოქისათვის აქამდე საგარაუდო არქიფორმები სვანური  
ეკვივალენტის დადასტურების წყალობით გადაინაცვლებენ ხოლმე  
შედარებით უფრო არქაულ წარსულში, კერძოდ — საერთოქართვე-  
ლური ფუძეების დონეზე.

ჩვენი აზრით, ქართველური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი  
კვლევა უნდა წარიმართოს სამი ძირითადი მონაცემის მიხედვით:

1. ფუძეების დიფერენცირების შედეგად მიღებულ რეგულარულ  
ფონეტიკურ კანონზომიერებათა ამსახველი ქართველური ლექსიკა;

2. სხვა ენათაგან ფუძეების ან ქართულ-ზანური ერთიანობის  
ეპოქისთვის ნასესხები მასალა, რომელიც ერთ-ერთ ქართველურ ენა-  
ში მაინც იძლევა ფონემათშესატყვისობას;

3. ფუძეენიდან მომდინარე ძირითადი ლექსიკური ფონდის სი-  
ტყვათა ძირები, რომლებიც ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენი-  
ლია უცვლელი სახით და არსად მოიპოვება არანაირი ფონემათშესა-  
ტყვისობა (მაგ. ქართ. ფოლ-ი, მეგრ. ფოლ-ო „ჩლიქი“, ლაზ. ფოლ-ო  
„ფეხი“, სვან. ფოლ „ჩლიქი“).

ყველაზე არქაული ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში  
(უკიდურეს შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მა-  
ინც!) დადასტურებულ მონაცემებთან შეპირისპირებული სვანური და  
მეგრულ-ლაზური ეკვივალენტები.

## ი რ ი ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

### ქირფას თვალთა („ბივრილი“ და „ანთრაკი“) ტიპოლოგიური დეფინიციები

ძველ ქართულში მრავალი სიტყვაა შემოსული ბერძნულიდან,  
რაც შეპირობებულია იმ მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და  
კულტურული კონტაქტებით, ქართველ ხალხს ათეულობით საუკუნის  
მანძილზე რომ პერიოდი ბერძნებთან. ცნობილია, რომ ბიბლიის უძვე-  
ლეს თარგმანებში აისახა სწორედ ის წარმოდგენები, რაც ბერძნებს

## ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

### ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში გამორჩენილ ფუძეთა ფონოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი

წინამდებარე მოხსენებაში განვავრძობთ დღემდე არსებულ ქარ-  
თველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში შემთხვევით თუ იმ  
დროისათვის შესაბამისი მასალის მოუძიებლობის გამო გამოტოვე-  
ბულ (განსაკუთრებით სვანური ენის) ძირთა ისტორიულ-შედარებით

ჰქონდათ ძვირფასი ქვების აღმნიშვნელ ლექსემებთან დაკავშირებით.

ძვირფასი ქვა **ბერილი** ქართულ წყაროებში ცნობილია სხვადასხვა სახელშოდებით: „**ბერილობა**“, „**ბივრილი**“, „**ბივრიტი**“, „**ბერილონი**“. ბიბლიაში იგი „**ბივრილონის**“ სახელშოდებით არის აღნიშნული. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს როგორც „ზღვისა და ცისფერ თვალს“. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ვახუშტის გეოგრაფიის ხელნაწერის არშიებზე შენიშვნები გაუკეთებია დავით რექტორს, სადაც ის წერს: „ბივრიტი და ბივრილი ერთი და იგივე არს“. ქართულ ენაზე მას მეტწილად ბივრიტს ან ბერილიონს უწოდებდნენ.

ყველაზე ადრინდელი ცნობა ამ მინერალის შესახებ შემონახულია თხზულებაში „ცხოვრება წმინდისა ნინოსი“. წმინდა ნინომ მცხეთაში ნახა კერპი: „დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვ ოქრომსა და ჩაფეხუტი ოქრომსა და სამხარნი ესხნეს ფრცხილნი და **ბივრიტი**“. „ხოლო მასვე დღესა რისხვისასა ოდეს დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკი, გამოვიდა წმინდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალსა და ჰპოვა თუალი იგი ბივრიტი („ქართლის ცხოვრება“, 1942, 56).

ეპიფანე კვიპრელის „თვალთამში“ ეს მინერალი **„ბივრიონის“** — **„ბივრილის“** სახელშოდებით არის აღნიშნული და დახასიათებულია, როგორც ლრუბლისებური თეთრი ფერის ქვა და წყალივით გამჭირვალე, უფრო მუქი ამეთვისტოზე და „უწმინდეს იაკინთისა“, ხოლო მზის სხივების წინ ისტერს ან ფეტვის მარცვლის ელფერს ღებულობს.

თამარ მეფის სასახლეში: „ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყნავს ცეცხლებრივ კედელ-ყურენი, ფიქლით ძერწილნი, **ბივრილონი**, ლიგვირიონი, ურთიერთობით შორის შთაყრილნი“. (ი. შავთელი).

ხელნაწერთა წყაროებში „**ბივრიტი** არს ქუა სპეკალი პატიოსანი ოქროსფერი და ელუარე აღრეული სიმწუანითა... რომელიცა ესე თუმცა სიმწუანითა თვისითა ჰმსგავსებს სამარაგდოსა, გარნა რომელიცა არს ყვითელი ფერითა, იგი არს თვით უკეთესი ბივრიტი“. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით: „ბივრილიონი ...ავრეთვე ბივრიტი ეწოდების ესე ქუა არს სხუათა ძვირფასთა ქუათაშინა აღრიცხული, მყარი და ბრწყინვალე. ფერით არს ზღვის წყლის ფერი ანუ ხობის ყელის გინა მომწვანომორქალო...და ფასითა ესწორების ზურმუხტსა“.

რუსი ლექსიკოგრაფი მიხეილ დალი თავის ლექსიკონში ბერილს იგივე **აკვამარინს** (Аквамарин) განმარტავს, როგორც „ზღვის წყლის ფერის ზურმუხტის ერთ-ერთ სახეობას“.

**აკვამარინი** უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით „მოლურჭომწვანე ფერის ძვირფასი ქვაა, ბივრილის ნაირსახეობა. იგი ლათინური წარმოშობისაა (*aqua marina*) და „ზღვის წყალს“ აღნიშნავს, ხოლო ბერილი კი ბერძნული (*bērillus*).

გრანატის ჯგუფის მინერალებიდან კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს **„ანთრაკის“**. ლექსემა ბერძნული წარმოშობისაა (*anthrakos* — ნაზშირი), რომელიც ზოგჯერ „ლათინური კარბუნკულის“ (*karbunkulus*) სინონიმად გამოიყენება, რაც ქართულად ნაკვერცხალს ნიშნავს.

პარიზულ ხელნაწერში დაცული ქველი და ახალი აღთქმის საკითხავებში მოხსენიებულია ანთრაკი: „ვითარმცა ჰმონებდით ოქროსა...ანუ **ანთრაკისა**, გამოხატულსა ხუროებითა კაცთავთა“.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ანთრაკი „ესე თუალი ნაკუერცხლის ფერია, ღამე ცეცხლებრ ელავს, დია ძვირფასია“. ნიკო და დავით ჩუბინაშვილების განმარტებით, „ანთრაკი— ნაკვერცხალი, თვალი პატიოსანი, ცეცხლისფერი, ანფრას, კარბუნკულ, რი ჩირია“.

მიხეილ დალის განმარტებით: „კარბუნკული (კარბუნკული) გრანატის სახეობის ძვირფასი ქვაა“.

ბიბლიაში ძვირფასი ქვებიდან ყველაზე ხშირად ანთრაკია მოხსენიებული. ამ ლექსემის შესახებ ცნობა „ქართლის ცხოვრებაშიც“ გვაქვს: „.... და ვითარცა უთხრეს სიტყუა ვახტანგისი, შეიწყნარა და წარსცა გორგასალს ძღუენი ძლიერი და მის თანა გურიგუინი **ანთრაკიანი** და უამი დადგვეს შეკრებისა“. ანთრაკი ხშირად აქვთ მოხსენიებული ქველ ქართველ მწერლებსაც (იოანე საბანისქე, იოანე მტბევარი, იოანე შავთელი და სხვა).

გრანატის სინონიმი — „**ანთრაკი**“ ქართულში უფრო არქაული ფორმაა, ვიდრე **„იაკინთი“**. როგორც ჩანს „ანთრაკი“ ჯერ „იაკინთმა“ შეცვალა, შემდგომ **„იაგუნდმა“**. ხატების, სამკაულებისა და მზითვის წიგნებში მხოლოდ „წითელი იაგუნდი“ გვხვდება.

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“ ვკითხულობთ: „და ვინ არს, რომელი აღმოიჭირვის ვითარცა ცისკარი. სადა კიდობანი მედაბირით

და კანთაროდში... ნივთნი და ქვანიცა ათორნი — სამარაგდე და ზმური, **იაკინთე** და ტბაზიონ — განდგმულ უსაშუელოდ განწმედილებ იჩინებოდეს“.

საინტერესოდ გვაწვდის ანთრაკის შესახებ ცნობას იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“: „ნოთრაკი ბერძნული ლექსია ანფრაკს, ესე ქუა არს ძვირფასთა ქუათა შორის შერაცხილ, ხოლო ფერით არს ნაკვერცხლის მსგავსი და ამის გამო ჰსწორდებიეს სახელი ესე **ანფრაკს ანუ ანთრაკი...ესე** თუალი უფრორე ბუნებით მიეწერება წითელსა იაგუნდსა და ფასითა არს მასთანვე შერაცხილ“.

მოხსენებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განხილულია ლექსემათა ტიპოლოგიური დეფინიციები და მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონის მონაცემები.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### **სახელური -იშენი დაბოლოების კვალიფიკირების ლაზურ-მეგრულში**

ზანურში ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** ფორმანტიანი ყალიბით ნაწარმოები რთული შედგენილობის ბრუნვათა არსებობა მკვლევართა უმრავლესობაში დიდი ხანია, ეჭვს არ იწვევს. მეგრულისა და ლაზურის მიხედვით ვითარებითი ბრუნვის უქონლობის გამო **-იშ** ყალიბიან ბრუნვათა რიცხვი განსხვავებულია. მეგრულში სამი ადგილობითი ბრუნვა გვაქვს:

მიმართულებითი	ხოჯ-იშ-ა	„ხარისკენ“
დაშორებითი	ხოჯ-იშ-ე	„ხარისგან“
დანიშნულებითი	ხოჯ-იშ-ო(თ)	„ხარისთვის“
ლაზურში კი — ორი:		
მიმართულებითი	ხოჯ-იშ-ა	„ხარისკენ“
დაშორებითი	ხოჯ-იშ-ე//ხოჯ-იშ-ე(ნ)	„ხარისგან“

ლაზურისებური, ოლონდ უფრო გართულებული, ნარ-იანი დაშორებითი დასტურდება სამურზაყანოულში, სადაც ტოპონიმებიდან ნაწარმოებ დაშორებითში მხოლოდ გალ-იშენი „გალიდან, გალისგან“ ტიპია გამეფებული.

მსგავს სიტუაციაში სპეციალურ კვალიფიკაციას ითხოვს როგორც ლაზურში, ისე, მეგრულში **-იშ-ენ(ი)** დაბოლოებიანი ფორმების არსებობა, მხედველობაშია ჩქიმ-იშენ(ი) „ჩემზე, ჩემთვის“, ემუშენ(ი) „მასზე, მისთვის“, ხოჯ-იშენ(ი) „ხარზე, ხარისთვის“, გურ-იშენ(ი) „გულზე, გულისთვის“ (შდრ. გურ. გულ-იზა) და მრავალი სხვა, როცა ეს **-იშ-ენ(ი)** დაბოლოება ერთნაირად გამოიყენება ყველა სახელში, მათ შორის ნაცვალსახელებშიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიმართულებით-დაშორებითში **-იშ-ა/-იშ-ე** დაბოლოებათა ნაცვლად **-და-ა/დ-ე-**ს დაირთავს, შდრ. ჩქიმ-დ-ა „ჩემკენ“, ჩქიმ-დ-ე „ჩემგან“; შდრ. მუ-შენი „რატომ, რისთვის“, ი-შენი „იმისთვის, იმიტომ“, „მაინც“...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკნით, რომ **-იშ-ენ(ი)** ფორმანტიანი სახეობები, ასევე, წარმოადგენენ რთული შედგენილობის ბრუნვის ფორმებს და უნდა ჩადგნენ ნათესაობითზე დაყრდნობილ **-იშ** ყალიბიან რთული შედგენილობის ბრუნვათა რიგში, ამიტომაც მეგრულში გვექნება ოთხი, ხოლო ლაზურში სამი ნანათესაობითარი ბრუნვის ფორმა.

## რ ო ე ნ ა ჭ კ ა დ უ ა

### **-ჟლ..., -იელ... ელემენტიან ზმნათა მორფოსინტაქსური ანალიზისათვის სგანურში**

სვანურში **-ჟლ** / **-ალ** / **-ალ**, **-იელ** / **-ელ** / **-ელ** ელემენტები აქტივის ფორმებში მოქმედების მრავალგზისობასა და ობიექტის სიმრავლეზე მიუთითებენ.

რამდენადმე განსხვავებული ფუნქცია აქვთ მათ გარდაუვალ ზმნებში. **-ჟლ..., -იელ...** ფორმანტიანი გარდაუვალები მიჩნეულია საშუალი

გვარის მედიო-აქტივისა და მედიო-პასივის ფორმებად (ვ. თოფურია, კლ. გაგუა, მ. სუხიშვილი...).

ზემოაღნიშნული ფორმანტებიანი ზმნური ლექსემები ყურადღებას იპყრობენ როგორც გრამატიკული მნიშვნელობის მრავალფეროვნებით (ინგრესივი: **ი-დგ-შლ** „იქრობა“ — ის, სტატიკური ელფერით: **ი-მარ-შლ** „მზადობს“ — ის), ისე მასთან დაკავშირებული სინტაქსური კონსტრუქციის არაერთგვაროვნებით (**ი-შდრ-შლ** „თამაშობს“ ის, ბურთის **ი-შდრ-შლ** ბურთს თამაშობს (ის მას)).

სვანურში დასტურდება სისტემებრივი დაპირისპირება **ი- და ე-**პრეფიქსიან ფორმებს შორის (როგორც ეს არის ვნებითის აბსოლუტურ და რელატიურ ფორმებში): **ი-ზურ-იელ** — ეჯა „იქაჩება საჩუბრად“ — ის — **ხ-ე-ზურ-იელ** — ეჯა ეჯას „გა” ექაჩება“ — ის მას, **ი-ლყაფ-შლ** — ეჯა „ხუმრობს, მასხრობს“ — ის — **ხ-ე-ლყაფ-შლ** — ეჯა ეჯას „ეხუმრება“ — ის მას, **ი-ბგრგ-ელ** — ეჯა „ჭიდაობს“ — ის — **ხ-ე-ბგრგ-ელ** — ეჯა ეჯას „ეჭიდავება“ — ის მას.

მორფონოლოგიური მოდელი ერთპირიანი ზმნებისთვის ასეთია:

პირის ნიშანი + **ი** ხმოვან პრეფიქსი + ძირი + **ჟლ...**

ორპირიანი ფორმებისთვის გვექნება: პირის ნიშანი + **ე** ხმოვან პრეფიქსი + ძირი + **ჟლ...**

გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით აღნიშნული ზმნური სტრუქტურების ნაწილი გამოხატავს ე. წ. ინგრესივს (მოქმედების დაწყებას), ხოლო ნაწილი სტატიკური მნიშვნელობით გვევლინება, ითავსებს საურთიერთო მიმართებასაც.

ასევე ყურადსალებია ის გარემოებაც, რომ როგორც აბსოლუტურებს, ისე რელატიურებს შესაბამის კონტექსტებში შეიძლება ჩაერთოთ ობიექტი.

## ნინელი ჭოხონელი ძე

### როჭიკ- ფუძის ომონიმური ცალების წარმომავლობისათვის

**როჭიკი<sup>1</sup>** საზრდელი, ულუფა;

**როჭიკი<sup>2</sup>** 1. ჭიკჭიკი; 2. სასიამოვნო ლაპარაკი

### როჭიკი<sup>1</sup>

ძველ ქართულში **როჭიკი** საზრდელი, ულუფა, იშვიათად „გასამ-რჩელოა“. მიცემად როჭიკისა მათა უამსა C – მიცემად საზრდელი მათი უამსა თვესა (DE, მთ. 24, 45). მისცეს სასყიდელი გალატოზთა და ხუროთა და როჭიკი მათი (O, I ეზრა, 5, 54). რომელნი მირეწვიდეს მე დღისა როჭიკსა (ფასტ. 147, 13) – ი. აბულ.

ძველსავე ქართულში გვხვდება **როჭიკისაგან** ნაწარმოები ფორმაც: **უროჭიკო** „უულუფო“: შეაყენეს ლომი ერთი ოც დღე რდენ უროჭიკოდ (H – 341, 402).

შუა საუკუნეების ლიტერატურულ და სამართლის ქეგლებში **როჭიკი** ფართო გამოყენების სიტყვაა მნიშვნელობით 1. ულუფა, საზრდელი; 2. ჯამაგირი.

1. მე ესე მიხარიან, როჭიკს ეგზომ დიდსა ვეღარა სჭამენო (ამირანდ. 242, 1). ერთ დღეს არ თხოვეს როჭიკი, არც სხვა რამ სათხოვარია (ფასტ. VI, 148, 717, 1). ე, ტურფაო, სანაკაო და როჭიკიანი მამაცო (შაპინამე, III, 547, 21). ერთსა კაცსა დღიურ ეგოდენი ჟორცი ჰქონდა როჭიკად, შიმშილისა ცეცხლსა დაუკვებდის (ქილ. 547, 25).

2. და მოჯამაგირისას ვაწესებთ ესრეტ, რათა მიეცემოდის მას აღთქმული როჭიკი თვისი, უკეთუ იქცეოდეს კეთილსულობით და სიმართლით (სამ. დავით., 55, 7). უკეთუ აქუს პენციათ, ესე იგი როჭიკად, მაშინ შემდგომად სიკუდილისა დედაკაცისა მის დარჩეს ქმარსა (სამ. დავით., 60, 12). დიდებულნი, ვითარ წამდა, ეგრე შემოუძლვნენ და მისა საკადრისასა სრათა გარდავდინეს და როჭიკითა და როჭით უაღრეს უმასპინძლეს (ქილ. 799, 31).

საბა განმარტავს **როჭიკი** „ულუფა სამეუფოთა გამოსაზრდელი,

შეულიერი მთავრობისა ნიჭი“. დ. ჩუბინაშვილი კი – **როჭი, როჭიყი** ულუფა, ჯამაგირი, საზრდო, სჯულიერი ნიჭი მთავრობისაგან. ქეგლში დასახელებული სიტყვა მიჩნეულია უკვე ძველი ქართულის ფორმად და როგორც დ. ჩუბინაშვილთან, აქაც ორ ფონეტიკურ ვარიანტზეა მითითებული **როჭი, როჭიყი**, „ულუფა, საზრდო; ქირა, ჯამაგირი“.

იშვიათად **როჭიყი** თანამედროვე სამწერლო ქართულშიც იჩენს ხოლმე თავს. დღეს ვაჭრობ, ხვალ ჩარჩობ, ზეგ ბერად როჭიყობ (ძ. ლებან.). მთარგმნელმან საჭიროდ არ ჩათვალა ეხსენებინა როჭიყობანი („ლიტ. საქ.“).

**როჭიყი** დასტურდება მოხეურის შემდეგ ფრაზეოლოგიზმშიც: **როჭიყიად ვერ წაუვიდა საქმე** „საქმე კარგად, წალმართიანად ვერ მოეწყო“ (მოხ. ქავთ.). აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული **როჭიყი** გადატანით უნდა უკავშირდებოდეს ძველ ქართულისეულ მნიშვნელობას საზრდელი, ულუფა, „გასამრჩელო“.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა *rōčik* ნაწარმოებია სიტყვისაგან *rōč* „დღე“ (ძ. სპ. Raučah-, ავ. Raočah-), ახ. სპ. *rōz* „დღე“; *rōčik* ნიშნავს „დღიურს“ (ანდრონიკაშვილი, 367).

ჩვენი აზრით კი **როჭიყი** საერთო ქართველური სიტყვა უნდა იყოს. იგი დასტურდება როგორც სვანურში, ისე მეგრულში. **როჭიყი** (-იშ, -ალ ბზ., -ალ ლშ.). „როჭიყი, სარჩო, გასამრჩელო“. ალ ზადა როჭიყს ღუაუარ ითხელნებ (ლშ.). – ამ წლის სარჩოს მამაკაცები იშოვიან („მოიძებნიან“) (სვან. თოფ., ქალდ.).

**როჭიყ** – როჭიყი, ულუფა (სვან. ლიპარტ.).

მეგრულში კი დასახელებული სიტყვა გადატანით უნდა იყოს გამოყენებული: **როჭიყი** „უმნიშვნელო ნარჩენი“. თქა როჭიყი ძუ – აქ როჭიყი (უმნიშვნელო ნარჩენი) ძევს (მეგრ. ელ.). **როჭიყი** როჭიყი; წვრილმანი. **როჭიყ-როჭიყი** წვრილმანი; წვრილ-წვრილი რამ, ერთგვარი წვრილ-წვრილი გადასახადი; **საროჭიყო** საწვრილმანო ტომარა (მეგრ. ქობ.).

მთიულურში გვხვდება ზემოდასახელებული **როჭიყის** ომონიმური ცალი **როჭიყი**<sup>2</sup> მნიშვნელობით ჭიკვიყი. **როჭიყობს** ჭიკვიყებს (შან.). **როჭიყობს** 1. ჭიკვიყებს; 2. სასიამოვნოდ ლაპარაკობს (მთ. კაიშ.).

ჩვენი აზრით, სიტყვა წარმომავლობით იგივე უნდა იყოს რაც

სვანური **რიჭ** მითქმა-მოთქმა რაიმე საქმის გარშემო (სვან. ლიპარტ.). **რიჭ** (-იშ, –) ზს. გაუთავებელი ლაპარაკი. იმშა რიჭ ჯარე? (ბზ.). – რა (რისი) გაუთავებელი ლაპარაკი გაქვთ? 2. აყალმაყალი. რიჭიშ ლიგნე (ბქ.) – აყალმაყალის ატეხა (დაყენება). **რიჭი-რაჭა** (-ჭიშ, –) – მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა. ჩუ ხა დახ ზურალელს **რიჭი-რაჭა** (ლშ.). – ქალებს მითქმა- მოთქმა ჰქონდათ. რიჭი-რაჭა ნესგე უბნაშ (პოეზ. 222) – ჭორიკანა („მითქმა-მოთქმა“) შუა უბნები (სვან. თოფ., ქალდ.).

Айса И. Халидов

## Осетинизмы в Вайнахских Языках

Приводимый у некоторых авторов, особенно у В. И. Абаева, материал свидетельствует «о широте, объеме и значении осетиночечно-ингушских схождений», общее количество которых достигает нескольких сотен. В. И. Абаев справедлив в интерпретации осетино-вайнахских культурно-языковых связей, когда отмечает, что «ряд лексических схождений ведет от чеченского прямо к осетинскому, минуя ингушский» и «некоторые из этих схождений связывают чеченский с западным диалектом осетинского языка, минуя иронский». Однако автора интересуют, главным образом, схождения, которые идут в большинстве из осетинского (аланского) языка. Вопрос состоит лишь в том, действительно ли в вайнахских языках это является лексическими заимствованиями из осетинского языка.

Всего В. И. Абаев приводит 216 схождений. Подавляющее большинство – имена существительные; есть несколько примеров имен прилагательных и глаголов.

Первое, что настораживает – это то, что в список включены некоторые слова, обычно принадлежащие к основному словарному фонду в любом языке: *барам* «мера, размер, величина» (ос. *баран* «мера»), *бепиг* «хлеб» (ос. *баппа* «хлеб»), *бакъа* (правильно: *бекъа*) «жеребенок» (ос. *бäх* «лошадь»). Некоторые схождения сомнительны уже потому, что звуко- и образоподражательные слова и междометия во многих языках совпадают не потому, что связаны с заимствованиями, а по причине совпадения, например, самих звуков и образов,

воспринимаемых носителями разных языков одинаково или почти одинаково, поэтому образованные на основе звуко-образоподражаний слова, как правило, очень часто совпадают во многих языках. В этой связи трудно согласиться с тем, что чеч. *чахчари* / *чухчари* происходит от ос. *цыхыр*, *цухчур*. На этой основе, похоже, образуются и слова типа чеч. *туй* «плевок» – ос. *ту* «плевок», чеч. *къурд*, инг. *къург* «глоток» – ос. *хъуртт*. Трудно принять такие сходства, которые основаны на совпадениях звучания форм или словообразовательных дериватов в одном языке и словарных форм и непроизводных в другом языке, как например, чеч. *хъежар* «смотреть, ждать» (на самом деле это масдар от многократного глагола) и ос. диг. *хезин* «пасти, ждать». Отдельные сходства не могут не вызывать сомнения уже потому, что слишком различаются фонетически: чеч. *тIулг* «камень» – ос. *дур/dор* «камень», инг. *гила* «волчок» – ос. диг. *кин* «волчок», чеч. *кхезарии* «смородина» – ос. *хъялэрдз*, чеч. *Іург*, инг. *Іург* «дыра» – ос. *хуынкъ*. К восходящим к ос. *фэрэз* / *фэрэнзä* «средство, возможность» В. И. Абаев относит даже чеч. *парз*, инг. *парз* «обязанность», хотя этимология этого слова иная. Что касается многих сходств с диорским диалектом (при отсутствии таковых в иронском), – это отдельная проблема, исследование которой фактически еще не начато.

Небезынтересен и тот факт, что многие из рассмотренных 216 слов отсутствуют в вышедшем позднее четырехтомном «Историко-этимологическом словаре осетинского языка», составленном самим В. И. Абаевым.

Показательна в контексте рассматриваемой проблемы попытка В. И. Абаева обосновать фонетическую проницаемость ингушского языка в связи с наличием в ингушском (и отсутствием в чеченском) звука **f**. В. И. Абаев был не первым, выдвинувшим такое объяснение. В свое время П. К. Услар объяснял появление **f** в ингушском языке влиянием осетинского, придав этому факту такое значение, что счел возможным заявить: «Наречие их (ингушей – А. Х.) образовалось под сильным влиянием осетинского языка» (П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкоzнание. II. Чеченский язык. Тифлис, 1888, с. 5). На сегодняшний день это практически единственная озвучиваемая научная версия появления **f** в ингушском языке. З. К. Мальсагов включил **f** в таблицу звуков ингушского языка без комментариев относительно его происхождения (З. К. Мальсагов. Грамматика ингушского языка. Грозный, 1963, с. 5, 8-9) и в словаре там же приводит 31 слово со звуком **f**. Не комментируется в этом плане **f** и авторами «Современного ингушского языка» (Р. И. Ахриева, Ф. Г. Оздоева, Л. Д. Мальсагова, П. Х. Бекова. Ханзара галгай мотт. Грозный, 1972, с. 50, 52). В. И. Абаев уверен, что этот звук попал в ингушский язык вместе с заимствованиями

из осетинского языка. Возможно, пополнение звукового состава ингушского языка губным щелевым глухим **f** (*fu?* «что?») и его полумягким вариантом (*fäldig* «сказка») можно объяснить и так, поскольку ближайшими соседями ингушей, в языке которых этот звук есть и с которыми ингуши давно тесно контактируют, являются индоевропейцы-осетины, а наличие **f** в других, уже родственных, языках, носители которых находятся в более отдаленных областях, не может быть более веским основанием для выдвижения иной, кроме осетинской, версии. Однако реальность такого происхождения звука в ингушском языке все же представляется сомнительной. Заимствование одним языком из другого звука или фонемы должно происходить вместе со словами, в структуру которых этот звук входит, и отдельно, вне заимствований, никакой звук не может быть воспринят одним языком от другого. Причем вряд ли даже десяток слов из языка – «донора» сможет включить в заимствующий язык еще и звук из этого языка – «донора». В ингушском языке должно быть не два и не несколько слов, а достаточное их множество, включающих **f** и заимствованных именно из осетинского языка. По З. К. Мальсагову, в ингушском языке 31 слово с аналитическим **f** (т.е. все слова с **f**, поскольку он в ингушском языке исключительно аналитический). Из этого количества к «сходствиям, которые идут в большинстве из осетинского (аланского)» (В.И. Абаев. Осетино-вейнахские лексические параллели. – Известия ЧИНИИЯЛ, том I, вып.2, «Языкоzнание». Грозный, 1959, с. 91), при наличии полного доверия к этимологиям В. И. Абаева, мы можем отнести 4: **фашкал** «пчелиный сот» ← осет. **фаэгъэр**; **форд** «море» ← осет. **фурд** (иронск. диал.), **форд** (диорск. диал.) «большая река; море»; **фос** «добыча» ← осет. иронск. **фос**, диорск. **фонс** «скот»; **фусум//фусам** «пристанище, приют, дом хозяина» ← осетинск. иронск. **фысым**, диорск. **фусум**.

Надо сказать, что у такой этимологии В.И. Абаева были и есть последователи. С уверенностью в том, что «воздействие осетинского в появлении звука **f** в ингушском несомненно», Т. Б. Гониашвили рассматривает в этом контексте также примеры, где осетинск. **f** в чеченском и ингушском соответствуют **p**, **v**, **h** (Т. Б. Гониашвили. Специфика языковых связей нахской группы с иносистемным осетинским. – Материалы пятой региональной научной сессии по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков. Орджоникидзе, 1977, стр. 64). В конце указанной статьи на с. 68 Т. Б. Гониашвили рассматривает осет. *fos* «скот; богатство» – чеч. *fuons*, инг. *fuos* «добыча», осет. *fusum/fusun* «хозяин в отношении гостя», инг. *fusam/fusum* «дом, пристанище», но эти примеры не расширяют материал В. И. Абаева, кроме того, при достаточной убедительности отдельных этимологий не убеждают в том, что сам звук в ингушском

иранского происхождения. Добавим к этому еще и то, что все слова на **f**, включая и эти, в ингушском языке характеризуются исключительной инлаутной позицией; в осетинском языке позиция **f** не является строго фиксированной, хотя и здесь инлаутный **f**, например, характерен лишь для сложнообразованных слов, в которых инлаутный **f** является обычно начальным звуком второго компонента слова: **наэлфыс** «баран (холощеный)», из **наэл** и **фыс**; **фысы+фыд** «мясо+барана (род.п.)» = **фысыфыд** «баранина»; **хырхæ йфадæнта** «опилки»; и т.д. Если бы в ингушском языке **f** фиксировался только в заимствованных из осетинского языка словах, а этих слов было больше, чем их обнаружили В.И. Абаев, Т. Б. Гониашвили и ранее П. К. Услар, предположение об осетинском происхождении ингушского **f** не вызывало бы особых возражений. Однако не может не казаться странным то, что всего лишь с четырьмя словами (пусть даже с десятью, если обнаружатся еще) один язык заимствует из другого звук, затем включает его в структуру собственных или заимствованных из других языков (не осетинского) слов. При этом даже расходится с родственным чеченским языком, заменяя **v** на **f** (**фашкарг** «клеш» – чеч. **вошкарг/веччалг**; **фата** «барабан» – чеч. **вота**; **форта** «шея» – чеч. **вуортга**; и т. д.), **xI (h)** на **f** (**фую** «воздух» – чеч. **хIю**; **фу** «что?» – чеч. **хIун**; **фурал** «райский (обычно о женщине)» – чеч. **хIурлаIан**; **фу** «семя» – чеч. **хIу**; **футта** «рубанок» – чеч. **воттана**; и т. д.). Видимо, вопрос о происхождении **f** в ингушском языке нуждается в дополнительном исследовании: может быть, предположение П. К. Услара и будет подтверждено, но, как видим, есть определенные основания его не поддерживать.

Анализ приведенных В. И. Абаевым осетино-вайнахских лексических сходств (с явным желанием считать параллели к осетинским лексемам осетинизмами в вайнахских языках) показывает:

1) лишь незначительная их часть может считаться предположительно достоверной и определенная часть может быть отнесена к закономерным совпадениям, объясняемым не лексической проницаемостью того или иного языка, а высоковероятным сходством звучания, скажем, звуко- и образоподражаний, являющихся производящими основами для полнозначных слов;

2) обоснование фонетической проницаемости языка его подкреплением несколькими примерами заимствований, даже если они достоверны, не может быть убедительным;

3) основанные на таких параллелях выводы о заимствованиях вайнахскими языками из осетинского языка нуждаются в тщательной проверке и убедительной историко-этимологической аргументации.

## ნინების ეტიმოლოგიისათვის

სულხან-საბა განმარტავს: „**ჩანჩქერი** წყალი კლდეზედ გარდმონადენი ZAB 6. წყარო“; **წყარო** სიტყვის ბუდეში კი ვკითხულობთ: „რა წყარონი შეკრძბიან და ჩავლიან, ჰევი ეწოდების; და ჰევები რა შეერთდებიან, მდინარე შეიქმნების; უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა **ჩა(ხ)დის** – **დანჩქერი**; და დაბალთა კლდესა **ჩამდენსა** – **ჩანჩქერი**... ხოლო ლოდებთა ზედა(6) ჩქარა მდინარეთა (მინადენთა Cq) **მჩერვალო**; ...სადაც **მჩერვალო** დაწყნარდების და ერთსა ადგილსა დაღრმავდების – მორევი; **დანჩქერი** ღრმად ჩაიჭრების და აღმოღულილვით ზე აღმოიჭრების – ზეირთი“... (საბა). დავით ჩუბინაშვილი ეყრდნობა სულხან-საბას განმარტებას და ამატებს: „**ჩანჩქერი** წყალი კლდეზედ გაღმონადენი; **ან ხმა ამგვარის მდინარისა**; ვодопадъ; шумъ водопода... **დანჩქერი** მდინარე, რომელიც ჩამოდის მაღალთა კლდეთა, потокъ...“ (ქართ.-რუს. ლექსიკ., 1984)... „**ჩანჩქერი**-ი წყლის ნაკადი, რომელიც ციცაბოზე გადმოდის... **ჩერალი** იგივეა, რაც ჩანჩქერი“ (ქეგლ VIII). **ჩანჩქერი, დანჩქერი, მჩერვალო, ჩერალი**... საშუალებას იძლევა **და- II ჩა-** ზმნისწინებისა და **ჩერ-** ფუძის გამოყოფისა. **ჩერი** „მდინარის ჩქარი სიარული“ **ჩერევა** წყალთ ძრვა (საბა), ჩანჩქერის სინონიმებშიც **ჩა-** ზმნისწინი დასტურდება: **ჩაქუხა, ჩაშხრიალა, ჩახრიალა, ჩახხრიალა**... აქ **ჩა-** ყველგან მიმართულებას მიუთითებს: ზემოდან – ქვემოთ... საგულისხმოა, რომ ყველა მათგანი ხმიანობას აღნიშნავს (ჩანჩქერი ხომ ხმაბაძვით, რედუბლიცირებულ სიტყვადაა მიჩნეული), მაგრამ ამოსავალი სემანტიკა ჩანჩქერისა ( $\leftarrow^*$  ჩამჩქერი), ვფიქრობთ, ზემოდან ქვემოთ სწრაფი (ჩქარი) დინება (მოძრაობა) უნდა იყოს, [შდრ. რუს. ბыстрина „ჩერი“]. ხოლო ხმიანობა, რომელიც თან ახლავს ამ მოძრაობას რომელსაც სწორედ ეს სწრაფი დინება იწვევს, – შემდგომი.

## ცხოველთა სახელები ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში

ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცხოველთა სახელების მონაწილეობით შექმნილ ტერმინოლოგიურ ერთეულებს. აქ სამი ტიპის ტერმინები გვაქვს: დერივატები, კომპოზიტები და ტერმინოლოგიური შესიტყვებები.

ა) დერივატებია: ცხვარა, ფუტკარა, ბაყაყურა, კამეჩურა, ოფოფურა....

ბ) საქმაოდ ბევრი მოგვებოვება კომპოზიტები: ცხენისკუდა, ცხენისწაბლა, ძაღლყურძენა, ძაღლმაყვალა, ჩიტავაშლა, ჩიტისთავა, ხართუთა, ხარისკუდა, კატაბალახა, გველთავა....

გ) შესიტყვებებიც ხშირია: ცხვრის ქლიავი, ცხვრის სამყურა, ძაღლის ბირკა, ძაღლის ბიტნა, ძაღლის ქინძი, ჩიტის ია, ჩიტის იონჯა, კალმახა სოკო, მგლის ბაღანი, გუგულის კაბა....

ბოტანიკურ ტერმინებში უფრო ხშირად გამოიყენება ცხოველთა ისეთი სახელები, როგორებიცაა: ცხენი, ცხვარი, ძაღლი, ჩიტი, ხარი....

განსახილველ ტერმინთა ნაწილი ორიგინალური, ქართული ტერმინებია, ნაწილი კი — თარგმნის (თუ კალკირების) შედეგი.

ქართული ენის დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებში დასტურდება როგორც ქართული სალიტერატურო ენის მსგავსი შემთხვევები, ისე — განსხვავებული ვითარება (იგულისხმება როგორც ტერმინის სტრუქტურა, ისე — მოტივაცია).